“ ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც ამას ვდუდუნებ” - *ვაჟა*

განმეორებითი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2019 წ. მაისი * №61 * ფასი 2 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან

საქართველო მართლმადიდებლური სახელმწიფოა

ეროვნული ენა საწყენია

XI საუკუნე, ილორის ეკლესია

საქართველოში მომხდარი პუტჩის გამო

გვ. 3, 5

ყმინდა მეფე დავით აღმაშენებლის რელიგიური პორტრეტი

გვ. 8

არის თუ არა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის პრობლემა „ნაციონალური“ და „ოცნების“ ხელისუფალთა გადაწყვეტილებების შედეგი?!

ლეილა ცომაია

მართალია, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების პრობლემა, 1921 წლიდან სერგო ორჯონიკიძის მორიგი ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებით მომდინარეობს, რომელმაც სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლში მოაქცია, მაგრამ არც 21-საუკუნის ხელისუფალთ დაუკლიათ ხელი მონასტრის კუთვნილების სამართლებრივად შესუსტების საქმეში; თუ სსრკ-ს დაშლის შემდგომმა ზვიად გამსახურდიას მთავრობამ შეძლო აზერბაიჯანთან დროებითი შეთანხმების მიღწევას დავით გარეჯის მონასტრის თხემზე პირობითი საზღვრის გავლების შესახებ, სააკაშვილისა და ივანიშვილის ხელისუფლებებმა კაპიტულანტური ხელშეკრულებები გააფორმეს აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელისუფლებებთან; 2008-2012 წლებში დავით გარეჯის საკითხზე მომუშავე სააკაშვილის ხელისუფლების მუშა-ჯგუფმა, კულტურის მინისტრ ნიკა რურუას ხელმძღვანელობით, ხელი მოაწერა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილის აზერბაიჯანული მხარისათვის გადაცემას. ნიკა რურუა აცხადებდა:**„დავით-გარეჯთან დაკავშირებით ნებისმიერი მწვავე განცხადება მხოლოდ ამძიმებს საქმის მდგომარეობას და შესაბამისად, ხმაურიანი განცხადებების გაკეთებისგან ყველას თავის შეკავებას ვურჩევ...რაც შეეხება თვითონ კუთვნილებას, დღეს ეს ტერიტორია გამომდინარე საზღვრების დანაწილებიდან, რომელიც საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მოხდა, არის აზერბაინაჯის ტერიტორიაზე. მაგრამ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები მათ ხელმძღვანელობასთან იმაზე, რომ რამენაირად ეს ტერიტორია ხელმისაწვდომი იყოს, საქართველოს მხრიდან ყველა გადამსვლელისათვის“.**

მაშინდელი პარლამენტის ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრა-

გაგრძელება გვ. 2

არის თუ არა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის პრობლემა „ნაციონალური“ და „ოცნების“ ხელისუფალთა გადაწყვეტილებების შედეგი?!

დასაწყისი გვ. 1

ობა-დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით: **„ორივე მხარის ინტერესებში შედის, რაც შეიძლება მალე მოგვარდეს პრობლემა და დელიმიტაციის საკითხები გადაიჭრას. თუმცა, ტერიტორიის ნაწილი, რომელზეც საუბარი ახლა მიდის, სადავო არ არის და ის აზერბაიჯანის საკუთრებაა“.**

იმის გამო, რომ საქართველოს მთავარი გაზმომწოდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფო იყო, ნაცონალური მთავრობა, ტერიტორიებთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებში კაპიტულანტურ პოლიტიკას აწარმოებდა.

ამგვარი კაპიტულანტური პოლიტიკის შედეგად დავით გარეჯის 24 სამონასტრო კომპლექსიდან დღეს მხოლოდ 20 კომპლექსიღა შემოგვრჩა; აზერბაიჯანელებმა უკვე წაგვართვეს **ბერთუბანი, ჩიჩხიტური, საბერეები, ყარაიას ველები** და ეხლა უდაბნოს მონასტერსაც ეპოტინებიან; იგი ალბანური წარმოშობის ძეგლად მიაჩნიათ და განსაკუთრებით მიმზიდველია მათთვის მდინარე მტკვარსა და მდინარე იორს შორის არსებული ამ სამონასტრო კომპლექსის უდაბნოს მთის წვერი სამხედრო სტრატეგიული დანიშნულებით; ჩიჩხიტურის მონასტრის ახლოს მათ უკვე განათავსეს სამხედრო ბაზა და უდაბნოს მონასტრის ტერიტორიასაც ამ მიზნით დაადგეს თვალი.

ივანიშვილის ხელისუფლებამ კი 2016 წლის აპრილში, თურქეთის სახელმწიფოს ისე მალულად გადასცა სასაზღვრო ზოლზე მდებარე 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომ არა თურქეთის საინფორმაციო წყაროები, დღემდე არაფერი გვეცოდინებოდა მასზე. მხოლოდ თურქული გამოცემა „Daily Sabah„-ის მეშვეობით გახდა ცნობილი თურქეთის სადავო ტერიტორიის საქართველოს მხარის მიერ დათმობის შესახებ, რასაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ივერი მელაშვილის მიერ მოეწერა ხელი (წყარო:https://palitranews.ge/video/).

ივანიშვილის კაპიტულანტური ხელისუფლება არავითარ რეაგირებას არ ახდენს და სრული წაყრუების პოლიტიკას ავლენს თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის მუქარისშემცველ განცხადებებზე ბათუმის შესახებ: „ბათუმი სულ მალე ჩვენი იქნება , ის თურქეთს ეკუთვნის!“ მაშინ, როცა თურქეთი რეალურ პოლიტიკას ატარებს აჭარაში ამგვარი დამპყრობლური სულისკვეთებით; კერძოდ, სულ უფრო მზარდი ხდება

ბათუმში თურქების რაოდენობა და დღეისათვის იგი 70 000 აჭარბებს. შენდება დამატებითი მეჩეთები და თურქეთის პრეზიდენტი დღემდე მოითხოვს თურქული ისლამის - აზიზეის მეჩეთის მშენებლობას, ისლამში კი პოლიტიკა და რელიგია მჭიდრო ურთიერთკავშირში თანაარსებობს. ბათუმში თითქმის გამქრალია ქართულენოვანი წარწერა-აბრები და მხოლოდ თურქულენოვანია გაბატონებული, აჭარის ტელევიზია დაპყრობილი აქვს თურქულ სერიალებს და ამავე ტელევიზიით გადაიცემა თურქული ენის შემსწავლელი გაკვეთილები. საქართველოს სახელმწიფო ვერ აკონტროლებს თურქი მიგრანტების შემოდინების პროცესს და აჭარაში მათი ცხოვრება და საქმიანობა თვითდინებაზეა მიშვებული. აჭარელ ბავშვებს თურქი ხელისუფლება ეპატრონება და მათ ისლამისტებად ზრდიან. თბილისში, შევარდნაძის დროს "შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტის" გახსნამ, რომელსაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გონიერი ნაწილი და პატრიოტები, მაგრამ მხარს უჭერდნენ გურამ მამულია, გიული ალასანია და თითო-ოროლა ქართველი კოლაბორაციონალისტები, რამაც საქართველოსა და განსაკუთრებით აჭარის რეგიონში ხელი შეუწყო თურქულ გავლენას. ეს უნივერსიტეტი რეალურად იქცა ისლამისტების სამჭედლოდ. თურქეთის აგრესიული ნაციონალიზმი საქართველოში თავის პიკს აღწევს და არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც, თუმცა ყველგან კონტროლდება და ადგილობრივი კანონმდებლობით იზღუდება კიდეც.

სახელმწიფო საქართველოს მიმართ ანალოგიურ პოლიტიკურ მადას ავლენს ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანიც, რომელმაც სულ ახლახან განაცხადა, რომ: „საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიები ირანს ეკუთვნოდა, რომელიც 205 წლის წინ გამოყოფილი იქნა „მშობლიური მიწისგან" .

საქართველოს ხელისუფლებას სახელმწიფოებრივი საფრთხეების შემცველ პროცესებზე თითქმის ნულოვანი რეაგირება აქვს და ისიც ყასიდად გაკეთებული სიტყვიერი განცხადებებით, საქმით კი მხოლოდ მილიარდების საკუთრივი მოპოვებითაა დაკავებული. დღევანდელი საქართველოს ბიუჯეტი, ძირითადად პროსტიტუციის ლეგალიზაციის, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისა და აზარტული თამაშების ბიზნესზე დგას.

რაც შეეხება დავით გარეჯის საკითხს, რითაც დავიწყეთ სტატია, მისი დაცვა გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტ კირიონის, იქ მოღვაწე სასულიერო ბერებისა და სამოქალაქო აქტივისტების იმედადღაა დარჩენილი და თუ მას აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ოფიციალური მოლაპარაკებებითა და კანონიერი ხელშეკრულებების გაფორმებით არ გავამყარებთ, მისი დაკარგვა, სამწუხაროდ, გარდაუვალია!

პრეზიდენტ სააკაშვილს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნების გამოვლენის შემთხვევაში ჰქონდა შანსი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მოუგვარებელი საკითხი ილჰამ ალიევთან, ნაწილობრივ მაინც მოეგვარებინა. თბილისის გულში, ორთაჭალაში კომუნისტი ფუნქციონერის ჰეიდარ ალიევის ლამის მონუმენტური ძეგლისა და მისი სახელობის პარკის გახსნის ფორმატშიც კი ეგ სავსებით შესაძლებელი იყო, მაგრამ იგი ილჰამთან მხოლოდ პირადი მეგობრობითა და სავაჭრო ურთიერთობებით პოზირებდა და სულაც არ ადარდებდა საქართველოს ისტორიული მემეკვიდრეობის საკითხები.

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ კი უკვე გაზარდა თავისი მესაზღვრეების რაოდენობა მონასტრის მიმდებარედ და ახლა იქ, 4 კაციდან 18 მესაზღვრემდე გუშაგობენ.

დავით გარეჯი გახლდათ 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრუნვისა და პატრონობის საგანი, როდესაც საბჭოთა იმპერიას სამხედრო პოლიგონი ჰქონდა იქ განთავსებული და ქვემეხებიდან ნასროლი ჭურვებით აზიანებდნენ მონასტრებს, რაზეც საერთაშორისო განგაშს ტეხდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა და სტუდენტი ახალგაზრდებიც. დღესაც სტუდენტებისა და სამოქალაქო აქტივისტების იმედზეღაა დარჩენილი დავით გარეჯი და მას, გულგრილი ხელისუფლებისაგან, ერთიანი ძალისხმევით თუ დავიცავთ...

ამ სულისკვეთებით, 9 მაისს, თავადაც ჩავედი დავით- გარეჯში, მოვილოცე მონასტრები და სახელმწიფო დროშაც ავაფრიალე...

26 მაისი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის თარიღია

საქართველოში მომხდარი პუტჩის გამო

გერმანელი იოჰან მიქაელ გიუნტერის ანალიტიკური სტატია ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდზე

ბოლო ნახევარი წლის მანძილზე მიმდინარე მოვლენები, რომლებიც დაგვირგვინდა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული პუტჩით და როგორი სახითაც იგი წარმოჩინდა საინფორმაციო საშუალებებში, ჩვენ გვიქმნის შთაბეჭდილებას კონცენტრირებული კამპანიისა საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს, ისეთ შემთხვევასთან, როდესაც საგანგებოდ იქმნება საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სრულიად საპირისპირო რამეს გვთავაზობს, ვიდრე ეს სინამდვილეშია. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც იყო განზრახვა, სულიერი სფეროდან ინსპირირებული საზოგადოებრივი და სამეურნეო წყობის მიღწევისა. სადაც კერძო ინტერესების მქონეთა მძლავრი კოალიცია ამ განზრახვას ყველა საშუალებით დაუპირისპირდა. ეს ქმედება განვითარდა ორ ერთმანეთის მომდევნო ფაზად.

პირველი: გამსახურდიას ავტორიტეტის განადგურება მსოფლიო საზოგადოების თვალში, მეორე: გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა ფიზიკური ძალით.

თენგიზ კიტოვანი, პუტჩისტების ერთ-ერთი მეთაური ამ პროცედურის შესახებ ერთგან სავსებით დაუფარავად განაცხადებს: ჩვენ აქტიური ბრძოლა მის (პრეზიდენტის) წინააღმდეგ მაშინ დავიწყეთ, როდესაც მსოფლიომ საბოლოოდ ჩათვალა, რომ გამსახურდიამ საქართველოში დიქტატურა დაამყარა.

პირველი ფაზა სწორედ მაშინ დასრულდა, როდესაც პრესამ, უკვე შორს წასულმა თავის მანიპულაციებში, გამსახურდია დახატა, როგორც პარანოიდული დიქტატორი, ახალი მუსოლინი. და ეს მაშინ, როცა ქრონიკაში არ აღრიცხულა არც ერთი შემთხვევა ტერორისა, ანდა ძალაუფლების უხეშად გამოყენებისა. საზოგადოებრივი აზრის შიზოფრენიზაცია იქამდე მივიდა, თითქოს გამსახურდიას რამოდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლის გაწირვით გაეკაფა საკუთარი გზა. ამგვარად, პრესა ზეიმობდა მცირე ჰიტლერის ბატონობის დასასრულს.

როდესაც საქმეს უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, უმალ თავს მოიყრის უამრავი კითხვა.

გიორგი ჭანტურია, გამსახურდიას ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული , , ოპოზიციური ლიდერი“ გამსახურდიას ძალმომრეობის მადასტურებელი მრავალჯერ მოხმობილი საბუთი - და მისი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, არის პროდუქტი ოპოზიციისა და კომუნისტურ მმართველობას შორის 1990 წლის არჩევნებამდე მიმდინარე ბრძოლისა, რომელშიც გამსახურდიამ გაიმარჯვა. კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავისუფალ, მრავალპარტიულ არჩევნებზე (რისი მიღწევაც მხოლოდ სამოქალაქო დაუმორჩილებლობით მოხერხდა) უპასუხა ათიოდე ნაციონალისტური ელფერის მქონე პარტიის დაფუძნებით. ზუსტად ერთი თვით ადრე, ამ არჩევნებამდე მათ საკუთარი არჩევნები მოაწყვეს და დააარსეს ეროვნული კონგრესი. ჭანტურიას პარტია ერთ-ერთია მათ შორის. არჩეულმა პარლამენტმა, ბუნებრივია, ეს კონგრესი არ სცნო. ასე იწყება ჭანტურიას , , დემოკრატობა“ დემოკრატიისთვის ხელის შეშლით. ამის შემდგომ ხშირია საინფორმაციო საშუალებებში პარლამენტური ოპოზიციის გაიგივება ე.წ. ოპოზიციასთან. თავად ჭანტურია დაუკავშირდა გასამხედროებულ ორგანიზაციას, რომლის წინამძღოლიც ყაჩაღობისთვის ადრე ნასამართლევი ჯაბა იოსელიანი, უკვე პუტჩში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

თენგიზ სიგუა, პუტჩისტების ერთ-ერთი წინამძღოლი- წარმოსდგება ყოფილი კომუნისტური მმართველობის ელიტიდან. გამსახურდიას დროს იგი პრემიერ-მინისტრი იყო და გადაყენებული იქნა გასული წლის აგვისტოში, მაგრამ არც თენგიზ სიგუა დაკმაყოფილდა შიდასაპარლამენტო ოპოზიციური აქტივობით. არამედ გადადგომიდან ორი კვირის შემდეგ შეიარაღებულ ოპოზიციას შეუერთდა.იგი, როგორც კაბინეტში მუშაობის უნარის მქონე ერთადერთი ოპოზიციური პოლიტიკოსი, შექმნეს გამსახურდიას კონკურენტად. ეს კაცი, სახელმწიფო სოციალიზმის მიმდევარი ყოველგვარი გარდამავალი საფეხურის გარეშე ხდება კაპიტალიზმის, პრივატიზაციის და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მომხრე. მაგრამ სიტყვები სიტყვებად რჩება, ხოლო მათ უკან მდგომი ინტერესებიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება სპეკულირება.

ამიტომაც დაუჭირა მას მხარი თენგიზ კიტოვანმა, პუტჩის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურამ. თავისი გარდასახვა მხატვრიდან სამხედრო წინამძღოლამდე მან იმითაც კი ახსნა, რომ ჰიტლერმაც თითქოსდა მხატვრობით დაიწყო. ამგვარი ზერელე დამოკიდებულება ჰიტლერის თემისადმი კვლავ იჩენს თავს უკვე გამსახურდიას მიმართ ნათქვამ ფრაზაში, თითქოს ის თავის ბუნკერში იჯდა ისე, როგორც ჰიტლერი.

გამსახურდიას ხელისუფლების დროს თავდაცვის მინისტრი კიტოვანი წლის შუაგულში განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.არც ის აღმოჩნდა მომზადებული მშვიდად მიეღო გათავისუფლება. მან მისდამი ლოიალურად განწყობილი ჯარისკაცებით შექმნა ბირთვი გარესაპარლამენტო შეიარაღებული ოპოზიციისა. ამგვარი ფაქტი - ვინმეს გარშემო დეზერტირი ჯარისკაცების შემოკრებისა, - ნებისმიერ ქვეყანაში უმკაცრეს შეფასებასა და სასჯელს მიიღებდა. კიტოვანი გვევლინება, როგორც პირწმინდა მატყუარა, ისევე, როგორც მისი თანამზრახველი სიგუა. საინფორმაციო საშუალებებში იგი აცხადებდა, მას თითქოსდა იმისთვის ესაჭიროებოდა შეიარაღებული რაზმები, რომ გამსახურდია არ შედგომოდა ოპოზიციონერთა დაპატიმრებას. რამდენადაც კიტოვანი თავს ოპოზიციონერად სახავდა, ამდენად იგი ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში დაპატიმრებული იქნებოდა. თუმცა კიტოვანის ზემომყვანილი არგუმენტი გაუგებარი იყო ოპოზიციის იმ დიდი ნაწილისათვის, რომელიც პარლამენტში მსგავსს არაფერს მოელოდა.

სწორედ ამგვარმა რწმუნებებმა, თითქოსდა ყოველივე ეს მხოლოდ თავის დასაცავად იყო საჭირო, (რომ არაფერი ვთქვათ ძალადობის შეგნებულ ესკალაციაზე) საქმე მიიყვანა ტელევიზიის შენობის დაკავებამდე და პუტჩის პერიოდის დაუნდობელ ბრძოლებამდე.

მორალურად საეჭვო პოლიტიკოსები, რომ მხოლოდ თამაშობენ დემოკრატიას რთულ პერიოდებში, სრულიადაც არ არის გასაკვირი, მაგრამ ყოველთვის უნდა ვიკითხოთ, თუ ვის ინტერესებს წარმოადგენენ პოლიტიკურ ძალთა თამაშში ის პიროვნებები, რომლებიც პოლიტიკური დინამიკის სათავეში მოექცევიან ხოლმე. გამსახურდიასა და სიგუას დაპირისპირებისას ამგვარ პოლარიტეტს წააწყდებით: ერთის მხრივ, სახეზეა ადამიანი, რომელმაც ათწლეულების მანძილზე საბჭოური დიქტატურის წინააღმდეგ დისიდენტურ საქმიანობაში თავისი პოლიტიკური სუბსტანცია ჩამოქნა და ჩამოასხა(სწორედ ამან და არა თაყვანისმცემელმა მანდილოსნებმა განაპირობეს მისი წარმატება არჩევნებში), ხოლო საპირისპირო მხარეს დგანან სხვები, ქართველი ბობოლები, რომლებიც თავისთავად განასახიერებენ ნებას ძალაუფლებისკენ. საკუთრივ მათი პოლიტიკური ძალა მათ მიერ შექმნილ ლობებშია საძიებელი.

აქვე, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ კომუნისტური დიქტატურა, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიური, მსოფლმხედველობრივი ინსტიტუტი კი არ იყო, არამედ სამხედრო- სამეურნეო ოლიგარქია. თვალსაჩინო სურათის შექმნაში დაგვეხმარება სავსებით გამართლებული, ცხოვრებისეული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამეურნეო იმპულსი, თუნდაც გერმანიისა. ეს უკანასკნელი ტენდენცირებულია, რათა განივრცოს და საზოგადოება თავისი ინტერესებით აღბეჭდოს. ამასთან იგი დიდ ძალებს ხარჯავს, რათა მოსახლეობას ფიზიკური მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილოს. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკაში ისედაც დიდი თავისუფლებებია დაშვებული. ეს, ყველა საზოგადოებისათვის აუცილებელი იმპულსი საბჭოეთში მეურნეობისთვის სავსებით უცხო კანონმდებლობითა და სოციალური წყობით გამუდმებით არის დათრგუნული და არალეგალურ მდგომარეობაში გადასროლილი. ამის შედეგად იგი უკვე მიწის ქვეშ აგრძელებს თავის დინამიკას. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ვერანაირი მოწმობა სრულად ვერ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა მძლავრად დაიბუდა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ ცენტრალიზებული ხუთწლედების მკვდარ ფუტლარში.

სამეურნეო მაფიის ინტერესები ძალზე რეალურია. შესაძლოა, ბოლშევიზმის ფარდაც ჩამოიხსნას, საბჭოთა კავშირის აღსასრულმა ბოლო დაუდოს ადამიანთა გარეგნულ ჩაგვრას(სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობა, პრესისა და გადაადგილების თავისუფლება) მაგრამ სამეურნეო ინტერესები კი ისევ შეკავებული რჩება და მიისწრაფის საბოლოო განვრცობისკენ. ჩრდილოვანი ეკონომიკა, საფიქრებელია, გადახლართულია ე.წ. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან, როგორც აშკარად, ისე ფარულად. იგი მოძრაობს კორუფციის, მფლანგველობისა და გამომძალველობის სფეროებში, რადგან იგი ყოველთვის კომუნისტური გეგმითი მეურნეობის კანონებს მიღმა მოქმედებდა. საბჭოთა პრესიდან ცნობილია, რომ მკვლელობები ამგვარ გარემოში ხდებოდა და ხდება დღესაც. ამას გარდა, იქიდანაც უნდა გამოვიდეთ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა დაკავშირებულია მსგავს წრეებთან თვით საბჭოთა კავშირის გარეთაც კი. ეს, ალბათ, უდიდესი პრობლემაა, რომელიც კი მდგარა დემოკრატიზაციის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გათავისუფლების გზაზე. მაგალითად, გორბაჩოვი მრავალი წლის მანძილზე ცდილობდა, არ ჩარეულიყო ამ სფეროში. ელცინის მცდელობები ამ მიმართულებით დღეს მოჩანს, როგორც ბრძანებები ზეცად ამაღლებისკენ.

საქართველოსთვის ეს ნიშნავს შემდეგს:

1. ხალხის მიერ არჩეულ იქნა პრეზიდენტი, რომელიც არ მოქმედებს, როგორც ხსენებული პოლიტიკურ-სამეურნეო ლობის მსახური. ამას გარდა, მის განზრახვაში აშკარად გამოვლინდა იმპულსი სოციალური სამწევრობიანობისა, რომელიც სწორედ ამ ჩრდილოვანი ეკონომიკის ინტერესებს დაუპირისპირდა უფრო მძლავრად, ვიდრე ეს ოდესმე მომხდარა მსოფლიოში. თავის საარჩევნო კამპანიაში ის ლაპარაკობს საქართველოს სულიერ ამოცანებზე, ქართველი ერის სარწმუნოებრივ მისიაზე, პროპაგანდას უწევს ქვეყნის ზნეობრივ და არა მხოლოდ მატერიალურ აღორძინებას.ამის საწინააღმდეგოდ კი დგას მიწისზედა და მიწისქვეშა ეკონომიკა, რომელიც ბიუროკრატიზმიდან ყოველგვარი გარდამავალი საფეხურის გარეშე მიიწევს დასავლური სამეურნეო პროგრამის განხორციელებისკენ. სავსებით შესაძლებელია, მის ვარაუდი, რომ სიგუა და კიტოვანი სწორედ ამგვარი ეკონომიკის მმართველი წრეების სამსახურში დგანან.

2. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: როგორ ახერხებს პუტჩისტების პატარა ჯგუფი პოლიტიკური გაფორმების, დემოკრატიული ამბიციებისა და ხალხის მხარდაჭერის გარეშე კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას ეგზომ თავდაჯერებულად გამოუცხადოს ომი? ისღა გვრჩება დავუშვათ, რომ არსებობს შეთანხმება სხვა ჯგუფთან, რომელიც სააშკარაოზე არ გამოდის, თუმცა აქვს შესაძლებლობა, წაეპოტინოს ძალაუფლებას საქართველოში. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ადამიანებს, რომლებიც საბჭოური სოციალიზმიდან პირდაპირ ამერიკაზე ორიენტირებული დემოკრატიული ძალაუფლების ელიტად იქცნენ. ასეთია თენგიზ სიგუა, ასევე მოჩვენებითი დემოკრატი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც საქართველოს მმართველობის დროს ტერორი განახორციელა ზვიად გამსახურდიასა და სხვა დისიდენტების მიმართ. მოგვიანებით იყო გორბაჩოვის შიკრიკი ბუშთან და ბეიკერთან. შევარდნაძემ, საქართველოს ამ საძულველმა შვილმა პუტჩი დემოკრატიულ რევოლუციად გამოაცხადა და თვითონ მოევლინა თავის ქვეყანას მხსნელად, მას შემდეგ, რაც ელცინმა მოიცილა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან. თუ საინფორმაციო საშუალებებს დავუჯერებთ, მას ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან მეგობრობა აკავშირებს. იგივე ითქმის მის ურთიერთობაზე გენშერთან. ურიგო არ იქნებოდა გვეკითხა, დასავლეთის რეაქცია გამსახურდიას პიროვნებაზე ამ ძალზე მიკერძოებული პოლიტიკოსისგან ხომ არ მომდინარეობს? !

3. აქვე იბადება სხვა კითხვაც: როგორ არის შესაძლებელი საერთაშორისო მასშტაბით გადმოიფრქვეს ამდენი სიძულვილი, ამდენი მიკერძოება გამსახურდიას მიმართ?! მონოტონურად განმეორებული საყვედური, რომ იგი დიქტატორია, ისევ და ისევ დაუსაბუთებელი რჩება. მაშინ, როდესაც ოპოზიციის შხამიანი პროპაგანდა, ადვილად გამოსაცნობი ტყუილების, ტაქტიკური მანევრებისა და არაადამიანური საქციელის ჩათვლით, სულ უფრო და უფრო ვრცელდება ისე, რომ კითხვასაც არავინ სვამს, თუ რა იმალება სინამდვილეში ამ ოპოზიციის უკან. ეს კამპანია გვევლინება, მაგალითად, მემარცხენე ალტერნატიული , , ტაგერცაიტუნგის“ უმაგალი-

გაგრძელება მე-5 გვ.

მერაბ კოსტავას 80 წლის იუბილე

მერაბ კოსტავა



პირდაპირ ვთქვათ: თუკი ქართველ ერს თავისუფლება სწყურია, მან ხმამაღლა უნდა უთხრას თავის თავსაც და მსოფლიოსაც, თუ ვინაა შვილი მისი – მერაბ კოსტავა.

გმირი, წამებული, წმინდანი!

მერაბ კოსტავა!

ის უკვე იქაა, იმ ნათელ კრებულში, სადაც ერთად აფრქვევენ ჰაეროვან სინათლეს დიდთა წინაპართა აჩრდილები.

უკვე მიიხუტა მკერდზე მოხუცმა ილიამ, უკვე შეახო მის შუბლს ჯვარი წამებულმა დედოფალმა ქეთევანმა და უკვე ამოიყენა გვერდით მარადიული ქართული ლაშქრის წინამძღოლმა დიდმა დავით აღმაშენებელმა.

დაჰხედეთ სურათს.

რა მოუხდებოდა ყველაზე მეტად ამ სევდიანი არწივის სახეს?

ჩაჩქანი და მუზარადი.

ამ ვაჟკაცურ, მრავალი სიმძიმილის გადამტან მხრებს რა დაამშვენებდა?

ჯაჭვის პერანგი.

ის თეთრ ცხენზე უნდა მჯდარიყო თორ-აბჯრიანი და ხმალამონვდილს თავისი მამაცური მზერით შიგ თვალებში ეცქირა მტრისთვის.

აი, ვთქვი და უცებ მივხვდი, რომ საქართველოს ბედკრულ გრძელი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ მოსულა მერაბ კოსტავა მკლავმაგარ მხედრად.

მოსულა თეთრცხენოსანი.

მოსულა, როცა ყველაზე მეტად უჭირდა მამულს.

და უბრძოლია.

ყველაზე მძიმე მოვალეობა კი მაინც ამ მოსვლისას დაეკისრა მას და მის ქრისტესმიერ ძმას ზვიად გამსახურდიას.

ასეთი დამონებული არასოდეს ყოფილა ქართველი კაცი, არასოდეს ასე არ გაჰგებია ფეხქვეშ დამპყრობელს ლუკმა-პურისთვის.

არასოდეს ამდენი ქართველი არა მდგარა მტრის სამსახურში, არასოდეს ამდენს არ უქცევია ზურგი დედაენისთვის, არასოდეს ამდენს არ მიუტოვებია სამშობლო ნებით.

დამონებული, დაბეჩავებული, უიარაღო სამშობლო – ვეება, ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპის წინაშე.

აი, რა დახვდა ამ მოსვლისას მერაბ კოსტავას.

თვითონაც უიარაღოდ უნდა ებრძოლა, ვერ უშველიდა თეთრი ცხენი, ვერც ფარ-ხმალი და ჯაჭვის პერანგი.

ვაჟკაცსა გული რკინისა.

აბჯარი თუნდა ხისაო.

არა ჰქონდა, არც ხის აბჯარი, მხოლოდ გულს უნდა ებრძოლა, მის რკინის გულს.

და იბრძოდა კიდეც.

უთანასწორო იყო ეს ბრძოლა. მტრის მხრიდან უსვინდისოდ უთანასწორო.

შებოჭილს ბნელში სცემდნენ ყოველი მხრიდან.

სცემდნენ უღმერთო სისასტიკით.

მაგრამ ვერც კი გაბზარეს რკინის გული.

ტანჯვით კი ტანჯეს რამდენიც სურდათ.

ჰაი, დედასა! სხვა დროებაში შემოჰყროდნენ, ცხენდაცხენ... ხმალდახმალ... თუნდაც ოცი ერთზე... მერე გვენახა ბიჭობა!

აკი მაინც არგუნა ბედმა, რომ პირისპირ შეჰყროდა მტერს.

აპრილში – თბილისში.

ივნისში – ქვემო ქართლში.

ივლისში – აფხაზეთში.

ვინც იქ ნახა, დამეთანხმება, რომ ძლიერ შვენოდა ბრძოლის ველზე ყოფნა.

ოღონდ ეს ბრძოლებიც უცნაური იყო.

ქართველებს არ დაგვიღვრია მტრის სისხლი. ჩვენი დაღვარა მტერმა.

ვაჟკაცობა იმ უცნაურ ბრძოლებში ის იყო, რომ ჩვენ ხელი არ გამოგვეღო და ვმდგარიყავით მამაცურად.

მერაბმა გვასწავლა, თუ როგორ უნდოდა ღირსეულად, უდრეკად დგომა...

სულ თვალწინ მიდგას:

შუაღამეს დიდი ხანია გადაცილებულია. მანქანით მივდივართ ქვემო ქართლში.

ირგვლივ ავი სიჩუმეა.

შევდივართ ბოლნისში.

შორიდან მოჩანს, რომ შუა ქუჩაში ფარნით განათებულში შეგროვილა ხალხი.

ვუახლოვდებით და ვხედავთ, თურმე მერაბი დგას ხალხში, დაფიქრებული ღიმილით უსმენს მასთან მოსაუბრეებს.

დგას ახოვანი, მოწიწებით შესცქერიან ჭაბუკებიც და ხნიერნიც.

იგრძნობა, რაკი მერაბი აქაა, ყველაფერი კარგად იქნება.

დგას ახოვანი, მშვიდი, ღირსეული.

თითქოს წარბშეკრული, მაგრამ თვალები უღიმის.

აუჰ, რა ლამაზია, რა მშვენიერი!..

არ შეიძლებოდა თვალში არ გცემოდათ მისი სილამაზე.

მერაბ კოსტავა სრულყოფილი ადამიანი იყო.

ზნეობრივი სიწმინდის განსახიერება და გარეგნულადაც უმშვენიერესი ვაჟკაცი.

რატომ შეიქმნა ასეთად?

ამაში მოწყალე უფლის ნება ჩანს.

მერაბი იმიტომ იყო ასეთი კარგი, რომ მის დამონებულ სამშობლოს კვლავ ერწმუნა თავისი ძალა.

ერწმუნა, რომ დიდია და ღირსია თავისუფლებისა ის ერი, რომელსაც შეუძლია კვლავაც დაბადოს ასეთი მშვენიერი, ზნესრული ადამიანი.

და კიდევ: მერაბ კოსტავას სილამაზეში სხვა იდუმალი აზრიც ჩააქსოვა მოწყალე უფალმა.

ყველა ქვეყანაში ეროვნული მოძრაობა ისეთი უნდა იყოს, როგორიცაა ერი და მისი ხასიათი.

დავუშვათ, რომ ჩვენ წინ წაგვძღოლოდნენ ვიღაც ძალიან ჭკვიანი ადამიანები, მაგრამ სულ აფთიაქის სასწორზე მწონავნი, სულ პოლიტიკა-ეკონომიკის თვალსაზრისით მოფიქრალნი, სულ ფრთხილ-კურდღელ-ცბიერ-მელაკუდები. ისიც დავუშვათ, რომ ჩვენც გავყოლოდით. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ, წინ წაწევით წაგვიყვანდნენ, ზომიერ ლოზუნგებს გვაძახებინებდნენ და იქნებ აქამდე ორი-სამი ქაღალდით მეტიც გამოგვეცინცლა ხელისუფლებისათვის.

მაგრამ ასეთ წინამძღოლებიანი ჩვენი მოძრაობა ქართული აღარ იქნებოდა.

ქართველი კაცი პირდაპირია.

ქართველი არ გამოგყვება, თუკი შენ სხვას ფიქრობ და ლოზუნგი სხვა გიჭირავს ხელში.

შემპარავი მოქმედება იქნებ მომგებიანიცაა, მაგრამ ქართველ კაცს ულამაზოდ მიაჩნია.

პირდაპირობას კი სილამაზესთან აკავშირებს.

ორივე ეს თვისება აქვს ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

ის პირდაპირიცაა და ლამაზიც.

და ეს იმიტომაა ასე, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობა ჰგავს მერაბ კოსტავას.

ის ხომ უნებლიე პოლიტიკოსი იყო.

მისი პოლიტიკა სიყვარულიდან იწყებოდა.

ქართული მიწის, ქართული სიტყვის, ქართული სიმღერის სიყვარულიდან.

ლამაზია ასეთი პოლიტიკოსი. ლამაზია ასეთი პოლიტიკა.

და რაც უნდა უცნაურად ეჩვენოს ვინმეს, უფრო ძლიერიცაა, ვიდრე ცბიერ-მელაკუდური.

როგორც ზვიადმა თქვა, ჩვენი ეროვნული მოძრაობის მწვერვალი ცხრა აპრილია.

ცხრა აპრილს ჩვენმა ლაშქარმა დაკარგა მებრძოლები, მტერს კი არავინ დაუკარგავს.

მაგრამ ჩვენ არ დავმარცხებულვართ.

ცხრა აპრილს მოხდა ქართული სულის სიმშვენიერის გამოვლინება.

იმ ომში ჩვენ წარმოვჩნდით ჩვენი საუკეთესო თვისებებით: სიმამაცით, შეუდრეკელობით, ერთგულებით, თავგანწირვით, ხოლო მტერი კი – სისასტიკით, სიბრიყვით, ცინიზმით.

ჩვენ გავიმარჯვეთ.

სულიერმა ძალამ დაამარცხა უხეში ფიზიკური ძალა.

სილამაზემ – სიმახინჯე.

ცხრა აპრილს ჩვენ ყველანი მერაბ კოსტავას ვგავდით.

ახლა, როცა მას ვიგონებთ, არ შეიძლება არ ვიყოთ მადლიერები კიდევ ერთი რამის გამო.

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორი იყო პირად ცხოვრებაში დიდი ქართველი კაცი მერაბ კოსტავა და ახლა ჩვენთვის ადვილია წარმოვიდგინოთ ჩვენი დიდი წინაპრების ცხოვრებაც. ამით კი ჩვენს ისტორიასთან მივდივართ ახლოს.

როგორები იყვნენ ჩვენი გმირები, წამებულნი და წმინდანები?

ალბათ ასეთივე ალალ-მართლები, ბავშვივით მიმნდობნი და თავის თავზე არმოფიქრალნი. ალბათ ასეთივე ღიმილი ჰქონდათ, ასევე ყველასათვის საყვარელნი იყვნენ და ამგვარადვე სასწაულებრივად ათავსებდნენ თავის თავში ჩვეულებრივ ადამიანს და ცით მოვლენილ არსებას.

მისი სიკვდილით გულდათუთქულნი ჩვენ ყველანი უნებლიეთ ვეშმაკობთ, როდესაც ვამჯობინებთ მერაბზე, როგორც გმირზე და წმინდანზე ლაპარაკს. ასე რომ არა ვქნათ და იმ საყვარელ და სათნო ადამიანზე ვილაპარაკოთ, როგორიც იყო ნაცნობებში მერაბ კოსტავა, ველარ გაუძლებს და გასკდება გული.

ვინც მას პირადად არ იცნობდა ვერ წარმოიდგენს, თუ შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც ამხელა, მთელი ქვეყნიერებისთვის სამყოფ სითბოს დაიტევს მკერდში.

ნეტა იმათ, ვინც არ იცნობდა და ვისთვისაც ის მხოლოდ გმირია, დიდების ღირსი.

მაგრამ ვისთვისაც ერთხელ მაინც შეუხედავს სევდისღიმილიანი თავისი მზერით და ერთხელ მაინც დაურტყამს მოფერებით მხარზე ხელი, სამუდამოდ უნუგეშო დარჩება ყველა.

ტირილით იკრავენ ერთმანეთს მკერდში თანამებრძოლნი, მეგობრები, ნაცნობები, ნათესავები. თითქოს სურთ შეაერთონ მისადმი სიყვარული და მოახდინონ სასწაული, გააცოცხლონ სანატრელი ძმა.

– ეეჰ, როგორა მყვარებია! – გმინავენ ქალებიც და კაცებიც.

და იქნებ ესაა ის მთავარი სიკეთე, რაც დაგვიტოვა მერაბმა.

მან ჩვენს თავში ჩვენვე აღმოგვაჩენინა დიდი სიყვარულის უნარი, – თქვენ ისევ შეგიძლიათ სიყვარული. გიყვარდეთ ერთმანეთი, ძმანო და დანო!

გიყვარდეთ ერთმანეთი, ქართველებო! იდექით ერთად! ესაა გადარჩენის ერთადერთი გზა!

აი, რას გვეუბნებოდა თავისი ცხოვრებით მერაბ კოსტავა.

და ვინ იცის, იქნებ სიკვდილითაც ისევ ეს უნდოდა, რომ ეთქვა ჩვენთვის.

რაოდენ უცნაურია მისი ცხედრის სიახლოვეს იმაზე ფიქრი, რომ ახლა აქ ვინმე ერთ ჯგუფს, ორგანიზაციას ან პარტიას ეკუთვნის, ხოლო მეორე ვინმე – სხვას.

ამ წმინდა ცხედართან ყველანი უნდა მოვიდეთ მხოლოდ როგორც ქართველნი. ოღონდ ისეთნი, მერაბს რომ გაეხარდებოდა.

სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს ბრძოლას მერაბ კოსტავა.

ის ჩვენი შეკავშირებისთვის იბრძვის.

ჩვენ გვაერთიანებს ფიქრი იმაზე, თუ რა იყო ის სასწაული, რომელსაც მერაბ კოსტავა ერქვა. მისი წინამძღოლობით ერთად ვივლით ცისკენ და ერთ წმინდა ლაშქრად გავმთლიანდებით.

ძმანო და დანო!

ნურც დავიშლებით, დავრჩეთ მერაბ კოსტავას ლაშქრად.

გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ერთნი ვართ, ერთი ჯიშისა და სისხლისა.

ქართველები ვართ და ესაა მთავარი.

ვიცხოვროთ სუფთა გულებით, ისე რომ გვქონდეს უფლება, ჩვენს ოცნებებში და სიზმრებში ჩვენს წინ მუდამ მოგელავდეს თეთრი ცხენი და სამფეროვან დროშას მოაფრიალებდეს თავისუფლების მარადიული მხედარი – მერაბ კოსტავა.

მერაბ კოსტავა სევდიანი არწივი ჩვენი...

გურამ პეტრიაშვილი

26 მაისი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის თარიღია

საქართველოში მომხდარი პუტჩის გამო

დასაწყისი გვ. 3

თო ნაციონალ-სოციალისტური პროპაგანდის მსგავს პოლემიკად. კონსერვატიული „ფრანკ-ფუკტერ ალგემაინე ცაიტუნგი“ ვერაგული სერიოზულობით წარმოგვიდგენს იგივე დამახინჯებულ გამოსახულებას. ეს გაცილებით სკანდალურია, ვიდრე თუნდაც შვეიცარიული , , ნოიე ციურიხე ცაიტუნგის“ შემთხვევა, რომელსაც ამ დეზინფორმაციებში შეუძლია ზომიერად კრიტიკული, მაგრამ ამავე დროს ტონისა და მიკერძოებულობის თვალსაზრისით მოგვცეს სავსებით ინტეგრირებული ასახვა მოვლენებისა. საერთაშორისო მასშტაბით ეგზომ გავრცელებული დამახინჯება სიტუაციისა, წარმოუდგენელია ინტერნაციონალური ინტერესების გარეშე.

როდესაც ზვიად გამსახურდია ლაპარაკობდა შეიარარებულ ოპოზიციაში მყოფ კრიმინალებსა და კომუნისტებზე, ამაში რაიმე დიქტატორულ -პარანოიდული კი არ არის, არამედ, საქმის ვითარების პირდაპირ სააშკარაოზე გამოტანა. კრიმინალების მიღმა ჩვენ ჩევულებრივი ავაზაკები და თაღლითები კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ლეგალურად მოქმედი ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომლის კონტაქტებიც უდავოდ გადის მოსკოვური მმართველობის ცენტრზე, აღწევს გორბაჩოვის, შევარდნაძის, ელცინის გარშემო, სადაც რომელიღაც იოსელიანი ესაჭიროებათ, როგორც შემსრულებელი. ტელევიზია პუტჩის შემდეგ აჩვენებდა დემოკრატ რევოლუციონერებს, როგორც შეიარაღებული ხალხის მცირე ჯგუფს, აფეთქებული შამპანურებით ხელში.

გამსახურდიას ის ბრალდებაც, რომ ბეიკერმა და შევარდნაძემ ახალი ჰიტლერ-სტალინის პაქტი დადეს საქართველოს გასაწითლებლად, ახალი მსოფლიო წყობის ინტერნაციონალური ხლართების წინაშე, სერიოზული ყურადღების ღირსია.

ძალზე სერიოზულ აღქმას საჭიროებს აგრეთვე ის სიტუაცია, რომელშიც მოხვდა ზვიად გამსახურდია. მისი ჯანმრთელი, ქრისტიანულად ინსპირირებული ძალისხმევა, მიმართული სოციალური ორგანიზმის ჩამოყალიბებისკენ, ჩვენს ანტიქრისტიანულ საუკუნეში, აწყდება ძლიერ, ყოველგვარ სიცრუესა და ძალადობაზე დაყრდნობილ წინააღმდეგობას. ჭეშმარიტად ახალი აზროვნება დღევანდელობაში მხოლოდ მსხვერპლითა და ტანჯვით შეიძლება შემოვიდეს, ე.წ. ახალი აზროვნება და ახალი წყობა, რომელიც ამა ქვეყნის ისეთ ძლიერთაგან, როგორებიც არიან გორბაჩოვი, შევარდნაძე, ბუში და ბეიკერი.

ზვიად გამსახურდიამ უარყო ძველ ელიტასთან თამაში. ძირითადი საყვედური, თითქოს მან პრივატიზაცია შეაფერხა, სწორედ ამ კონტექსტში უნდა გავიგოთ.

და მან გაბედა, აშკარად დაპირისპირებოდა ახალი მსოფლიოს ცრუწინასწარმეტყველთ. ბალტიის სამ ქვეყანასთან ერთად საქართველო ერთად ერთია ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, რომელმაც გამოკვეთილად საკუთარი, რადიკალურად ანტისაბჭოური გზა აირჩია. ეს უარი მიანიშნებს იმ სატანური ძალების სულიერ ბრძოლაში გამოწვევას, რომლებიც ინსპირიებდნენ ბოლშევიზმს. ბრძოლა ხილულ და უხილავ ზღუდეთა წინააღმდეგ, საქართველოს ისევ ძველი, საბჭოური ძალების ტყვეობაში რომ აყოვნებენ, წარმოგვიდგება, როგორც ერთგვარი განმეორება, იმ ომისა, ძველსპარსული მითოლოგიის მიხედვით რომ მიმდინარეობდა მზიური ზარატუსტრას მიმდევარ ირანელ ნათლისმატარებელ ხალხსა და ეშმას თაყვანისმცემელ თურანელებს შორის.

როგორც წესი, ასეთ ადამიანებს, რომლებიც მიწიერი ხელისუფლებისთვის გამართულ თამაშებზე მაღლა დგანან და სწორდ სულიერი სფეროდან სურთ წარმართონ ფიზიკური ფორმადქმნა, უწოდებენ ხოლმე შეშლილებს. ცხადია, ასეთი კომპრომეტაციის გზას ადგანან გამსახურდიას მოწინააღმდეგენიც. ამ კომპრომეტაციამ უმაღლეს მწვერვალს მაშინ მიაღწია, როცა მას, ვისაც ქრისტიანობასთან თავისი დამოკიდებულება არასდროს დაუმალავს, მიაწერეს გამონათქვამი, თითქოს ადამიანი, სხვა არაფერია, თუა რა სრულყოფილი მტაცებელი ცხოველი, ცნობიერად თუ არაცნობიერად აქ მოქმედებს სიძულვილი ყოველივე სულიერის მიმართ.

გამსახურდიამ მისი დამხობის შემდეგ განაცხადა, რომ იგი არასდროს გადამდგარა. მას სურდა მხოლოდ შეეწყვიტა, მთავრობის სახლთან მიმდინარე სისხლისღვრა, რომ იგი დაბრუნდება საქართველოში , რათა სამხედრო რეჟიმისა და გარდამავალი მთავრობის წინააღმდეგ იბრძოლოს. ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ცნობის თანახმად, სიტუაცია პუტჩის შემდგომ განსაკუთრებით იმედის მომცემი არ არის. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ იგი კიდევ დიდხანს დარჩება გაურკვეველი.

ამ ჩავარდნაში (თუკი საერთოდ არის ეს ჩავარდნა). უწინარეს ყოვლისა საცნაურია, ის სულიერ - მორალური იმპულსი, რომელიც გამსახურდიასეული სულიერი ქმნადობის სურვილიდან გამომდინარე, საქართველოს ბედს დაუკავშირდა. ამჯერად მოწინააღმდეგე ძალებმა იგი მოიგერიეს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კიდევ იქნება შესაძლებელი ძალადობით წართმეული ხელისუფლების კვლავ აღდგენა. თუმცა ეს მრავალ გარეგნულ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.თორმეტი წმინდა ღამის მანძილზე ადამიანთა მცირე ჯგუფი იცავდა განზრახვას, სულიერი ფიზიკურ სფეროში ფორმადქმნილიყო და, ალბათ, ყველასათვის ეჭვგარეშეა, რომ თვით ამ ფაქტმა უკვე მოამზადა სამომავლოდ საჭირო იმპულსი.

იოჰან მიქაელ გიუნტერი
, , დერშპრესსეშპიგელ“ N14
ქალაქი ზამაცი, გერმანია.
გაზეთი , , ქართული აზრი“
N8, 1992წ. 10მარტი"

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ გამოცემის მოკლე ისტორია და პრობლემები

წინამდებარე გაზეთი „განმათავისუფლებელი“ დავაარსეთ 2003 წლის დეკემბერში პოლიტიკურმა ემიგრანტმა ალექსანდრე სანდუხაძემ და მე. თავდაპირველად ერთჯერად გაზეთად გამოვუშვით. ვინაიდან, ამ პერიოდისთვის შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის მიერ შეწყვეტილი იყო ეროვნული მოძრაობის ყველა გაზეთის გამოცემა, ჩვენმა გაზეთმა მკითხველთა დიდი მასების ყურადღება მიიპყრო და გაჩნდა სურვილები და მოწოდებები გამოცემის გაგრძელების შესახებ. სანამ პრეისტორიას გავაგრძელებდე, ვფიქრობთ საინტერესო იქნება გამოცემაშეწყვეტილი ეროვნული იდეოლოგიის გაზეთების ჩამოთვლა:

„ქართული აზრი“ - რედკოლეგია

„აღდგომა“- რედაქტორი მურმან ზაქარაია

„იბერია სპექტრი“ - რედაქტორი ირაკლი გოცირიძე

„საქართველოს სამრეკლო“- რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე, ჯემალ დავლიანიძე

„კოლხური კოშკი“- თავდაპირველად რედაქტორის მაგივრად გაზეთს ხელს აწერდნენ აფხაზეთიდან დევნილები მარეხ ბაღიშვილი და როსტომ შამუგია, ხოლო შემდგომ კი გამოდიოდა ედიშერ გიორგაძის რედაქტორეობით

„წალენჯიხის ზარები“ - რედაქტორი თამაზ ფიფია

„თავისუფალი საქართველო“ - რედაქტორი თამარ ებრალიძე

„არჩევანი“ - რედაქტორი ბეჟან შერგელაშვილი

„თვალთაი“ - რედაქტორი რეზო ურუშაძე

„ზვიადის გზა“ - რედაქტორი გელა სალუაშვილი

„ადამიანის უფლებები“ - რედაქტორი ლევან ურუშაძე

„ლაშარის გორი“ - რედაქტორი ნოდარ ჯალაღონია

„მარჯი“ - რედაქტორი ბეჟან ჯავახია

გაზეთის გამოცემა მარტომ გავაგრძელე ყოველგვარი ტექნიკური და ფინანსური რესურსის გარეშე (ათი წლის განმავლობაში არ მქონდა კომპიუტერი, ფოტო და აუდიო აპარატი და მობილურიც კი). გაზეთი 16-გვერდიდან 20 გვერდამდე გავზარდე და დღემდე გამოდის პატრიოტი ადამიანების მწირი შემოწირულობებით, თავად კი მხოლოდ ცარიელ ენთუზიაზმზე ვმუშაობ. დაუძლეველი ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე პრობლემების გამო, გაზეთის გამოცემის პერიოდულობა დავუქვემდებარე ისტორიულ თარიღებს და წელიწადში მხოლოდ ხუთი-ექვსი ნომრის გამოცემასღა ვახერხებ. ამგვარი მეთოდით ავიცილე გაზეთის გამოცემის შეწყვეტისა და მედია-სივრციდან მისი სრულად გაქრობის საფრთხე. მიუხედავად, ამგვარი გამოხშირვითი პერიოდულობისა, გაზეთის მიმართ ხელისუფლებების ყურადღება არ ყოფილა განულებული.

სააკაშვილის რეჟიმი სხვადასხვა უღირსი მეთოდებით (ტერორით) მებრძოდა, რათა იძულებული გავეხადე შემეწყვიტა გაზეთის გამოცემა(რაზეც არსებობს ჩემი მრავალი საპროტესტო განცხადებები); გაზეთების გამყიდველების დაშინება-დამუშავების გზით მიაღწიეს მათ მიერ ჩემი გაზეთის მიმღებლობის შემცირებას, რაც ივანიშვილის ხელისუფლების პირობებშიც ინერციით გაგრძელდა და მხოლოდ ხუთ გამყიდველამდე დავიდა. ხდებოდა ისეც, რომ ზოგიერთი პიროვნებები ერიდებოდნენ ჩემს გაზეთში სტატიების გამოქვეყნება-თანამშრომლობას ეროვნულ-პოლიტიკური ბადის გამო. ივანიშვილის ხელისუფლებამ კი, რომელიც პრესის თავისუფლების წინასაარჩევნო პირობით აღზევდა ხელისუფლებაში, ლამის პოლიციის სათვალთვალო პუნქტი გახსნა ჩემი საცხოვრისი ფანჯრების ქვემოთ, რომლებიც გამუდმებით „პატრულირებენ“.

ამგვარი პოლიტიკური და ფსიქოლოგიური წნეხის გარდა, სტამბის საგადასახადო ხარჯების პერმანენტული ზრდითაც აღმოვჩნდი სრულ ფინანსურ კოლაფსში; ყოველი ახალი ნომრის გამოსაცემად, დოლარის კურსის მატების შესაბამისად მიწევს მეტი თანხის გადახდა სტამბისთვის, რომლებიც ქაღალდს დოლარებში ყიდულობენ. ჩემს გაზეთს კი, არც საპატრიარქო აფინანსებს, არც მერია, არც საერთაშორისო ორგანიზაციები, არც ბიზნესმენები და არც ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები, როგორც საქართველოს ტელევიზიებისა და ჟურნალ-გაზეთების აბსოლუტურ უმრავლესობას...

ჩემი გაზეთი მიუმხრობელ-შეურიგებელი ოპოზიციური გაზეთია!

ესოდენ მოზღვავებული პრობლემების გარდა, სპეცსამსახურებმა აამოქმედეს ქონდრისკაცთა ჯგუფი „ტროლების ფაბრიკიდან“ ბესო მიქავა-გიორგი კერვალიშვილი-ნათელა მოდებაძის სახით.

ეს „ტროიკა“ ეწევა ჩემს, როგორც რედაქტორის დისკრედიტაციასა და ცილისმწამებლურ კამპანიას გაზეთის დაფინანსებასთან დაკავშირებით. მათი მიზანია, როგორმე მიმტყუნოს ნერვებმა და შევწყვიტო გაზეთის გამოცემის ეს უმადური საქმე. ამ სტრატეგიით მათ რამდენიმე ვიდეო განათავსეს იუთუბზე და ფეისბუქზეც მონოტონურად აგრძელებენ ჩემი „მხილების“ კამპანიას. ეროვნულ მოძრაობის წიაღში ჩანერგილი ეს პარანოიდი ტიპები წარმოადგენენ სპეცსამსახურების ჩრდილოვან რესურსს, რათა ამგვარი ძალებით უფრო ეფექტურად ებრძოლონ ოპოზიციურ გაზეთს და მოკლან იგი ***(რედ.).***

მერაბ ყოცდავას 80 წლის იუბილე

მერაბი - უჩვეულო „ძე ქარიშვლისა“



მერაბი ფასეულობებისა და თავისუფლების დამცველი გმირია! ფასეულობათაგან ხომ ერთ-ერთი უმთავრესი სწორედაც თავისუფლებაა. უჩვეულო ფენომენის ადამიანი, ერის სულიერი წინამძღოლი ზვიადთან ერთად, მუსიკათმცოდნე, პოეტი, თეატრალური კრიტიკოსი, შემართების სიმბოლოა და უტეხი ძალა, მარად უდრეკი. „ლექსი მისი საქართველოს ციხეების დუღაბით ნაგებს ჰგავს."-ზვიად გამსახურდია. რა სიმძიმე გაიარეს, „ახალ ხარისხზე ასწიეს ერი და დაემკვიდრნენ ხალხში მითივით.“ ორივ ერთად - საქართველოს სიმბოლო! წუთისოფელმა ჩვეული ჭირვეული ზნე მათზეც დასცადა და საწუთროს წნეხზე მერაბი ლექსებშიც საუბრობს.

„ცხოვრება მუდამ სვამდა საკითხებს,
უკომპრომისოდ, ულმობლად მწვავედ.
საკუთარ სინდისს მკაცრად მოჰკითხე,
თორემ პირისგან მისისა განვედ.“

ვისზე ანდა რა მოვლენაზეც უნდა საუბრობდეს იგი, ყველაფერში თავად ვლინდება. ეს მასაც ეოცნებებოდა -"სხვა სამშობლო, ქვეყანა ღმერთის მაძიებელი.“ არაორდინალური დრო და გარემოც ხომ სრულყოფილებას მით უფრო ითხოვს:

„დამავალთა ზეობაა, მდაბლის მაღლით მზეობა,
უქცეველი ზნეობაა, უტეხელი მეობა.“

„ფათერაკს მკერდით გადაუდექი, მოძმეთ იმედი არ წარუხოცო“ - ეს მისი ხასიათია, უდრეკი გზნება.

მერაბის სისრულე, რაინდული სახე და განსაკუთრებულობა ყველაფერში იგრძნობა, გულსანდო, სხვა სიმაღლისა. აი, როგორ აფასებს იგი ნამდვილქალის მშვენებასაც:

„მრუდე განვირიდე ფიქრების ნაკადი,
მაგ ქართველქალობის ხელყოფას ვშიშობდი,
შენს მაღალ მშვენებას, დედოფლის საკადრისს,
სულის სისპეტაკე შეშვენის ღვთისმშობლის.“

ღირსების კაცი - ყველგან და ყოველთვის! ნების მთლიანობით, ხაზგასმული დახვეწილობით, დიდი კულტურითა და ცნობიერებით, მაინც როგორი სისადავით გამოირჩეოდა. მხნე რაინდი! „ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს, უნდა ელოდე შემდეგს.“ - გარდაუვალის გარდუვალობა მყარი როდია და შეცვლაც შეიძლება თუ იქნა ნება! უნდა გადალახო ყველა სიმძიმე, ყველაფერი რომ მოიპოვო.

„რად დაუტევე თავშესაფარი,
ან ზეცას ზურგი რად შეაქცია,
მოხეტიალე ცის ბინადარმა
ვიდრე შენამდე ჩამოაღწია“...

დიდია ვალი სამყაროსი, რჩეულთა წინაშე, ყოველივეს მიმართ. დავალებულია იგიც, ამ ვალის მიზღვა ყველგან იგრძნობა. ყველას წილხვედრ გამოსასყიდს მერაბი თითქოსდა თავად ტვირთულობს და სხვათა სათქმელსაც იგი ამბობს, ყველა სიკეთის ერთბაშად გამღები. თავსარგოდ ერთი დღეც არ უცხოვრია. რთულია ეს გზა, „ნუ სადა დამიტევებ, ნუ სადა განმეშორები“ (ღვთისმშობლისადმი). სიდიადის მეხოტბეა წერილებსა თუ პოეზიაში. ეს ხომ მასაც ხელეწიფებოდა - „ახსნის მიწიერ ყოფნის სპექტაკლებს.“ ის მხოლოდ უმჯობესს სცნობს. „გაქსუებული კოლტი ღორების“ სიზმარივით შორს რჩება; მერაბის სამზერი სხვას სწვდება. საწუთროს ცდომას ყველგან მტვერივით ჩამოიფერთხავს. ამაოებისთვის სად სცალია უკიდეგანო ფიქრის მხევალს. იგი თითქოს მხოლოდ მითოსში სახლობს - „მითოსით გახსენ ჭეშმარიტება.“ ბიბლიური სახე, გმირთა სახეც შექმნა ლექსებში, ის სახე, რომელსაც თავადვე ატარებდა მაღალი შინაგანობით და სასოებით. თავადვე იყო - „საღვთო ქორწილის მაყარი.“ ძალუმი კაცი! ზვიადთან ერთად - თვალშეუდგამ სიმაღლის სწორნი, ზეკაცნი!

„ფეხით მითელავენ ამაგს, სიკეთეს არვისგან ველი.“ და იქვე ძალაც, ამისდა მიუხედავად, - „ო, ნურც ივაგლახოს გულმა.“ სიყვარულის რომანტიკული ხედვა და საჭიროება ყველგან თან მიაქვს: - „სიყვარული რომ შეუკეთო შეშის მაგიერ.“ სიყვარულია მთავარწადილი. თავისუფლების რწმენაც ყველაფერში ჩანს, რომ ამირანს - „რკინის მკვნეტელად ვინც დაჰბადა იგი აუშვებს.“ სულის დავრდომილობა მისთვის უცხოა, შეუთოკავ - შეუბოჭავი გმირი იკითხება ამ პოეზიის მიღმა. სულის სიძაბუნეს არსად არა სცნობს. მისთვის ერთია ცხოვრებაც და ლექსის სამყაროც. იგი აქ სახლობს - სიყვარულის, თავგამეტების დიდ წიაღში. სიყვარულის გმირია! დროის შფოთიც საუკეთესო შვილებს გადაედებათ ხოლმე, ესეც მას ეთქმის მხილების მახვილითა და ღირსების ძალით: -

„თხემიდან ტერფამდე ხართ სინდისს ახდილი,
გინდათ, რომ სიწმინდეს ნამუსი ახადოთ.
მაგრამ შურისგების გაგტეხავთ მახვილი.
მოდგმას ადამიტურს ჩაზრდიხართ მარწუხად.
გინდათ რომ უკუსვლით ვიდოდეს სამყარო.
გსურთ რომ დედამიწა, როგორც ღორმა მუხა,
დედაბუდიანად გეზიდან ათხაროთ.“

აქ ჩანს მერაბის შეურიგებლობაც. მისი სულის სწორ-სარგო გარემო არსად იყო. მტარვალ დროს ეპაექრება, როს - „მოწამლულია თაფლი და ღვინო, ვერ ნახავ ორაგულს არაგვის ტალღებში“... და ძალამოცემულს სჯერა გამარჯვებისა, არცთუ მარტოა, - „კუშტად გადმოსცქერის სამყაროს მიქაელ არქისტრატეგოსი ზეციურ მხედრობის.“ აქაა შვება და მადლი... საცა ბრალია იქვეა ვალიც. ცოდვის გასწორებაც ამაოდ როდი იტვირთეს „ქრისტესმიერმა“ ძმებმა. სამყარო მათით „დაანკარავდა.“ საყოველთაო სიყვარულის ძალის სწამს; ეს ხომ კერძო ხვედრი არ იყო, ზოგადკაცების გზა ამგვარია, ხოლო თავგანწირვას გამოძახილიც მოსდევს! მერაბის ხედვა ჰუმანიზმითაა ნასაზრდოები. „კანონს სიქველე შეაშველონ მოყვასის მიმართ“ - პირდაპირ მოწოდებაა „საღვთო ეთიკის.“ ადამიანთა გამრუდებულს ღმერთი განასწორებს.

„შემაძლებინე მაღალო ღმერთო
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო.“

თავადვეა ჯვარისმტვირთველი, წინამძღვარიც, მოძღვართმოძღვარი კი დიდი კონსტანტინე იყო, მათი დამფრთიანებელი.

განა, ზვიადსა და მერაბსაც ზედმიწევნით არ შეესაბამება მერაბის პოეტური ამოძახილი? -

„მიტომ გაგიხსნეს საიდუმლოს ყველა კარები,
დაუყოვნებლივ ვინც სეირნობ ანგელოსებთან.“

სხვა სამყაროს სუნთქვაა მათში და გაცხადება. მათ მიწაზეც ზეცა იტვირთეს.

უკეთურობის ჟამი ცუდ მმართველობაშია:

„იმ ქვეყანაში ხალხიც მალე შეიბილწება,
ყოფა ტახტის და საკურთხევლის შესატყვისია.“

ყველაფერს რუდუნებით და ზრუნვით სწვდება მისი თვალსაწიერი. ზნეობის წიგნია მერაბის ლექსთა კრებული.

„ვინაც მიითვლის მარტოოდენ და არ კი გასცემს,
გაუმდინარე ტბას მაგონებს ამგვარი კაცი.“

ზნეობრივი გადარჩენა უნდა იყოს ადამიანის მიზანი. „მთას შესევია ბილიკები კენტი და ლუწი, „ - საითაც წახვალ ყოფაც იმის შესატყვისია ან ვის უკვალავ წინმავალი გზას. სხვაგვარობაა მათი ყოფის დღესასწაული, ამადაც შექმნეს მეტყველი მაგალითი!

სიდიადეც ხომ უბრალოებაშია - „სიმდაბლე თავად დიდების გზით მიემართება.“ „ღირს მამა დავითს“ საოცარი ხოტბაა - ცამეტი წმ. მამის (მათზე აკაკი წერეთელს აქვს მოკვლევა და ცნობილი ფაქტია, რომ ქართველები იყვნენ).

„საქმეთა თქვენთა ასაპყარეს ბილწი დრაკონი
და ბოროტება უმსახურეს სიკეთის წიაღს.“

სულ გრძელდება და მეორდება ქრისტეს დიდი მისტერია. ბოროტების ალაგვმა, დათრგუნვაა წმინდა საქმე, რომ ასაპყარო სიცუდე. სულიც ამგვარ ეპოქებს ედგა, როს დიად ძალას მოეცვა; „და თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთისმშობლის ღიმი.“ ქმნადობაშია სიკეთე, ღწვა, გარჯა.

ბუნების მადლითაც მრავალფერია სამყარო, კეთილზიარი, თანხმიერი, ღვთივკურთხეული: „მზეს დაუკრა მიწამ კვერი, „ ასე მობრძანდება ბუნების ბატონი - გაზაფხული:

„წინანდალში ვაზის ნაყარს ცრემლმა ამოატანა,
ნუშის ყვავილგადანაყარს უსალბუნა ატამმა.“

ეს ჰარმონია სულში ინაცვლებდა, ხან მუსიკად იღვრებოდა. მერაბი და ზვიადი ხომ საუკეთესოდ ასრულებდნენ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

ადამიანი ან ყველაფერია, ან არაფერი, არ არსებობს შუალედი: -

„და რომ განმართლდეს ძველი იგავი,
ან ნურსად იქნები, ან ყველგან იყავი.“

როგორ გრიგალივით მოძრაობს მერაბის დიდი სამყარო, ლაგამაუსხმელი, უაღვირო, დაუოკებელი. არავის შეეძლო მისი მარწუხებში მოქცევა. სულში ისმოდა მუსიკა ქარის.

„ქარდაქარ ქარდაქარ ქარდაქარ
იქროლე თეთრკავშა მერნებით,
მიღმეთში ისე ვერ გადახვალ
ჯვარცმულის წვით თუ არ ევნები.“

აი, სადაა მთავარძარღვი, თაურსიბრძნეც, ლეგენდად ყოფნის შესაძლებლობა. დრო კი ამგვარ მხედრებს როდი სწყალობს ხოლმე და ამგვარი სტრიქონებიც ბუნებრივია:

„შემოგვიტია, არ მოგვერიდა,
ირონიით და ნიშნის მოგებით.
ეს რა უწყალოდ გადაგვეკიდა,
რა უსაშველოდ მოგვაწვა რქებით.“

→

მერაბ ყოსტავას 80 წლის იუბილე

სულიერ მწუხრით შვილს ეხმიანება; ირაკლის უძღვნა, თუმც მთელი ეპოქა შეფასდა.

„აღვლესოთ გულნი, ვითარცა ხმლები."- სხვაგვარად უძალოა სიყვარული, უქმია გული. მერაბი თავადვე იყო „ვაჟკაცობის დიდი მოძღვარი." მის ლექსებშიც უფლის კვალია, ყველაფერი „მისარქმელია." ცხოვრება დუნეა ყალბი პათოსით, ამიტომაც ბავშვის გულუშურველობით ღირს სიცოცხლე, მისდაგვარი სიხალისე-სიწრფელით:

„ხელახლა ბალღათ თუ არ ვიქეცით,

სასუფეველში ვერ შევალთ ისე."

თანამედროვეთა შორის გამგებიც ცოტაა:-

„საიქიოში თუ ბინადრობენ

აღურაცხელნი მოყვასნი ჩემნი."

ძნელია სხვაგან დაიგულო თანამოაზრენი ნაძარცვ გარემოში. „თაღლითი თვალი წარეც კეისარს, ზენაარს თვალი პატიოსანი." - ცხოვრების ფორმულა ორივ გზის სამან-გზაგასაყარის, ორი სხვაობის... „სული იყავ და სულადვე იქეც" - ესეც განსხვავებული ფორმულა გარდასვლის, სული და არა - მიწა იყავ და მიწად იქეცო, - სახეცვლილია ცნობილი თქმა აღსასრულის, რადგან მიწა ყველგან დაძლეულია მასთან. ამაღლებული ყოფის მადლს უზიარებს სამყაროს. საპირისპირო დამცრობია, კნინი, უკადრისი, შემარცხვენელ -სახელამყრელი:

„მამაცი მხედრის გაგცვეთია ქუსლებზე დეზი...

და ცოხნი დღეებს შემაზრზენი კმაყოფილებით...

მამულის ტრფობით არ ყოფილხან ნაშიმშილები,

უკუნ ღამეში არ გაგიკრავს აბედზე კვესი,

რჩეულ ვაჟკაცებს პირველობას არ ეცილები...

აღსავლის კარზე სამარცხვინოდ გაეჩხირები."

თითქოსდა დედამიწა სიყვარულს ჩამორჩა და ადამიანიც ყოფიერებამ გაიტაცა, ამის შემკავებლად სურს აღიმართოს. თქმულიც მაშინ არის დიდი, როცა მთქმელის მიღმა ღირსება იგრძნობა. ყველა ბოროტება კი არასაკმარისი სიყვარულისა და არასაკმარისი ცოდნისგანაა. მათ კი განაღეს სულის კარი. არაფერს დაერიდნენ ვაჟკაცურ გამბედაობით, რაკი ადამიანმა დაკარგა მნიშვნელობა. ადამიანის ცხოვრება სავსეა მოვლენებით - კარგით თუ ცუდით; კარგს საპასუხო სჭირდება - საპასუხო განწყობა, შესაბამისი გრძნობა და ა. შ. რას დაუხვედრებ შენ, ხოლო ცუდ მოვლენებს კი პასუხი ესაჭიროება და რით სცემ შენ პასუხს? და რით მეტობ ამას, - აი, აქ არის ადამიანობის ხარისხი და ადამიანობის სიმაღლეც. ადამიანს ეს მნიშვნელობის განცდა უნდა დაბრუნებოდა, აღდგენა ამის უკვე საუფლო სურვილი იყო. საწუთროს დიდება მცირედად მოჩანს და ამრუდებს ადამიანის მისიას. წარმავალისთვის მოცალეობა ფუჭად დროის კარგვაა:

„რად გინდა საწუთროს ამაო დიდება,

მპარავი წაიღებს, არ დაგერიდება.

უსაგნო მიზნისთვის ხელი რად გაიღე,

საწუთროს დარჩება, ქურდივით წაიღებს."

სამყაროს შველა ცხოვრების წესად აქციეს ზვიადმა და მერაბმა. ორივემ -"დაუმორჩილა უზენაესს თავისი ხვედრი." თვითონაც იყვნენ „იმ ეპოქის კაცნი პირველნი, „ რომელნიც - „არასოდეს ბედს არ ჰყვედრიან." ცოტას თუ ვიხილავთ: „კაცს ანგელოსურს და ბიბლიურ ღმერთის სახიანს." მათ შექმნეს განსხვავებული ეპოქა და ცხოვრების სწორი მაგალითი!

ამადაც ამბობს მერაბი გულსარწმუნოდ:

„ლოცვად და ვედრებად მოვალ,

ლოცვად და ვედრებად მოვალ."

ის თავს იდებს ყველას გასაკეთებელს, სხვის წილადაც მზადაა თავად აღიმართოს ვით გოლიათი, ამაშია მისი ბუმბერაზობა. არჩევანსაც დებს და გადაწყვეტასაც თავად უძებნის:

„ვალის მიტევებას ნუ დააგვიანებ,

ვარდი დარგე და მოსთხარე ეკალი.

თორემ მოგიხტები ყოვლის წამლეკავი,

თორემ არ დაცხრება ჩემი მძვინვარება.

ზათქით გადავრეცხავ ზურგს დედამიწისას;

მცირე ნაკოდარებს გიქცევ იარებად...

ზვირთებს დავადევნებ ქარიშხალს აწყვეტილს."

აი, როგორი მეგობარი უნდა ჰყოლოდა ზვიადს! ამ გოლიათურ ძალასაც უწოდა - „ძე ქარიშხლისა." აი, როგორებს ძალუძთ შეცვალონ სამყაროს ბრუნვა! როგორც ზვიადმა შეაფასა - „მართლაც დისონანსი ამ ვაჭრულ ეპოქაში."

მერაბის მრწამსიც ამაშია - არა ამ მყოფადში, ურგებში, არამედ მერმინდელში, როცა საწუთროს გზას კაცობით გაივლი და სხვის ვალსაც თავს იდებ და კიდეც გარდიხდი.

„სიცრუის ხნარცვში და ჭორების მორევში თუ რამ სისწორეა,

ალბათ ის, რასაც წვითა და დაგვით იმ სოფლად წაიღებ."

მიტომაც შეძლო ყოფილიყო განსაკუთრებული და გამორჩეული!

მერაბის პუბლიცისტიკაშიც იგივე მორალური ატმოსფერო სუფევს და ზნეობრივი ხაზი. დიდი შეგონებაა! რამდენიმე ეპიზოდიც- საგულდაგულოდ: „ -"გალობა არს ხმა ანგელოსთადმი შემსგავსებული." დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახი, „ რომ ფერწერაში წარმოიდგინო აღმსდგარი ქრისტეს საფლავთან ყინწვისის ანგელოსის გონებისწამღებ ხატებას დაინახავდი. ბგერათა ლაჟვარდი და ჰაეროვნება ხაზებისა აქ ერთსა და იმავეს ღაღადებენ: „იცან თავი შენი, იდეალად დაისახე სრული კაცი, იგრძენ სულისკვეთება ჩვენი დიდი წინაპრებისა, ღვთაებრივს შეამსგავსონ კაცებრივი ბუნება ნათესავისა ჩვენისა... აი, განღმრთობისა და კაცებრივის ანგელოსურში გადაზრდის გზა." -საველრებელივით ისმის. ამგვარი სული და გზნება იყო დასაბამიდან -ეროვნულ წიაღში. ზნემ როს იცვალა ფერი, შეცვლილი რეალობაც მივიღეთ, ისეთი, როგორზეც შენიშნა: - „ორბელიანის იგავში „სოფლის მაშენებელნი" ცხოველთა სიმბოლურ სახეებში და მათ ქმედებაში ჩახვეულია ღრმა აზრი, ნაწარმოების ზღაპრულ სიუჟეტში იგრძნობა მწარე ირონია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ყეფითა და ყივილით ფიქრობენ დიდი საქმეების კეთებას." როგორი ნიშანდობლივია ჩვენს დროში ეს ხაზგასმაც.

ესათუთება მერაბის სული წარსულ სახეებს, იგონებს მათ, ვინაც დინების საწინააღმდეგოდ შეძლო აღმასვლა. გურამ რჩეულიშვილსაც სასოებით იხსენებს; ძალუმადაც შეაქო „ზღუდეთა მსხვრეველი." ამადაც დასახა ალავერდის გუმბათზე მდგომი - „ისტორიის ჯვარზე გაკრულ იბერიის სახედ." ერის სულის ხასიათი მის საუკეთესო შვილებში ვლინდებაო. ამავე წერილშია დიდი შემაჯამებელ-შეფასებითი რაფინირებული სიტყვა: „დიახ, სულის ახოვანი მხედრები არიან „ვეფხისტყაოსნისა" და „გალობანი სინანულისანის" ავტორები, რუსთაველი და დავით აღმაშენებელი, სულმნათი გურამიშვილი და ლაშარის მოყმე ვაჟა -ფშაველა. საქართველოს ცის ეტრატზე ამოტვიფრული მოიხილა ბარათაშვილმა მისი ბედის სამძღვარს გადაცილებული მერანი. ცხენზე ამხედრებული მიადგა სიტყვის ხუროთმოძღვარი კონსტანტინე გამსახურდია სვეტიცხოვლის ბჭეებს (სავანეს, სადაც ქრისტეს კვართი ანუ „საქართველოს ცხელი გული ასვენია") და თვით გალაკტიონიც თვისის ლექსებიდან ხშირად ეგზომ ნაზად გამომჭირვალი, მხოლოდ ლურჯა ცხენებით თუ ცხადდებოდა ცხენთა და ლექსთა შეჯიბრებაზე. დიახ, წმ. გიორგის მხედრებმა შექმნეს ჩვენი ეროვნული მწერლობა (ჩვენი დამწერლობის ერთ შტოსაც ხომ მხედრული ეწოდება). მაშასადამე, საქართველოში გზა ერთია მხედრობიდან სულეთისაკენ და მხედრობიდან მწერლობისაკენ." ჯერ მწერლობის არსი ასე არავის გადმოუცია. ეს მამულზე დამაშვრალი კაცის ფიქრებია. ერთგანაც ჩვეული სიდიადით მიუთითებს: -"თავად ჭეშმარიტებაა ყურითმოთრეულ ყველა ავტორიტეტზე უაღრესი და ავტორიტეტთა კომპეტენტურობის გამსაზღვრელი"... „დანარჩენი ჟამთა მონაკვეთში მომწყვდეული არასრულყოფილებაა, რომელიც გამუდმებით უნდა სცვალოს და სწვართოს სრულყოფილებისათვის მებრძოლმა". ამ სრულყოფილებისთვისაც დაწერს: - „აწ აღარავინ აიძულებს ადამიანს მსხვერპლის მიტანას სოლომონის, იოსების ან სხვა ნებისმიერ ტაძარში, დღეს მხოლოდ სულით და ჭეშმარიტებით გაღებული მსხვერპლი შეიწირების"... საგულისხმოა, როგორაა განსაზღვრული დასაბამიდან რჩეულებზე დაკისრებული საგანგებო ხვედრიც, წმინდა სიტყვას იმოწმებს - „და ამასცა იქმს ღმერთი მრავალგზის, რა იხილნოს სული ახოვანნი და დასაბამსავე მიუშენის მათ ზედა ბრძოლანი, რათამცა მალიად გვირგვინოსან ყვნა იგინი." „იდეების წრედიც" ასე იკვრება და სწორუპოვართა თანასწორობაც ასე ხდება შესაძლებელი... ილიას ღვაწლსაც გამოარჩევს, ვინაც - „დაუცხრომელი სულიერი ენერგიით შეაჩერა დაღმასვლა ქართველი ერისა." ამგვარი დაქანების უკიდურეს წერტილზე მოავლინაო ისტორიამ მხსნელად და მეოხად. იმ ძალისხმევას განადიდებს, რასაც შეუძლია ცუდი კარგად აქციოს. ყველაფრიდან, რასაც არ უნდა ეხებოდეს, მაგალითს სახავს.

ადამიანის მისიად თვლის: - „დაბალი ეგოისტური „მე" უმაღლეს „მე"-ს ანაცვალონ, პავლე მოციქულის თქმისა არ იყოს „მე"-ს ნაცვლად ქრისტე დაიმკვიდრონ ჩვენში." ადამიანმა უნდა მოახერხოს თავისი და სხვათა ზნეობრივი გადარჩენა! სხვების ხსნა - მისი მისიაა. ასეთია მორალური დებულებებითა და კეთილი საწადელით გაჯერებული მერაბის პუბლიცისტიკა და ვითარცა დიდი სამადლობელი ისე ხმიანობს, რასაც ერთობლივ ყველაფრიდან ასკვნის: - რომ განუყოფელია ღვთისა და მოყვასის სიყვარული, „რამეთუ ღმერთი თავისი განკაცებით მოყვასად იქცა, ხოლო აღდგომითა და კაცური საწყისის უკვდავყოფით მან ღმერთად აქცია მოყვასი."

დიდება ამ სიტყვას და დიდება მერაბს!

„სული იყავ, სულად იქეც!"

- საქართველო არასდროს ივიწყებს გმირებს!

ლალი ბარძიმაშვილი

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის რელიგიური პორტრეტი

დავით მეფეზე, აღმაშენებელზე უამრავი წიგნი თუ სტატია დაწერილა. მიუხედავად ამისა, დღემდე, ცალკე იშვიათად თუ ვინმეს გამოუყვია მეფე დავითის რელიგიური პორტრეტი. ამ წერილის მიზანიც სწორედ ეგ იყო, რომ შეძლებისდაგვარად ცალკე გამოგვეკვეთა დავითის რელიგიური სახე.

დავითი იყო სამოცდამეთვრამეტე შთამომავალი წმინდა დავით წინასწარმეტყველისა.

დავითის ისტორიკოსის ცნობით, იგი იყო „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა.“

დავით მეოთხე ქვეყანას სამეფო საბჭოს, ანუ დარბაზის მეშვეობით მართავდა. სახელმწიფო იმართებოდა „ხელმწიფის კარიდან“. ხელმწიფე იყო უზენაესი მმართველი, ხოლო ოთხი მონაზონი კი მთავრობის უპირველესი წევრები და მეთაურები იყვნენ: 1.იოანე კათოლიკოს–პატრიარქი.2. გიორგი მონაზონი, მწიგნობართუხუცესი(შემდგომში ჭყონდიდელიც); ევსტათი მონაზონი–აფხაზეთის კათოლიკოსი და 4. არსენ მონაზონი, იყალთოელი. ეს ოთხი ბერი (უმაღლესი იერარქია) ქმნიდა საბჭოს ცენტრალურ ბირთვს და წარმართავდა დარბაზის კარის საქმიანობას. დარბაზის წევრები კი, უპირველეს ყოვლისა ვაზირები იყვნენ, ანუ სახელმწიფოს ყველაზე დიდი ხელისუფალნი.

როგორც გვამცნობს დავითის ისტორიკოსი, დავითს განსაკუთრებით უყვარდა საეკლესიო წიგნების კითხვა. სერობის შემდგომ ძილის ნაცვლად წიგნის კითხვა ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული. წიგნებს თან დაატარებდა ყველგან, სადაც კი მიდიოდა: ნადირობა იქნებოდა ეს თუ ლაშქრობა. ასევე მუდმივად თან ჰქონდა მოძრავი ეკლესია–კარავი, რომელშიც ყოველ–დღე აღესრულებოდა ღვთისმსახურება. საღამოობით ქვეყნის

ზრუნვაზე დამაშვრალი მეფე თვითონ კითხულობდა სახარებასა და ღვთისმმეტყველთა ნაშრომებს. როცა კითხვით გადაიღლებოდა, სხვას აკითხებდა, თვითონ კი ყურადღებით უსმენდა. მას განსაკუთრებით ყვარებია პავლე მოციქულის ეპისტოლეები, რომლებიც ზეპირად იცოდა. დავით მეფის ცხოვრების აღმწერი გვამცნობს: სამოციქულოს კითხვას რომ დაასრულებდა, წიგნის ბოლოს ნიშანს დაასვამდა ხოლმეო. ერთ წელიწადს რომ დაუთვლიათ ასეთი ნიშნები მიმხვდარან, რომ იმ წელს მეფეს სამოციქულო 24–ჯერ წაეკითხა.

მეფე იყო კარგი ღვთისმეტყველი და ხშირად განუმარტავდა სახარების ადგილებს გარშემომყოფთ.

დავითი მათხოვრებისათვის განკუთვნილ თანხას არც ხაზინიდან იღებდა და არც გადასახადებიდან. არამედ საგლახაკო შესაწირი, ყოველთვის პირადი მადლით ჰქონდა მოპოვებული: ომით, მუშაკობითა თუ ნადირობით. ერთხელ თავის მოძღვარ იოანეს, გლახაკთათვის დასარიგებლად, პირადი ღვაწლით მოპოვებული 24 ათასი დრაჰკანი გადასცა. ეს დღეისათვის რამოდენიმე ათეულ მილიონ ლარს შეესაბამება.

დავითის ისტორიკოსი გვეუბნება, რომ მეფეს იმდენივე მადლი მოეგო თავისი სიწმინდით, რამდენიც ანტონი დიდს.

დავითი გამორჩეული ყოფილა თავისი სიმშვიდით და ეს სიმშვიდე არასოდეს სტოვებდა მას. კარგად იცოდა ადამიანების ცნობა და ყოველთვის უწყოდა, ვინ უნდა დაეყენებინა თავის გვერდით. იცოდა, როდის იყო საჭირო რაიმე ქმედების დაწყება.

დავითი მოციქულებრივი ღვაწლითაც დაჯილდოვა უფალმა. მის დროს მრავალი სომეხი თუ მაჰმადიანი მოინათლა მართლმადიდებლურად.

დავითი ხშირად ნახულობდა შიომღვიმის მონასტერში მონაზონ არსენს და ამ უკანასკნელს სწორედ მეფის რჩევით დაუწესებია იქ სვიმეონწმინდური ტიპიკონი.

მაშინ როდესაც ქართველები და სომხები ანისის განთავისუფლებას ზეიმობდნენ, მეფესთან სომეხი სწავლულები მივიდნენ და საეკლესიო კრების მოწვევა სთხოვეს.რომელსაც უნდა გამოეძიებინა, ვისი სჯული იყო ჭეშმარიტი. მეფემ მართლაც მოიწვია ასეთი კრება. ქართველთა და სომეხთა პაექრობამ ცისკრიდან მწუხრამდე გასტანა. დასასრული კი ჯერ არ ჩანდა. მაშინ დავით მეფემ თავად მიმართა მოპაექრეებს და ისეთი მსჯელობა წარმართა და ისეთი მაგალითები მოუყვანა, ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ და სომეხმა მღვდელმთავრებმა მიუგეს: ჩვენ შენ სასულიერო პირთა მოწაფე გვეგონე და თურმე პირიქით ყოფილაო.

დავითმა გიორგი ათონელის თარგმანის შემდგომ ხელახლა ათარგმნინა არსენ ბერს ანდრია კრიტელის კანონი და აკი თავადაც დაგვიტოვა შესანიშნავი პოეტური ლოცვა: „გალობანი სინანულისანი“.

აღსანიშნავია, რომ „გალობანი სინანულისანში“ დავითი ინანიებს როგორც პირად, ასევე ერის ცოდვებს. ის იყო კანონიერი მეფე და მას ალბათ ჰქონდა ამისი უფლება.

„გალობანი სინანულისანი“ არის ფაქტიურად ნიმუში: როგორი სინანულის გრძნობა უნდა ჰქონდეს მეფეს და სამწუხაროა, რომ შემდგომ არც ერთ მეფეს მსგავსი სინანულის წერილობითი ძეგლი არ დაუტოვებია. მე საგანგებოდ არ შევეხე ამ წერილში დაწვრილებით, რუის–ურბნისის კრებას და კიდევ სხვა ძალიან ცნობილ ფაქტებს. რომელზეც ხშირად წერენ ხოლმე.

დავით აღმაშენებელმა მშვენივრად უწყოდა რომ ქვეყნის უკან სვლას აქვს თავისი სულიერი მიზეზები. ამიტომაც მოიწვია 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელზეც არა ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო განხილული და წინ წამოწეული.

1106 წელს დავითმა ჩაუყარა საფუძველი გელათის ტაძრის მშენებლობას, სადაც უნდა ეარსება გელათის აკადემიას.

სამწუხაროდ, დღეს ხშირად წერენ ხოლმე, თითქოს დავით აღმაშენებელი პარასკევ დღეს (ეს დღე მოგეხსენებათ როგორი მნიშვნელოვანი დღეა ყოველი ქრისტიანისათვის.) შედიოდა მეჩეთში და იქ ლოცულობდა. საბედნიეროდ, დავით აღმაშენებლის არც ერთი ისტორიკოსი „ქართლის ცხოვრებიდა“ ჩვენ ამის შესახებ არაფერს გვეუბნება. ამას გვაუწყებს მუსულმანი ისტორიკოსი, უფრო მოგვიანებით. რომელიც ასეთ სერიოზულ ტყუილსაც გვაპარებს: თითქოს დავით აღმაშენებელს იმიტომ გაუმარჯვია დიდგორის ომში, რომ მუსულმანები იქ ძალიან ცოტანი ყოფილან. სჯულის კანონი კრძალავს სხვა სარწმუნოების აღმსარებელთან ერთად ლოცვას. ეს არის ეკუმენიზმი. დავითი კი „გალობანი სინანულისანში“ საგანგებოდ გვეუბნება: მე ჩემი რჯულისთვის არასოდეს მიღალატიაო.

აი, უმცირესი ჩამონათვალი იმ მიზეზებისა, რატომაც სწყალობდა უფალი დავითს. დიდგორის ომში კი თავად წმინდა გიორგი იბრძოდა ხილულად ქართველ მებრძოლებთან ერთად.

თავმდაბალმა მეფემ სიკვდილის წინ მოისურვა:ფეხი დამადგით, გულზე დამადგითო. დიახ: როგორი თავმდაბლობითაც განვლო წუთისოფელი, ასეთი თავდამბლობის ნიმუშადაც იქცა დავით მეფის საფლავი.

ნინო ტარყაშვილი

დავით სარაჯიშვილის გარდაცვალება და ანდერძი

2019 წლის ივნისში, დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან 108 წელი სრულდება. ადამიანი, რომელმაც თავის ქვეყანას მთელი თავისი სიცოცხლე შეალია, დღეს მივიწყებულია და თუ რამე იწერება, ძირითად შემთხვევაში არასწორად და გაუაზრებლად. მისი პიროვნების „მიჩქმალვას“ საბჭოთა კავშირის ტოტალიტარულ რეჟიმს ვაბრალებთ, თუმცა თითქმის 30 წელია, რაც დამოუკიდებელნი ვართ და საკითხის რეალისტური აღქმა და სიმართლის წერა, ჯერაც ვერ ვისწავლეთ.

მას შემდეგ, რაც 1880 წელს, მამის გარდაცვალების გამო ევროპიდან სამშობლოში დაბრუნდა, საქართველოში არ წამოწყებულა არც ერთი საქმე, რომ მასში რაიმე წვლილი არ შეეტანოს დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს. ეკლესია-მონასტრების აგება-რესტავრირება, ნიჭიერ ახალგაზრდათა სწავლის დაფინანსება, ერთჯერადი დახმარებები. ასეთი მაგალითები უხვადაა მის ბიოგრაფიაში, თუმცა დღეს ეს ჩვენს განსახილველ საგანს არ შეადგენს.

თავისი გამჭრიახობით, ცოდნით, ნიჭითა და რაც მთავარია, შრომით საკმაოდ დიდი ქონება დააგროვა. „სამშობლოს სიყვარული დავითის გულში დაუშრეტელ ცეცხლად ღვიოდა და ლხენის მაგიერ გულს უწვავდა, იმიტომ რომ სამშობლოს აწმყოში მხოლოდ ჭირსა და უკუღმართობას ხედავდა და მომავალშიც სანუგეშოს არაფერს მოელოდა. სამშობლოს ბედი მარად მისი დარდი და საზრუნავი იყო, მისი გადამკიდე ფიქრი ყოველთვის, ყველგან და ყველასთან სასაუბროდ ესა ჰქონდა „რა ეშველება ჩვენს საქართველოსაო?“ - წერდა ალექსანდრე სარაჯიშვილი დავითის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

დავითმა სიცოცხლეში საქველმოქმედო მოღვაწეობა არ იკმარა და ანდერძით უკვდავყო თავისი სახელი და შეიძლება ითქვას, სიკვდილიც დათრგუნა.

1910 წელს დათიკოს (ასე მიმართავდნენ მას ილია, აკაკი და სხა მოღვაწეები-ნ.ს.) სწორი ნაწლავის კიბო დაუდგინეს. თავდაპირველად მას ახლობლები ამ ამბავს უმალავდნენ, თუმცა დავითს გაუსაძლისი ტკივილები ჰქონდა და კარგადაც ხვდებოდა, რომ მას „ზეციური საქართველოს“ შვილები უკვე ელოდნენ.

ხშირად უწევდა საზღვარგარეთ ყოფნა, განსაკუთრებით კი გერმანიაში. ძირითადად საქმიანი ვიზიტები ჰქონდა, ახლა კი, მაისის ბოლოს იგი საოპერაციოდ გაემგზავრა, რათა შერკინებოდა სენს, რომელიც დღესაც ბევრ ადამიანს ამარცხებს. საქართველოდან გერმანიაში წავიდნენ - დავით სარაჯიშვილი, მისი მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა, დავითის უახლოესი ნათესავი და მეგობარი ალექსანდრე სარაჯიშვილი, ანდრო მამაცაშვილი და მისი მეუღლე ნინო მაჭავარიანი. როსტოვში დავითმა, ყველასგან ფარულად, ალექსანდრე სარაჯიშვილის თანდასწრებით ნოტარიუს ვასილი ტიმოთეს ძე ცვეტკოვთან თავის ანდერძს ოფიციალური სახე მისცა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ერთი წლის შემდეგ, კიდევ ერთი ოპერაციისთვის იგი კვლავ უნდა სწვეოდა გერმანიას. დადგა 1911 წელიც, მისი მდგომარეობა საშინლად გაუარესდა, რის გამოც იგი სასწრაფოდ გერმანიაში წაიყვანეს საოპერაციოდ, თუმცა გართულებული მდგომარეობის გამო კონსილიუმმა ოპერაცია მიზანშეწონილად არ ჩათვალა და ისევ საქართველოში დააბრუნეს სპეციალური ვაგონით, ვინაიდან ყველაფერი უშედეგო იქნებოდა. გარდაცვალებამდე მან საქართველოში სულ რამდენიმე დღე დაჰყო. სულთმობრძავს დღე-ღამეში სამი მორიგე ექიმი ადგა თავზე. მალევე გონება დაკარგა და რამდენიმე დღიანი კომის შემდეგ, 1911 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა.

მის გარდაცვალებას არა მარტო ქართულ, არამედ უცხოურ პრესაშიც დიდი გულისტკივილით შეხვდნენ. სომხურ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ლიტვურ (დღევანდელ დღეს უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით - „ლიეტუვურ“-ნ.ს.) გაზეთებში იბეჭდებოდა გამოსათხოვარი წერილები, შტრიხები მისი ყოველდღიური ცხოვრებიდან, მისი ხასიათის სხვადასხვა თავისებურებანი. ავტორები დიდი გულისტკივილით ეხმიანებოდნენ ამისთანა ადამიანის დაკარგვას. მაგალითად, გაზეთი ძველი საქართველო წერდა - „წლევანდელი წელი ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში უბედურ წელიწადად უნდა ჩაითვალოს, მით რომ დავკარგეთ ისეთი უდარო მოღვაწე, როგორიც იყო დავით სარაჯიშვილი“.

პანაშვიდებსა და დაკრძალვის ცერემონიალის დროს უამრავი მაშინდელი მოღვაწე და ნარჩინებული პირი გამოვიდა სიტყვით.

მთელ ამ მოვლენებს კი ნათლად ასახავს შემდეგი სიტყვები, რომელიც ეპისკოპოსმა ლეონიდემ წარმოთქვა სიონის ტაძარში - „რითია სამგლოვიარო ეს დიდებული სანახაობა, სადაც უმწეო ქვრივი და ბეჩავი ობოლი, წელში გახრილი მუშა და საცოდავი გლეხი, სახელოვანი სოვდაგარი და უბრალო მეწვრილმანე ნოქართან ერთად, მოსწავლე, მასწავლებელი და დიდებამოხვეჭილი პროფესორი, მოხელე და მოქალაქე, რუსი, ქართველი, სომეხი, ოსი და მუსულმანთა ერები სულით და გულით შეერთებულნი, თავს ევლებიან ამ ბრწყინვალე კუბოს და არ იციან, ვინ ვის აჯობოს მიცვალებულისადმი პატივისცემის გამოთქმაში!..“

თავდაპირველად დავით სარაჯიშვილი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკებმა მისი გადასვენება მოითხოვეს. 1939 წლის 20 ნოემბერს, თბილისის საბჭომ გასცა დოკუმენტი ადამ ფორაქიშვილისადმი, რომელშიც წერია -„პანთეონისთვის გამოყოფილ ნაკვეთზე უნდა დაკრძალული იქნან ის პირნი, რომელთა მოღვაწეობაც ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების დარგში ცნობილია. დ. სარაჯიშვილი და მისი მეუღლე კი, რადგანაც არ ეკუთვნიან აღნიშნულ კატეგორიას, პანთეონის ნაკვეთზე დატოვებულთა სიაში არ არიან.

ამიტომ, გევალებათ, დ. სარაჯიშვილის და მისი მეუღლის ნეშტი გადაიტანოთ სხვა სასაფლაოზე 10 დღის ვადაში. პანთეონის დირექტორი ივ. ენიკოლოფაშვილი.“ ამის შემდეგ, დავითი და თავის მეუღლე ვაკის სასაფლაოზე განისვენებდნენ. 1995 წელს კი ამ ორი ადამიანის ნეშტი, შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანად დაუბრუნდა ღირსეულ ადგილს და ისინი დაკრძალეს ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, რომლის აშენების ხარჯებიც დავით სარაჯიშვილმა გაიღო.

ახლა კი ანდერძის შესახებ, რომელიც ხშირად ქვეყნდება სოციალურ ქსელში და რომელიც, არ ეკუთვნის დავით სარაჯიშვილს.

საქმე ისაა, რომ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ანდერძი ეკუთვნის ეკატერინე ფორაქიშვილს, დავითის მეუღლეს, რომელმაც იგი 1916 წელს შეადგინა და მისი განსვენებული მეუღლის არ იყოს, ისიც უხვად გასცემს არსებულ ქონებას. ნუთუ, არც ერთ ჟურნალისტს, ან ამ ანდერძის გამზიარებელს არ დაებადა კითხვა, რატომაა ანდერძი 1916 წლით დათარიღებული, როცა დავითი 1911 წელს გარდაიცვალა?

ქვემოთ, მოვიყვან დავით სარაჯიშვილის ანდერძის შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც რუსულ ენაზეა შედგენილი 1910 წლის 3 ივნისს, ქალაქ როსტოვში, ნოტარიუს ვასილი ტიმოთეს ძე ცვეტკოვთან.

"მე, დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, მყოფი ჯანმრთელ გონებრივ მდგომარეობაში, ჩემი სიკვდილის შემთხვევაში -

1. ჩემს საკუთრებაში მქონე უძრავ ქონებას, კერძოდ სახლს სერგეევის ქუჩაზე, თავისი მიწის ნაკვეთით, ვუანდერძებ ჩემს საყვარელ მეუღლეს, ეკატერინე ივანეს ძე სარაჯიშვილს, რომლის გარდაცვალების შემდეგაც ეს ქონება უნდა გადავიდეს კანონიერი მემკვიდრეების კუთვნილებაში.

2.ასევე მთელი ქონება სოფელ დიღომში, შემავალი ტფილისის მაზრაში ვენახითურთ.

3. ასევე, უძრავი ქონება გორკის ქუჩაზე, სადაც მდებარეობს არყის ქარხანა, მშენებლობანი, სახდელი აპარატურა და აგრეთვე ორსართულიანი სავაჭრო წერტილი, აგრეთვე ვაძლევ წილს ჩემს ახლობელს დავით და სიმონ პარაკოვებს, ვაძლევ აგრეთვე წილს ეგზარხოსის ქუჩაზე ჩემს საყვარელ დებს, აგრეთვე აგარაკი რომელიც მდებარეობს სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბაკურციხეში, ყურძნის ბაღით ვუანდერძებ ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილს, თავად ვაჩნაძეს მიეცეს უძრავი ქონების ნაწილი სიღნაღის მაზრაში და დაჩის ნაწილი წოდორეთში. აქედან გაყიდული თანხის ნაწილი მიეცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართული მუზეუმისა და რუსეთის იმპერიაში შემავალი სასწავლებლის სტუდენტებს. ასევე საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს. ყველა დანარჩენი ქონების ნაწილს ფაბრიკებს, ქარხნებს, სახლებს, მიწას და სხვა დანარჩენ მოძრავ ქონებას ვუანდერძებ ჩემს მეუღლეს ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილს.“

ამის შემდეგ კი დავითი პირდაპირ ჩამოთვლის, თუ რომელ დაწესებულებას რა ოდენობის თანხა უნდა გადაეცეს. აი, მაგალითად - ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას მან 25 000 მანეთი დაუტოვა, განათლების საზოგადოებას პროფესიული სკოლების დასაარსებლად - 50 000 მანეთი. ქალაქ ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას და აგრეთვე ქალაქ ქუთაისს თეატრის ასაშენებლად - 40 000 მანეთი, მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენს - 10 000 მანეთი, ქალაქ თბილისის სადასტაქრო საავადმყოფოს შენობის ასაგებად - 200 000 მანეთი და ა.შ.

სარაჯიშვილმა, აგრეთვე გარკვეული თანხა უანდერძა მის მეგობრებსა და ახლობლებს, რაც მთავარია, მას არ დავიწყებია არც ერთი მუშა და ანდერძში ხაზგასმითაა შენიშნული - „ვალდებულია ჩემი ცოლი, ეკატერინე ივანეს ასული, სამი წლის თავზე ყველა ჩემს მუშას, ხელოსანს რომლებმაც იმსახურეს ჩემთან არაუმეტეს ორი წლისა მიეცეთ 25 მანეთი“. ანდერძი სულ 9 ფურცელია და მისი სრულად მოყვანა აქ არ იქნება მართებული, სტატია კი მინდა ივანე მაჭავარიანის სიტყვებით დავასრულო: „კაცი იყო შრომითა და მოყვასთა სიყვარულით სრული, ქვეყნის სიყვარულით ძლიერი!

განა ასეთი ძლიერებით აღჭურვილს სიკვდილი მოერევა?

სიკვდილი მცონართა ხვედრია, რომელთაც სიცოცხლე კუჭის ტრფიალებაში დაულევიათ და ქვეყანა, ქვეყნის ბედი ფიქრადაც არ მოსვლიათ. აკი შესჭამეს მამა-პაპეული წმინდა განძი!

სიკვდილი მცონართ, რომ თუ არ ზიზღით, აღარავინ მოიხსენების!

ეს კი კაცი იყო, ქვეყნის სიყვარულით განათლებული!

გაჭირვებულს, დაბეჩავებულს ქვეყანას ემსახურა, მანამ შეეძლო და ახლა... ახლა ლამპრად აენთო მწუხრში მყოფ სამშობლოს, სასოწარკვეთილ მშრომელ ხალხს კვლავ გაუღვიძა თითქმის ჩამქრალი ძველი იმედი: - „ გმადლობ, შენ ღმერთო, კიდევ ჰყოლია ჩემს ქვეყანას ერთგული შვილიო!“

აქ სიკვდილს რა ხელი აქვს?

აქ მიცვალებაა, ე.ი. უკვდავება.“

თსუ-ს ისტორიის მიმართულების სტუდენტი

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

(სტატიის ავტორს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვს - რედ.)

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

მარინა ხუჭუა

სამშობლო ჯიშის სიყვარულია

სამშობლო ალბათ ჩუმი ფიქრია
დაუღალავად თან რომ დაგყვება,
სამშობლო ალბათ უფრო ნატვრაა
მუხლზე დაცემა და აღსარება.
სამშობლო გულში დაუტეველი
და გაცემული სიყვარულია,
მისთვის ნათევი უძილო ღამე
და ცრემლიანი სინანულია.
ღამე სარკმლიდან ცას რომ გახედავ
უცხო ქუდივით გადმოკიდებულს,
წელში გამართვა რომ აგტკივდება
ზურგზე საპალნეწამოკიდებულს,
უცხო მიწაზე ფეხის დადგმისას
მის სიახლოვეს რომ ვერ განიცდი,
მთვარეც ყუჩდება დამუნჯებამდის
სალაპარაკოდ რომ არ დაგიცდის,
რას არ მისცემდი სამშობლოს ცის ქვეშ
გატარებული ერთი ღამისთვის,
მხოლოდ რომ ერთხელ შეგევლო თვალი
შეყვარებული შენი ქალისთვის,
მხოლოდ რომ ერთხელ, მხოლოდ რომ ერთხელ,
რომ არ მთავრდება სულში ღმუილი,
სისხლში რომ ყმუის დაბმულ ძაღლივით
ის მონატრება უხმო ზმუილით,
ალბად ესაა სამშობლოს განცდა
განცდა, რომელიც სულ თან დაგყვება,
განცდა, რომელიც ძარღვებში ფეთქავს
შენში რომ რჩება და არ მთავრდება... .
სამშობლო ალბათ მაინც გულია
სანთლების შუქზე ლოცვა ხატისა,
სამშობლო ჯიშის სიყვარულია
ჯიშის ყივილი შენი ხალხისა.

სიკვდილის ექო

გადაუფრინა ექომ სართულებს,
საჯიშე ვენებს დასდინდათ სისხლი,
მარტი სიცივეს სულში აბრუნებს...
ვდგევარ და შიშის თვალებით ვიცდი...

მციოდა წუხელ, გათოშილ ხელებს,
შიოდათ სითბოს ერთი ნამცეცი,
ქარიშხლის ქროლვას, მთლად განახელებს,
ვერ გავუტოლე ფიქრი დამრეცი... .

მარტია გარეთ, მარტია სულში,
ეს მზეც რა ნელა ზლაზვნით ანათებს,
ვავლებ იმედებს თბილ გაზაფხულში
და შენთან ვატან შვილო ბარათებს... .

აივანი, იმერული რიკულებით...

აივანი, იმერული რიკულებით,
ნიგვზის ჩრდილში იქ ბეღურა აფრინდა,
დრო მეძახის ბავშვობისკენ ვიყურები,
ღობის ძირში სარეველა გახშირდა.
საფეხურებს მოსდებია ფერი ხავსის,
ხის ჩეროში აღარ სძინავს „ბამბურას“,
დღეს გავტეხე წლების შემდეგ ძველი ნავსი,
ძველებურად მოვუკიდე ნავთქურას... .
ყურმოტეხილ ფინჯანს მტვერი გადავწმინდე,
ბიის ფოთლის ჩაის გემო ვინატრე,
კუნჭულ კუნჭულ მოვიარე კიდით კიდე,
დანარჩენი მოგონებებს მივანდე... .
სიჩუმეში ღელის ხმაურს ვაყურადე,
დილის ცისკარს გამოვუღე დარაბა,
აქ ბავშვობას დაუგია ჩემთვის ბადე,
მასპინძელოო! გადავძახი კარგადაკარ...
აივანი, იმერული რიკულებით,
ნიგვზის ჩრდილში იქ ბეღურა აფრინდა,
დრო მეძახის ბავშვობისკენ ვიყურები,
ცასაც ჩემთან ერთად ცრემლი დადინდა...

ღამე დიუსელდორფში

ლამპიონებს ღამის ფერი გაუფანტავთ,
უცხო თვალით დანახულის ფიქრი მავსებს,
დიუსელდორფი, უჩვეულო კონტურს ხაზავს,
მიწვევს, მაგრამ ვერაფრით ვერ გამიტა-ცებს...
გამიტაცებს მე თბილისის ნარიყალა,
მთაწმინდიდან დანახული ღამის პანო,
იმერეთი, გელათი და სათაფლია,
ამათ შემდეგ სხვა ან როგორ შევიყვარო.
გარეთ ღამე განოლილა ლამპიონზე
და დილამდე ხმები ისმის მანქანების,
აქა ვარ და მინდა დავტკბე მათი ცქერით,
მაინც ჩემი მახსენდება დანანებით.
მკურნალად რომ ვერ დავედე ჭრილობაზე
და ღამესაც მკრთალი შუქით ვაელვარებ,
მაგრამ შენი, შენი მაინც სულ სხვაა და
სილამაზე სხვისი რომ არ გავერანებს.
ლამაზია ღამის შუქზე დიუსელდორფი,
სხვა ეშხი აქვს გადმოხედვას მთაწმინდიდან,
აი, დილაც მზის სხივებში გაეხვია,
მე კი სულში სიმარტოვით გამიწვიმდა...

გიორგი ზუბიტაშვილი

ჩემი მდევარი

შეწყდა უაზრო ძაღლთა ყეფა ყველა
მხარიდან,
მხოლოდ ჩემს ეზოს შემოსტირის ეს
ჩემი ძაღლი,
აღარც ტურები არ ყმუიან გაღმა ხევიდან,
თითქოს განცდა მაქვს რომ სამყაროს
დაერქვა მკვდარი,

გუშინ გაავდრდა ტყეს დაედო
თეთრთვალა თოვლი,
გუშინ მთელს სოფელს აყრუებდა ძაღლთა
გრიგალი,
ნისლი ფაფახად დადებული ბურავდა
მთებს და
ირგვლივ ისმოდა წყალთა
ჭექა-ქუხილ-ღრიალი,

ახლა კი შეწყდა ძაღლთა ყეფა ყველა
მხარიდან,
ჩემი ძაღლი კი ღელავს და ნაწვიმარ
მდინარესავით,
თითქოს სამყარო დაიცალა ან
გაპარტახდა,
და მის სატკივარს შემომჩივის
ჩემი მდევარი.

სულს არ შეეხო

სულს არ შეეხო, არ გაბედო მისი დაცემა,
ნუ მოინდომებ გადაცელო ნორჩი ბალახი,
თუ შენს სულეთში ეკლიანი ბარდი
გაბევრდა,
აღარ გაუშვა, არ გავიდეს სხვსა ყანაში.

ყაყაჩოების ყვავილობას ყური დაუგდე,
ეკალ-ბარდები ვერ აკავებს
წითელ ყაყაჩოს,
გთხოვ დაუჯერე, გთხოვ დაუჯერე
გაფანტულ ღრუბელს,
ის გეუბნება ეკალ-ბარდებს სუფთა სული სჯობს,

ეპატიება ყველა მოკვდავს თითო ეკალი,
თუ თავისდროზე ძირიანად მოგლეჯს,
დააჭკნობს,
ყოველივ იმას გადმოიწერს ჩემი მელანიც,
იქიდან სადაც ეკალ-ნარებს სუფთა
სული სჯობს.

სულს არ შეეხო, არ გაბედო მისი დაცემა,
ნუ მოინდომებ გადაცელო ნორჩი ბალახი,
თუ შენს სულეთში ეკლიანი ბარდი
გაბევრდა,
აღარ გაუშვა, არ გავიდეს სხვსა
ყანაში. ჩემი მდევარი

შეწყდა უაზრო ძაღლთა ყეფა ყველა
მხარიდან,
მხოლოდ ჩემს ეზოს შემოსტირის ეს ჩემი ძაღლი,
აღარც ტურები არ ყმუიან გაღმა ხევიდან,
თითქოს განცდა მაქვს რომ სამყაროს
დაერქვა მკვდარი,

გუშინ გაავდრდა ტყეს დაედო
თეთრთვალა თოვლი,
გუშინ მთელს სოფელს აყრუებდა ძაღლთა
გრიგალი,
ნისლი ფაფახად დადებული ბურავდა მთებს და
ირგვლივ ისმოდა წყალთა
ჭექა-ქუხილ-ღრიალი,

ახლა კი შეწყდა ძაღლთა ყეფა ყველა მხარიდან,
ჩემი ძაღლი კი ღელავს და ნაწვიმარ
მდინარესავით,
თითქოს სამყარო დაიცალა ან გაპარტახდა,
და მის სატკივარს შემომჩივის ჩემი მდევარი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

პროზა

ჯავახური იასამნები, „დოსტები“ და მაგდა გოგო პარიზიდან

12 წლის იყო მაგდა მშობლიურ კუთხეს, ჯავახეთს, რომ მოსწყვიტეს მშობლებმა და პარიზს წაიყვანეს... მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგდა გოგოც გაიზარდა, შეიმეცნა, შეიყვარა... ოცდახუთი წლის შემდეგ კი, ფუძისა და ფესვების მოსანახულებლად პარიზიდან სამშობლოს მოაშურა...

ჯავახეთი... უცნაური შეგრძნებაა, როცა შორიდან ბრუნდები და აღმოაჩენ, რომ ირგვლივ არაფერი შეცვლილა... ისევ ის ქვა დევს, ისევ ის ყვავილი იზრდება ამ მიწაზე, „მესაზღვრე ყვავილი“, რომ დააწერინა გალაკტიონს... ჯავახეთში ნანახ იმ ყვავილს, ნიკო კეცხოველს „კეცხოველა“ რომ დაარქმევინა... ისევ ის სურნელი ტრიალებს... ჰოდა ასეთ ყოველმხრივ შეუცვლელ მიწაზე, ძ ალუმად გრძნობ როგორი შეცვლილი ხარ თავად...

განსაკუთრებით ლამაზია თოვლიანი აბულის მთის ხილვა ივლისში... დილით, მთებზე შემოჯარულ რძისფერ ნისლსაც მოავლო თვალი და „ნინოს ლურჯი მთებიც“ მოიარა საფერებელი ფიქრით მაგდა გოგომ... ჯავახური მწველი მზითაც დაიწვა... ახსოვს, ერთგან ამოიკითხა, ჯავახი--ეულ მზეს ნიშნავსო ეტიმოლოგიურად...

მურჯიდანაც გადმოხედა სოფლის სანახებს... უცებ ბავშვობაში გაგონილი ერთი ისტორიაც გაახსენდა, „დოსტობის“ ისტორია...

ჯავახეთს განსაკუთრებული „დოსტობა“ სცოდნიათ თურმე, თავისი ჰაოს-ქართლოსური მადლით გამორჩეული... კოთელიელი თოსოონთ მიხა პაპა და აზავრეთელი კარაპეტაანთ პაპა სურენაც „დოსტები“ ყოფილან, განსაკუთრებული დოსტები... მიხა პაპა, კარტოფილს ისე არ ამოყრიდა თურმე, პაპა სურენა რომ არ მოხმარებოდა. ერთობ ენაკვიმატი ყოფილა თოსოონთ მიხა... ჰოდა ერთხელ, მწარედ დასცინა თურმე თავის აზავრეთელ დოსტს. არც კარაპეტაანთ სურენა დარჩენია ვალში... გაზაფხულზე მოტყუებით ფეხით აიყვანა მიხა პაპა აზავრეთში... ვალის ვალს გადახდა უნდაო და მიხა პაპას აზავრეთელი „დოსტისთვის“ იასამნების ნერგები უყიდვინებია. მერე მთელი ეზო იასამნები ჩაუყრიათ... ასე „დაუსჯიათ"ერთმანეთი... იასამნების ბაღს „დოსტებმა“--კაცების ბაღი უწოდეს თურმე...

ფიქრებისა და მოგონებების მთაგრეხილი სწორედ იქ გაუწყდა მაგდა გოგოს, „ტრაფარეტი“ რომ ამცნობდა, ამის იქით აზავრეთიაო... მაგდაც გაუყვა სოფლის შარას, შუკებში იასამნების ბაღს კითხულობდა და მიაგნო კიდეც...

საოცრება იყო ირგვლივ, იასამნები ჰყვაოდა თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმული... თავბრუდამხვევი სურნელი იდგა ბაღში... ჯავახეთი იმითაცაა მსოფლიოს ყველა წერტილისაგან გამორჩეული, რომ იქ იასამნები პირველად ივნისს ჰყვავიან... ეს ფიქრში შენიშნა მაგდამ და გაიცინა...

მერე პაპა სურენას შვილიც გაიცნო, ძია აშოტა.ამ უკანასკნელმა რომ გაიგო მაგდასგან, მიხა პაპას სახლიკაცი ვარო, სულ მთლად გაიბადრა სომეხი კაცი... უმასპინძლა და „უდოსტა“ მაგდა გოგოს... ბოლოს კი, ძალიან ბევრი იასამნები გამოატანა... გზად ყანებიც დაათვალიერებინა და სათიბებიც... ერთგან სტელას მაგვარი ქვა იდო, მის დანახვაზე აშოტ ძიას დანაოჭებული სახე გაუნათდა და მაგდა გოგოს უთხრა: „ეს ყორღანი თოსოონთ მიხასა და კარაპეტაანთ სურენას დადებულიაო“... „სურენა პაპას საფლავი სადაა“--იკითხა მაგდა გოგომ... ახალი „დოსტი“ მიუხვდა მაგდას გულისტკივილს... „არც სურენა პაპაა ჯავახეთში მიხა პაპას მსგავსად დაკრძალული... „-მიუგო გულისწყვეტით ჰაოსის შთამომავალმა... ანაზდად მაგდამ იასამნების დიდი თაიგული ორად გაყო... ერთი ნაწილი „დოსტების“ დადებულ ყორღანზე დადო, მეორე ნაწილი კი ჯავახური იასამნებისა ლევილში უნდა წაეღო, იქაურ ქართველთა საფლავებისთვის...

თბილად დაემშვიდობნენ „ახალი დოსტები“. ძია აშოტამ მაგდა გოგოს ჯავახურ იასამნებთან ერთად პარიზს მაისის თაფლიც გაატანა ფრიად სურნელოვანი.

დალოცვილი კუთხეა ეს ჯავახეთი - თავისთვის ფიქრობდა გზაში მაგდა გოგო, ყველაფერი სურნელოვანი აქვს, მიწაც კი... უცნაურად შავი, თბილი და ნოყიერია ჯავახური ქართული მიწა.უტყვია, მაგრამ იმ დედას ჰგავს, რომ ჩაგიხუტებს დედურ სურნელს შეგაგრძნებინებს, სიტყვით კი არაფერს გეტყვის, არც დაიჩივლებს... ისეთ სითბოს გამოგაყოლებს, არასოდეს რომ გაიმეტებ დასატოვებლად... მიწის სიძლიერეც ხომ ესაა, მისგან მომწყდარ შვილთათვის...

უცებ გზაზე „ტრაფარეტს"წააწყდა მაგდა და ფიქრი ჯავახურ მიწაზეც აქ შეუწყდა... უღვთოდ გადაჩხაპნილ „ტრაფარეტზე“ ჯერ კიდევ კარგად იკითხებოდა ქართული წარწერა „დილის კარი“... იქვე ახლოს ახლად გაკეთებული ნიშნული კი, თავისი წარწერით, იქ მომხვდურ სტუმარს ამცნობდა რომ ეს სოფელი „დილისკა“ იყო."დილისკა“... „დილის კარი“... „აი როგორი ლამაზი სახელი დაურქმევია, ჩემს ქართველ წინაპარს“--ფიქრში მწარედ გაიღიმა მაგდამ... კიდევ კარგი „დოსტები“ - თოსოონთ მიხა და კარაპეტაანთ სურენა აღარ არიან ცოცხლები, თორემ ამ გადაჩხაპნილ-გადასწორებულის გამო, გული გაუსკდებოდათ, რადგან მათთვის ჰაოს-ქართლოსიანი ცარიელი სიტყვები არ ყოფილა...

ამის გაფიქრება იყო და ძია აშოტას სადღეგრძელოში ნათქვამი გაახსენდა უცებ მაგდა გოგოს... „მიხა პაპას სოფელში რომ ჩავდივარ და თოსოონთ უბანში ნასახლარებზე, მხოლოდ მყარად ნაშენ კედლებს ვხედავ, გული მიკვდებაო“--წუხდა ტომით სომეხი კაცი, ქართველის ნამოსახლარის გამო. ფიქრიდან გამოერკვა მაგდა გოგო, ანაზდად აღმოსავლეთით კვირაცხოველს მოჰკრა თვალი, ფოსტოონთ ბახო პაპამ საკუთარი ხელით რომ განაახლა და გულში ლოცვასავით აღავლინა: „ღმერთო, ისე ნუ გაუხდი აქაურ ქართველს საქმეს, მისი მიწის გამო უცხო ტომის კაცი წუხდესო“...

"იხარე, იფოთლე ჯავახო კაცო.ღმერთმა ბევრი დიკა, ყველ-ერბო, რძე-მაწონი და კარტოფილი მოგცესო--ასე ლოცავდა ჯავახელი ქართველი ბებო მოყვასს“... ამას უკვე მაგდა გოგო ამბობდა პარიზში, ევროპის ფოლკლორის საერთაშორისო სემინარზე სიტყვით გამოსვლისას, სადაც ევროპას ჯავახურ დიალექტზე მოუთხრობდა და აცნობდა.ხმამაღლა საუბრობდა მაგდა გოგო (როგორც მას თოსოონთ ჩხაკუნა პაპა ეძახდა), ამაყად და დამაჯერებლად... დარბაზი გასუსული უსმენდა... მაგდა სიტყვას ასრულებდა... დარბაზში უკვე აღარ ითარგმნებოდა ქართულიდან, მაგდა კი უკანასკნელ აკორდებს ამბობდა:

აფერუმ, ჩემო ქართველო ჯავახო კაცო!

მუდამ სამშობლოზე მოფიქრალო,

შენი ჯავახური მწველი მზესავით ლამაზგულიანო...

ჯიშიანო, მოუღლელო, მუდამ საკუთარის მცველო... ენაშეურყვნელო, რჯულშეურყვნელო,

მუდამ დაღლილო, დატანჯულო, ჭირგამოვლილო,

მაინც კეთილგულიანო, ლამაზსიტყვიანო, სტუმარ-მასპინძლიანო...

გაუტეხელო, სუფთავ...

შენი ცად აზიდული აბული მთასავით ამაყსულიანო, თუმც

სამშობლოსა და მიწის ინტერესებისათვის, ხან თავჩაქინდრულოც...

... ფრანგებს არ ესმოდათ მაგდა გოგოს ქართულის, მაგრამ ესმოდათ უნიკალური ენის ჟღერადობის, ემიგრანტი მაგდას ემოციების, თვალების, ცრემლების...

დარბაზი ფეხზე იდგა...

მონატრება

მონატრება თბილ-სევდიანი მისტერიაა სულისა... ჰაერივითაა, მსუბუქია და საჭირო... მზესავითაა, გათბობს და ოცნებებს აღგიძრავს... წვიმასავითაა, მოდის, მოწკარუნობს და ფიქრებს გისველებს... შემოდგომის ფოთლებს გავს, აკიაფებულთ ფერთა სიუხვით, მოფრინავენ მოდიან დედამიწაზე და ათასფერად გვიფორიაქებენ სულს...

გვირილას ფურცლებივითაა, სათითაობით აცლი გვირვინს და ხელში გავარვარებული გული გრჩება... სამყაროსავით და ღმერთსავითაა, მუდმივია და მარადიული... გალაქტიკაზე დიდია, რადგან უამრავ გულებს იტევს თავისსავე თავში...

საოცარია დრო მონატრებისა... ერთბაშად იმდენ გრძნობასა და ემოციას იტევს, რომ უნებურად ფიქრობ, ამ სიდიდის დამტევ ადამიანთა გულებს როგორ უძლებს თავად დედამიწა...

სათუთი ბავშვივითაა მონატრება, სულ ერთი სულის შებერვაა საჭირო, ერთი მისხალი სიხარულის სხივს იტევს თითქოს, ერთ გულწრფელსა და ობოლ ცრემლში ეტევა მთელი სამყარო სულისა... დედის სუნივითაა მონატრება, რადგან ვინც გენატრება, დედის იმ სურნელივით დასდევს მთელს შენს არსებას, რომ ვეღარ გტოვებს მერე და მშობლიურივით ძვირფასი და შენეულია...

უსასრულოა მონატრება, დროში ვერ ჩაატევ, ვერ გაზომავ... უსაზღვროა, რადგან არც დასაწყისი გააჩნია და არც დასასრული... კაცთა ცხოვრებაც, მუდმივი მონატრებაა შენეულისა... ჩვენ რომ გვგონია სიცოცხლის ბილიკებს გავდივართ, სინამდვილეში მონატრების ბილიკებია, რადგან სიცოცხლე სხვა არაფერია, ვიდრე იმისკენ სწრაფვა , ვინც გვენატრება... მუდმივი ლტოლვაა მონატრება, ლტოლვა შენი ადამიანისაკენ...

მონატრება, იმ თოვლივით ფაფუკია, თან რომ გსუსხავს სიცივე მისი, მაგრამ თოვლის ფიფქსავით თეთრი და სპეტაკია... მონატრება შენი სულია, შენი ფერებია, შენი განვლილი და გასავლელი დღეებია, შენი დათვლილი წამებია... მონატრება, ის ლაბირინთია, ვერასდროს რომ ვერ აღწევ თავს... ადამიანები, ერთი დიდი, სამყაროსხელა მონატრებები ვართ და მუდმივად იმ კუნძულისაკენ მივიწევთ, სადაც ვგრძნობთ რომ თბილა და შინ ვართ...

მონატრება საკუთარ სავალ გზებში ჩაკარგვაა... იმ გზებში, მხოლოდ შენი გასავლელი რომაა... მონატრება ადამიანს გავს და მის მსგავსად მარტოსულია... მონატრება დღეა, ღამეა, შემკრთალი სუნთქვაა... ამ ქვეყნად ყველას და ყველაფერს გააჩნია ნიღბები, ასლები, გარდა მონატრებისა... ის ყველაზე ნატურალურია და უფლის ერთადერთობის მსგავსად, უნიღბოა...

მონატრება სიყვარულით დაღლილი სულია, წელიწადის დროთა ის სუიტაა, საკუთარ სულში, წელიწადის მეხუთე, მარადიული სიყვარულის სეზონს რომ ქმნის... მონატრება გვირისტია, წარსულთან რომ გაკავშირებს, აწმყოში რომ გაჩერებს და მომავლისკენ რომ მიგიძღვის...

მონატრება ის ადამიანობაა, საკუთარი სულის სიდიდეს რომ ზომავ...

მონატრება უთქმელი ლოცვაა, მოყვასისათვის ნაბოძები ლუკმაა და მტრისათვის ნაჩვენები მიტევება... მონატრება, ის მარადიული სიმფონიაა, რომელიც მარადჟამს, ყოველ წამიერად, წუთიერად, ყოველი გათენებულ და დაღამებულ დღეზე ხელახლა და მუდმივად თავიდან გულით რომ იწერება... ვიდრე გვენატრება ცოცხლები ვართ... და ერთხელაც, როცა გარდავიცვლებით, ისევ მონატრებით დავხურავთ ამ მტვრიანი წუთისოფლის ჩვენს წიგნს... იმ ქვეყნადაც მონატრებას გავიყოლებთ, ადამიანებისა და თავად სიცოცხლისა...

მონატრება ის მღელვარე ზღვაა, რომელიც გითრევს, არ გახრჩობს, მაგრამ მასში მუდმივად იძირები... მონატრება ის მწვერვალებია, მუდმივად რომ უნდა დაიპყრო...

მონატრება გადებული ხიდებია ადამიანებსა და სიკვდილ - სიცოცხლის ზღვარს შორის გავლებული.

დუმილის მისტერია...

..არის ხოლმე პერიოდები, როცა დუმილში გინდა იცხოვრო... როცა შენს წილ ცას ხურავ, გულს, ფიქრებს ... დუმილს იმდენი ენა აქვს, რომ ბევრჯერ ამოხსნი , ბევრჯერ გაიგებ... და ერთხელაც, ფიქრში ჩაძირულს, შენი ცხოვრების რომელიღაც გადაკვეთაზე, ერთ უდავო ჭეშმარიტებას მიხვდები: დუმილი შენი ყველაზე ერთგული მეგობარია, ის მეგობარი, საკუთარი თავისგანაც რომ გიცავს და არასოდეს გღალატობს... მოგვიანებით კი, იმასაც აღმოაჩენ, რომ ყველაზე უფრო რაც უნდა ისწავლო ეს დუმილია...

ყველაზე ადვილი ისაა, ულამაზესი სიტყვებით წერო ფრთაფარფატა ლამაზ პეპლებზე, მზისგულა ყვავილებზე, ობოლ და მარტოობისთვის განწირულ წვიმის წვეთებზე... წერო უკიდეგანო ტრიალ მინდვრებზე, რომელთაც გამხმარ ბალახის სულნელი ასდით... წერო უკიდეგანო ზღვებზე, უძირო ცაზე, ამაღლებულ და დიდ ადამიანობაზე, რომელსაც ყავლი არასოდეს გასდის... წერო და შეთხზა სიყვარულზე, სულის ყველაზე სათნო ბალადები... წერო მარადიულ ერთგულებაზე... წერო იმაზე, როგორი ძლიერი ხარ, როდესაც გიყვარს და რა სუსტი ხარ, როცა სიკვდილი გამარცხებს და გტაცებს ყველაზე წმინდასა და ძვირფასს... ადვილია წერო შენს მარადიულ მარტოობაზე, ხალხში რომ ხარ, უამრავ მეგობართა შორის და მაინც მარტო ხარ... წერო, იმ მარტოობაზე, ერთ დროს სულ მარტო რომ დაიწყე და ამავე, ასეთივე მარტოობით რომ დამთავრდები, რადგან ადამიანები მარტოობის მუდივი კავალერები ვართ... ზოგჯერ ისეთი ადვილია წერო უფალზე, წერო იმ ადამიანებზე მუდმივად მზესავით, რომ ატარებენ სულში... წერო თოვაზე... წერო იმ ლოცვებზე, ანდა იმდაგვარ სულის ლოცვებზე, უფალს რომ ავედრებ დაიფარეო... ხო, ადვილია წერო თოვლის სუსხში ამოსულ, ადრიანი გაზაფხულის ენძელაზე და ათასნაირ ფერთა სიუხვით გამორჩეულ სულისმიერ შემოდგომაზე... ამ ქვეყნად ყველაფერზე, სულ ყველაფერზე ადვილია წერო... რთული მხოლოდ დუმილია... ადამიანები უკანასკნელ რექვიემს დუმილს ვანდობთ ხოლმე, დუმილს რომელიც მრავლისმთქმელია, მთელი სამყაროს სათქმელს, დარდსა და სიხარულს რომ იტევს ერთბაშად... და ადამიანებს ხშირად და მუდმივად გვჭირდება ხოლმე დუმილი, ერთმანეთის უკეთ გასაგებად და თავიდან აღმოსაჩენად... ერთურთის გასატანად და საიმედოდ...

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები - საოცრებათა თეატრი

სოსო ჩოჩია

უკრაინაში უკვე დასრულდა საპრეზიდენტო არჩევნები.

იგი სრულიად უპრეცედენტო და თან უცნაურიც კი იყო. მხედველობაში გვაქვს როგორც თავად საარჩევნო კამპანია და აგიტაციის მეთოდები, ასევე მისი შედეგებიც. სწორედ ამიტომ, დიდხანს იქნება იგი განხილვის საგანი.

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა პოპულარულმა შოუმენმა და კომიკოსმა -- ვლადიმირ ზელენსკიმ.

მოქმედმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ, შედეგების გამოცხადებისთანავე გამარჯვება მიულოცა ახლადარჩეულ პრეზიდენტს ვლადიმირ ზელენსკის, ყოველგვარი დახმარება აღუთქვა მას და განაცხადა, რომ ზელენსკისთან ერთად, არ მისცემს ჩრდილოელ მტერს იმის უფლებას, გარდამავალი პერიოდით ისარგებლოს და საკადრის პასუხს გასცემს მის ყოველ ქმედებას. გარდა ამისა, პეტრო პოროშენკომ დასძინა, რომ მისი გუნდის სახით ახალ პრეზიდენტს ძლიერი და საქმიანი ოპოზიცია ეყოლება და უკრაინა ამით მხოლოდ მოიგებს, იგი მტკიცედ დაიცავს თავიანთ მიღწევებს: უპირველეს ყოვლისა, იმ დემოკრატიულ პრინციპებს, რომელმაც ხალხს საკუთარი ნების თავისუფალი გამოხატვის საშუალება მისცა; გარდა ამისა, უკრაინა ღირსეულ წინააღმდეგობას უწევს მტერს, როგორც ფრონტზე (არადა, პრეზიდენტმა პოროშენკომ სრულიად გაძარცვული, არაბრძოლისუნარიანი ქვეყანა ჩაიბარა), ასევე დიპლომატიის თვალსაზრისით, საერთაშორისო ასპარეზზე; აღნიშნა, რომ სწორედ მან შეაკოწიწა სათითაოდ ის ანტიპუტინური საერთაშორისო კოალიცია, დღეს, ავად თუ კარგად, მხარში რომ უდგას უკრაინას... რომ არაფერი ვთქვათ, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე, ტომოსის თაობაზე (ზელენსკი რომ დაცინვით, თერმოსს უწოდებდა), უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის, უკრაინის გაერთიანებული მართლმადიდებლური ეკლესიის, უკრაინული ენის შესახებ კანონის მიღების თაობაზე, უკრაინის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თაობაზე, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ძირითად კანონში დაფიქსირდა უკრაინის განვითარების ევრო და ევროატლანტიკური კურსი...

https://www.youtube.com/watch?v=R4Vu0RW-9Os

პეტრო პოროშენკოს მიღწევები და ნაკლოვანებები (იგი იდეალური ნამდვილად არ ყოფილა), ცალკე საუბრის თემაა და ამაზე, ალბათ, სხვა დროს...

ამჟამად, კვლავ არჩევნების თემას დავუბრუნდეთ.

დიახ, უკრაინაში არჩევნები უჩვეულოდ ჩატარდა.

უკრაინელმა მწერალმა ოქსანა ზაბუჟკომ მას სპეცოპერაციაც კი უწოდა.

ამომრჩეველს, ზელენსკის სახით, ფაქტიურად ვირტუალური კანდიდატი შესთავაზეს - პოპულარული ტელესერიალის „ხალხის მსახურის“ პერსონაჟი - ვასილი გოლობოროდკო, იგივე ვლადიმირ ზელენსკი. ფილმში ვასილ გოლობოროდკო ერთი უბრალო მასწავლებელია. გეოგრაფიის მასწავლებელი. მას გამძაფრებული სამართლიანობის გრძნობის გამო პრეზიდენტად აირჩევენ...

ამგვარად, გამოყენებული იქნა თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ნეიროლინგვისტური პროგრამირების (NLP) მეთოდები, ამომრჩეველთა ქვეცნობიერებაზე გარკვეული ხმის ტემბრის, სიტყვების, სახეების, სიმბოლოების, გრძნობებისა და ემოციების ჩართვით...

საინტერესოა, რომ რეალურ ცხოვრებაში არსებობს ნამდვილი ვასილ გოლობოროდკოც. იგი უკრაინის დიდი პოეტია, შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატი. ვასილ გოლობოროდკოს თანამედროვე კლასიკოსსაც უწოდებენ და სხვათა შორის, კომპეტენტურ წრეებში, პოეტის ნობელის პრემიაზე წარდგენაზეც კი საუბრობენ... მაგრამ, ფილმის ავტორებს, ნამდვილი ვასილ გოლობოროდკო ალბათ, არ გახსენებიათ, ან იქნებ, არც რა სმენიათ მისი არსებობის შესახებ, თორემ რატომ უნდა დაერქვათ ტელეპერსონაჟისთვის, მაინცადამაინც მისი სახელი - განა ქვეყანაზე გვარსახელი დაილია?

საინტერესოა ისიც, რომ ვ.გოლობოროდკოს 1966 წელს, უცნაური წინათგრძნობით დაუწერია:

„მე მომპარეს სახელი
და ახლა მქვია ის, ვისაც სახელი მოჰპარეს... „

https://znaj.ua/society/224792-ukrajincyam-pokazali-spravzhnogo-goloborodka-ne-zelenskiy

ამგვარად, ოლიგარქი კოლომოისკის ტელეარხზე (1+1), ამ ფილმისა და ზელენსკის პირმშოს - სტუდია „კვარტალი-95“-ის იუმორისტულ-გასართობი პროგრამების ყოველდღიური ტელეჩვენება იქცა, სწორედ, ამ კანდიდატის ნამდვილ საარჩევნო კამპანიად და იგი სრულიად გამიზნულად გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე თავად საარჩევნო კამპანია.

„კვარტალი-95“ მეთოდურად აქილიკებდა წინა თუ არსებული ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელს. თავდაპირველად, ეს ქილიკი, თითქოს უწყინარიც კი იყო, შემდეგ კი იგი მწვავე კრიტიკას უფრო დაემსგავსა, ვიდრე უბრალო ქილიკს... ამ სცენარის მთავარი რეჟისორი და ზელენსკის ბიზნესპარტნიორი, ოლიგარქი იგორ კოლომოისკი, „პრივატბანკის“ ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერი რომ იყო, ამასობაში გულში სხვა მიზნებს ატარებდა; მან ნამდვილად იცოდა რაც ეწადა... „პრივატბანკი“ ხომ ნაციონალური ბანკის ინიციატივით და უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებით, 2016 წელს სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა...

ასე რომ, ვლადიმირ ზელენსკის, მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში, კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები, შეხვედრა-დისპუტები ამომრჩევლებთან აღარც დასჭირვებია. ზელენსკის საარჩევნო შტაბის წევრები, მომავალ პრეზიდენტს გულმოდგინედ უმალავდნენ პრესას, ტელევიზიას თუ ამომრჩეველს... ასე განსაჯეთ, მას საარჩევნო პროგრამაც კი არ ჰქონდა... სარეკლამო ფირს თუკი ჩაწერდა - ინტერნეტში ათავსებდნენ. ერთგან, სიტყვა დაეგდო, კომუნალურ ტარიფებს გავაიაფებ, ხელფასპენსიებსაც გავზრდი და თუკი საჭირო შეიქნა, პუტინსაც დავუჩოქებ, რათა ეს ომი მალე დასრულდესო... ეს იყო და ეს. აი, მთელი მისი საარჩევნო დაპირება თუ საარჩევნო კამპანია... მალევე, არჩევნების დასრულების შემდეგ, მისი შტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, ტარიფების რეგულირება პრეზიდენტის პრეროგატივა არაა (არადა, ეს ნამდვილადაც, ასეა!) და ომის დასრულებაც არ გახლავთ იოლი საქმეო... აი, ასეთი სურათი გვაქვს ჩვენ დღეს უკრაინაში...

დასრულდა კინო!

პუტინმაც არ დააყოვნა და უკრაინის ახალარჩეულ პრეზიდენტს კბილი მოუსინჯა - ოკუპირებულ რაიონებში უკრაინის მოქალაქეთათვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება და რუსეთის პასპორტების გაცემა შეთავაზება, სწორედ, კბილის მოსინჯვაა...

ასე რომ, შოუ დასრულდა და დაიწყო მძიმე, სადაგი ყოველდღიურობა...

თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ომის მდგომარეობაში მყოფმა ქვეყანამ, ტურბულენტობის პირობებში, ზელენსკის სახით, ტოტალური არაკომპეტენტურობის მიუხედავად, პრეზიდენტიც აირჩია და ქვეყნის მთავარსარდალიც - სამხიარულო არაფერია...

ერთი სიტყვით, ვიცით ის, რომ არაფერი ვიცით, არათუ პრეზიდენტობის კანდიდატის, არამედ, უკვე პრეზიდენტი ზელენსკის შესახებ...

თუმცაღა...

არცთუ უცნობ რუს პოლიტიკოსს, კრემლის რუპორს ვლადემირ ჟირინოვსკის თუ დავუგდებთ ყურს, რუსეთი მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში სცნობდა (ასეთი ვარაუდი მან არჩევნებამდე გამოთქვა), საპრეზიდენტო არჩევნებს უკრაინაში, თუკი ვლადემირ ზელენსკი გაიმარჯვებდა და, არამც და არამც - პოროშენკო. თან განმარტავს, რომ რუსეთისთვის ზელენსკისა და კოლომოისკისთან უფრო იოლი იქნება მოლაპარაკება აღმოსავლეთ უკრაინის თაობაზე, ვიდრე პოროშენკოსთან... უფრო სწორედ, იგი საუბრობს კოლომოისკისთან მოლაპარაკებებზე და არა ზელენსკისთან. მიაჩნია, რომ ზელენსკი მხოლოდ პრეზიდენტის კაბინეტს დაიკავებს და იმას გააკეთებს, რასაც კოლომოისკი, რბილად რომ ვთქვათ, ურჩევს...

https://www.youtube.com/watch?v=wQ1gHHEma4Y

ალბათ, ეჭვი არავის შეეპარება, ოლიგარქი რომ ყურადღებით მოუსმენდა ამ ინტერვიუს. ჰოდა, ამ დღეებში გავრცელდა კოლომოისკის ინტერვიუც, სადაც უკრაინაში რუსეთის აშკარა აგრესიას მან სამოქალაქო კონფლიქტი (რუსეთის რიტორიკა!), სამოქალაქო ომი უწოდა. თავდაჯერებით თქვა: დონბასში ერთმანეთს უკრაინელები ებრძვიანო - ამით მან რუსეთს დაუდასტურა თავისი მზადყოფნა იმ მოლაპარაკების (გარიგების) თაობაზე, აღმოსავლეთ უკრაინის ბედი რომ უნდა გადაწყვიტოს...

https://www.youtube.com/watch?v=QXRJEFJlrzo

გარდა ამისა, ცნობილი უკრაინელი პოლიტოლოგის, რამდენიმე მოწვევის უმაღლესი რადის დეპუტატის ტარას ჩორნოვილის გადმოცემით, ყოფილი რეგიონელების პარტიაში (იანუკოვიჩის პარტია გახლავთ) ხბოს აღტაცებას ვერ მალავენ: მოემზადეთ, გველოდეთ, ზელენსკის გამარჯვების შემთხვევაში, უთუოდ მალევე დავბრუნდებითო.

უზენაესი რადის დეპუტატის ვლადიმირ არიევის ჟურნალისტური გამოძიებით, ახალარჩეული პრეზიდენტის მეუღლეს ელენე ზელენსკას, 2013 წელს, ყირიმში ერთ-ერთი ოლიგარქისგან პენტჰაუსი შეუძენია, სადაც ცოლ-ქმარ ზელენსკებს არცერთი დღე არ უცხოვრიათ, მაგრამ ფაქტი კი ფაქტად რჩება: ხალხის წიაღიდან გამოსული უბრალო ბიჭის ნაცვლად (როგორც ზელენსკი უწოდებს საკუთარ თავს) - მილიონერი პრეზიდენტი შეგვრჩა. სადღაა, დაცვის გარეშე, უბრალო ველოსიპედით სამსახურში მიმავალი პრეზიდენტიც... ეს ყველაფერი ფილმში დარჩენილა...

https://www.dialog.ua/ukraine/177631_1556747998

აი, ნაწილობრივ ის, რაც შემთხვევით შევიტყვეთ ახალი პრეზიდენტის შესახებ...

იმედია, კვლავაც ბევრ საინტერესოს შევიტყობთ...

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოფილი რეგიონალების პარტიის ნამსხვრევებზე აღმოცენებულ მცირე და დაპირისპირებულ პარტიათა საპრეზიდენტო კანდიდატების ელექტორატმა ზელენსკის მისცა ხმა, უთუოდ, რომ საკუთრივ ზელენსკისა და ოპოზიციონერთა ბლოკის ამომრჩეველთა იდეურ სიახლოვეზე მეტყველებს...

თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რეგიონალების პარტიის მძიმე წონის წარმომადგენლებს ძალიან ეიმედებათ ზელენსკი და საპრეზიდენტო არჩევნებში მის გამარჯვებას საკუთარ პოლიტიკური რეაბილიტაციას უკავშირებენ...

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსულენოვანი პრეზიდენტი, ახლახან, უმაღლესი რადის მიერ მიღებულ კანონს უკრაინული ენის შესახებ, ეჭვქვეშ აყენებს და ამომრჩეველს ჰპირდება, ინაუგურაციის შემდეგ დეტალურად გაანალიზებს, დაირღვა თუ არა ადამიანთა უფლებები აღნიშნული კანონის მიღებით...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ახალი ხელისუფლის საკანონმდებლო ინიციატივები და მმართველობის მეთოდები, მცირეოდენი კორექტურით, ყოფილი რეგიონალების პარტიის, დღევანდელი ოპოზიციონერების ბლოკის, ანუ, კრემლის თარგზე აიჭრება...

ამჟამად, ინაუგურაციის ჩატარების თარიღზე კამათობენ. საქმე იმაშია, რომ იგი უმაღლესი რადის შესაძლო დაშლას უკავშირდება. თუკი პრეზიდენტის ინაუგურაცია 27 მაისამდე შედგება, შესაძლოა პრეზიდენტმა რადის რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს, ხოლო 28 მაისიდან იგი ამის უფლებას კონსტიტუციით ჰკარგავს... ზელენსკი, უმაღლესი რადის მიერ, ინაუგურაციის დანიშვნას 19 მაისისთვის ითხოვს, ამ დღეს კი უკრაინაში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის ხსოვნის დღე აღინიშნება...

არჩევნებამდე პრეზიდენტობის კანდიდატთა ანალიზების ჩაბარება და დებატები იქცა ეპოპეად, ამჟამად, ამის იმედს ინაუგურაციის თემა იძლევა...

წინ მაინც საპარლამენტო არჩევნებია, რომელიც საბოლოოდ ნათელჰყოფს, საბოლოოდ გაარკვევს სახელისუფლებო ბალანსს და პრიორიტეტებს...

მეეჭვება, რომ ამ არჩევნებზე უკრაინამ თავისი პოლიტიკური სიმწიფე დაადასტურა, სამწუხაროდ, უფრო - პირიქით, თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა გულით გწადია - სცდებოდე...

ღმერთმა ინებოს!
მომავალი გვიჩვენებს!
დრო გვიჩვენებს!
ულმობელი დრო, უპასუხოდ რომ არაფერს დატოვებს...
ამიტომაც:
მოთმინება, ბატონებო!
ყურადღება!
ფარდა!

ოკუპაციამდე დაწყებული,,ანტისაოკუპაციო მოძრაობა'' (II ნაწილი)

(ფბ-ზე ცოტნე გამსახურდიას „პოსტი" წავიკითხე, რომელიც წერს რომ; მავანთ ოთხმოციან წლებში, ეროვნული მოძრაობიდან ზვიადისა და მერაბის გარიყვა ჰქონდათ დაგეგმილი. ეს ეხლა წარმოუდგენლად ჟღერს მაგრამ მაშინდელი ცრუ დისიდენტები, იგივე სუკის აგენტები, ეროვნული მოძრაობიდან ურცხვად რიყავდნენ და იგნორს უკეთებდნენ ეროვნული მოძრაობის დამფუძნებლებს და თავისუფლებისთვის ბრძოლაში წამებულ რაინდებს. უფრო მეტიც, სუკის მხარდაჭერით ისინი ცდილობდნენ ეროვნული მოძრაობის სადავეები გამოეტაცათ მათთვის და მიამიტი სტუდენტი ახალგაზრდობა თვითონ მიემხროთ თავიანთი ცრუ ეროვნული მოძრაობისთვის.)

აფხაზეთიდან დევნილი ვარ და 2002 წლიდან 2013 წლამდე ვცხოვრობდი საფრანგეთში. 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის დროს სტრასბურგში, ევროსაბჭოსთან გამართულ აქციებზე ბევრი კრეატიული ბრძოლის ხერხი მოვიფიქრე და როგორც ჩანს ამით ევროსაბჭოში რუსეთის წარმომადგენლობას ყელში გავეჩხირე. არა საკუთარი თავის ქებისთვის, არამედ იმის გასარკვევად თუ რაში მდგომარეობდა რუსეთისთვის „ყელში გაჩხერა", მოკლედ მოგიყვებით მაშინდელი ჩემი საქმიანობის შესახებ.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს სტრასბურგში, ჩვენს მიერ ევროსაბჭოსთან და რუსეთის წარმომადგენლობასთან, აგრესიის შეწყვეტის მოთხოვნით პერმანენტული აქციები იმართებოდა. ამ დროს საქართველო სისხლისგან იცლებოდა. მე კი იმის ნიშნად რომ რუსეთი არის პირსისხლიანი იმპერია, მათ წითელი საღებავით შეუღებე წარმომადგენლობა და ასევე ცელოფნის პარკში ჩავასხი წითელი საღებავი, შიგ ბათინკებს ვაწობდი და ღამღამობით დავდიოდი რუსეთის წარმომადგენლობასთან, რომ „სისხლიანი ნაფეხურები" დამეტოვებინა. იმ სიმბოლური დატვირთვით, რომ ცნობილი „რუსული ჩექმა" სადაც გაივლის ყველგან სისხლიან კვალს ტოვებს. რუსეთის წარმომადგენლობა ჩემს აქციებზე მყისიერად რეაგირებდა, დილის 6 საათიდან რაღაც ხსნარებით რეცხავდნენ მიმდებარე ტერიტორიას, ხელახლა ღებავდნენ საკმაოდ დიდ ჭიშკარსა და რკინის ღობეს, თვით შენობასაც კი. ამ ცივილური სამყაროს ცენტრში, რუსული დიპლომატიური კორპუსისთვის უხერხული იყო „საყელოზე" „ქართული სისხლის ლაქებით" გამოჩენა. გარდა ამისა მათ შურისძიების შიშიც ჰქონდათ შეპარული. სადაც, ვიღაც თავზეხელაღებული ქართველი თუ ქართველების ჯგუფი(რა იცოდნენ რო მარტო ვიყავი) საღებავით თხვრიან რუსული წარმომადგენლობის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას, იქ ერთი ნაბიჯია დარჩენილი ამ სიმბოლური სისხლის ნამდვილით ჩანაცვლებამდე. ასეთი მესიჯების წაკითხვა მათ ძალიან კარგად იციან და როგორც ჩანს, ფრანგული პოლიციის იმედიც ნაკლებად ჰქონდათ. როცა ევროსაბჭოში მომავალ რუს დიპლომატებს ვხვდებოდით „გულთბილი", ომახიანი შეძახილებით, მკვდრის ფერი ედებოდათ.

რადგან რუსული ავიაცია ქართულ სოფლებს და ქალაქებს ბომბავდა, პლასტიკატისგან გავაკეთე მოზრდილი თვითმფრინავის მაკეტი, რუსული ამოსაცნობი ნიშნები დავახატე, ბენზინით დავასველე და სარზე დავამაგრე. რუსეთის წარმომადგენლობასთან აქციის დროს, ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავის მაკეტი ჩავუგდე ეზოში. დაკავებისგან 300-მდე აქციის მონაწილემ მიხსნა. იქვე, მე და აქციის სხვა მონაწილეებმა საჯაროდ დავწვით პუტინის სურათებიც. ასევე გვინდოდა ჩემს მიერ გაკეთებული და ჩემივე ტანსაცმელში გამოწყობილი პუტინის ფიტულის დაწვა, რისი გაკეთებაც ფრანგმა ჟანდარმებმა არ დაგვანებეს და ფიტული წაგვართვეს.

აქციის მონაწილეებს, ქართულ-ფრანგული დროშებით და საპროტესტო პლაკატებით გაფორმებული კარვები გვქონდა ევროსაბჭოს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული, ორი კვირის განმავლობაში, მე პირველი შესაძლებლობისთანავე სამშობლოს წინაშე ვალის მოსახდელად საქართველოში ვაპირებდი წამოსვლას. მანამდე, ბრძოლის ამ უცნაურ მეთოდს აქ ავუღე გემო. რაც თავიდანვე კარგად გამომდიოდა და თან ვგრძნობდი, თუ ეს ჩემი გარჯა როგორ აღწევდა მიზანს, ამ აქციებით როგორი ფსიქოლოგიური და მორალური წნეხის მოხდენა შემეძლო მტერზე. ამასთანავე ამავე აქციებით შეიძლებოდა სოლიდარობისა და თანადგომის მოპოვება ნაცნობ-უცნობებისგან.

სუპერმარკეტის ურიკაზე დავაშენე კარდონის მოძრავი ტანკი, საბჭოური სამხედრო ნიშნები დავახატე, წითელი დროშა დავამაგრე და ლუკა ევროსაბჭოსა და მის წინ გამწკრივებული ევროსაბჭოს ქვეყნების დროშებისკენ მივაშვერინე. ერთი წვეთი საღებავი, ან ერთი ღერი ლურსმანი არ მოუწოდებია ჩემთვის ვინმეს. პირიქით, რუსებს ამ აქციაზე ყავდათ თავიანთი ვაიქართველი ნაპუდჩისტარი აგენტები, რომელთა მეცადინეობითაც ერთი ტანკი გამინადგურეს. მე ჯიუტად კვლავ ახალი ტანკი გავაკეთე. ამ რუსული ტანკის სიმბოლური გზავნილი ის იყო რომ; თუ რუსული ტანკის შეჩერება ეხლა საქართველოში არ მოხდება, ის ევროპული ქვეყნების სხვა ქალაქებშიც გააკეთებს იგივეს, რასაც ეხლა საქართველოში აკეთებს (რაც უკრაინაში გამოჩნდა კიდეც და ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი.)

აქციაზე გვიწყობდნენ პროვოკაციებს, ვითომ აფხაზების და ოსების კონტრ-აქციებს(ამ კონტრ-აქციის მონაწილეები სინამდვილეში საიდან ჩამოყავდათ, ან რა ეროვნებისანი იყვნენ ღმერთმა უწყის.) აყვირებდნენ, რომ ქართველები არიან მოძალადე მკვლელები, რომ ჩვენ მძინარე ქალაქები დავბომბეთ. აშკარად გვიწვევდნენ, რომ შემდეგ ევროპელებისთვის დაენახვებინათ თუ როგორი მოძალადე ბუნების ერი ვყოფილვართ სინამდვილეში ქართველები. ყოფილა შემთხვევები როცა რუსის ქალები მოგვდგომიან ლანძღვა გინებით და ჩვენი მხრიდან მოსყიდული ვაიქართველები გაეკიდნენ, რუსები ნიშანზე ევროსაბჭოს შესასვლელისკენ გაიქცნენ, სადაც დაცვაც დგას და კამერებიც აყენია(კარგად რომ დაეფიქსირებინათ „ევროსაბჭოსთან ქართული ძალადობა".) მე მაშინვე მივხვდი და პროვოკაციაზე წასულ ვაიქართველებს გამოვეკიდეთ მე და დედაჩემი. კიბეებთან შევაჩერეთ ისინი, თუმცა გვიძალიანდებოდნენ და ევროსაბჭოს შესასვლელთან „მტრალი" რუსის „დაუცველი" ქალებისკენ იწევდნენ(აშკარად როსული ფულის სუნი უდიოდა ამ ხელოვნურ, ყალბ აღელვებას.) ჩვენ ისინი შევბოჭეთ და ქართველობის იმიჯი ამჯერად გადავარჩინეთ. ყოველ წუთს ვიღაცა გვითვალთვალებდა, ჩუმად თუ აშკარად სურათებს გვიღებდნენ. ეს იყო ნამდვილი ომი რუსულ სპეცსამსახურებთან, მუდმივად პროვოკაციის მოლოდინში ვიყავით. ღამე კარვებში როცა გვეძინა, ძალიან ახლოს გვეპარებოდნენ, არ ვიცოდით მოწამლვას გვიპირებდნენ თუ ცეცხლის წაკიდებას, მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

აქციებზე ჩემი აქტიური და ეფექტური მოქმედებების გამო, რუსული სპეც-სამსახურების პასუხმაც არ დააყოვნა და ჩეჩენი ეროვნების პროვოკატორები მომიგზავნეს(ეს მათი მეთოდია, კავკასიელებს ერთმანეთის ხელით ებრძოლონ.), რამდენჯერმე განხორციელდა ჩემზე თავდასხმა და მორიგი თავდასხმის დროს ვინაიდან ისინი ბევრნი იყვნენ და მე ერთი ვიყავი, იარაღით დავიცავი თავი(არც ქართულ ღირსებას შევალახვინებდი ვინმეს). ამის გამო 4 წელი ვიხდიდი სასჯელს. ამ პერიოდში ჩეჩნებმა ერთხელ კიდევ დანით მძიმედ დამჭრეს. ჩემი სიცოცხლე მუდმივად საფრთხის ქვეშ იყო. ყველამ იცოდა ჩემი მდგომარეობა, მათშორის საქართველოს წარმომადგენლობამაც, მაგრამ არა თუ გვერდში დგომა ან პატიმრის წერილობით მოკითხვა, ერთი სანუგეშო სიტყვაც არავის შემოუთვლია. სამაგიეროდ დაავჯილდოვეს ისეთი ხალხი, რომლებიც ამ პერიოდში სტრასბურგში კი იყვნენ, მაგრამ აქციაზე მოსვლა საჭიროდ არ ჩაუთვლიათ. ამ პერიოდში სტრასბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქალბატონი თეა წულუკიანი, ის აქციას არ გაკარებია. ზოგადად, მაღალჩინოსანთა ეს კლანი ასეთ რამეს არ კადრულობს, ეს პლებეების საკეთებლად მიაჩნიათ. ევროპის განთქმული მოსამართლე და ასევე წულუკიანის პროტეჟე ბატონი მინდია უგრეხელიძე ათწლეულებია სტრასბურგში ცხოვრობს აპარტამენტებში.

რამდენადაც მე ვარ აფხაზეთიდან დევნილი და ჩემი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი, არავითარ მადლობას და ჯილდოს არ ვესწრაფი, (არც მჭირდება) მაგრამ არც ისეთი მიამიტი ვარ, რომ სამთავრობო კასტის, პოლიტიკური ბნელიტის, ხალხის მიმართ ბატონყმური და ცინიკურ-ექსპლუატატორული დამოკიდება ვერ დავინახო. ან არ ვიცოდე, თუ ვინ რას იმსახურებს და რისი ღირსია. მოკლედ, მე სტრასბურგის აქციებიდან ჩამაჩოჩეს.

და რატომ გავიხსენე ეს ყველაფერი 10 წლის შემდეგ? იმიტომ რომ ჩემს მიმართ ეს უსამართლობა კიდევ რამოდენიმეჯერ განხორციელდა, უკვე საქართველოში, უფრო ამაზრზენ და ვერაგული ფორმებით. 2013 წელს საფრანგეთში სასჯელის მოხდის შემდეგ დავბრუნდი საქართველოში. თუმცა საფრანგეთში დარჩენას და სპორტული კარიერის გაგრძელებას მთხოვდნენ, მაგრამ მე სამშობლოსთვის ბრძოლის გაგრძელება ვარჩიე. აქაც გავაგრძელე ანტისაოკუპაციო აქციები: თანამებრძოლებთან, ალექსანდრე კვახაძე და ირაკლი ქანთარიასთან ერთად, ოკუპირებული ზონიდან გავიტაცეთ საოკუპაციო, ეგრეთწოდებული სასაზღვრო ბანერი. შეიძლება მოსასმენად ადვილი იყოს, მაგრამ ამის განხორციელებაში ბევრი რამე გვიშლიდა ხელს. ქართული უშიშროება დაგვზდევდა და გასაქანს არ გვაძლევდა, შემდეგ როგორც იქნა მერამდენე მცდელობაზე, ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს მოხერხდა „სუსის" და ქართული საგუშაგოს ბლოკ-პოსტის გვერდის ავლა, გადავლახეთ წყლით სავსე 4 მეტრიანი სატანკო თხრილი. იყო მინებზე აფეთქების საშიშროება. რადგანაც იდეა მე მეკუთნოდა და ბიჭები მე მიმყავდა, სამართლიანობა მოითხოვდა რომ რისკის დიდი ნაწილი ჩემს თავზე ამეღო. ამიტომ 5 - 10 მეტრით წინ გავუძეხი ბიჭებს და გავაფრთხილე ჩემს ნაფეხურებზე ევლოთ. ამას გარდა იყო საშიშროება ოს-რუსულ სასაზღვრო პატრულს გადავყროდით. ბანერიდან ორასიოდე მეტრში ოს-რუსული საგუშაგო იყო, საბედნიეროდ ქარი ჩვენსკენ უბერავდა და ჩვენი რკინის ხერხის წრკიპინი არ ესმოდათ ოკუპანტებს. გაყინული ხელებით დავიწყეთ რიგრიგობით ხერხვა და თან ყარაულობა. მეტად რთული საქმე გამოდგა, გრძნობის დაკარგვამდე გავითოშეთ, მაგრამ უკან ხელცარიელი დაბრუნება არც გვიფიქრია. იმდენად გაგვიჭირდა აქამდე მოღწევა რომ ამ სიმწრით მოპოვებულ შანსს სიცოცხლის ფასადაც არ დავთმობდით. როგორც იქნა ნაწილობრივ მოვჭერით, ნაწილობრივ მოვგლიჯეთ ეს ბანერი. უნდა ავღნიშნო, რომ უდიდესი სიხარული იყო იმ მომენტში, მიუხედავად საფრთხისა და ძვლებამდე გაყინვისა, სიცილისა და ყვირილისგან თავს ვერ ვიკავებდით. ბანერი თავისი ბოძებით ძალიან მძიმე აღმოჩნდა, მოკუნცხულ მდგომარეობაში მისი თრევა ურთულესი იყო, თან ამ გაყინულ-გაბუჟებულ ხელებს საერთოდ ვერ ვგრძნობდით და ორიენტაციით „პლასტმასის ხელებით" მივათრევდით. სატანკო თხრილზე გადატანისას უკვე ბოლომდე გვქონდა არაქათი გამოცლილი და ეს ჩემი უგრძნობელი ხელი, ბანერის თუნუქზე გავიხიე. სისხლი თქრიალით წამომივიდა მაგრამ შეხვევის დრო და ადგილი არ იყო, ბოლომდე გალუმპულები ვიყავით წყალში და ტალახში, თან ორმაგი შიშის ქვეშ ვიყავით, სიჩქარისგან სუნთქვა ჰაერის უკმარისობამდე გაგვიხშირდა, მაგრამ სამშვიდობომდე უნდა მიგვეღწია. იქით ოს-რუს მესაზღვრეებს არ უნდა დავენახეთ, აქეთ ქართველებს. აი ამის ფასად ვაჩვენეთ მტერსა და მოყვარეს, საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ქართველები ოკუპაციას არ შევეგუებით.

სხვა შემთხვევაში ვიპარებოდით ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ამგვარ ბანერებზე სადაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აწერია, ვაწერდით რომ ეს სამაჩაბლოა. ასევე აფხაზეთის საოკუპაციო ზოლთან ლევან თორია და მე ვჭრიდით მავთულხლართებს, ვხსნიდით ეგრეთწოდებულ სასაზღვრო ბოძებს, იმის ნიშნად, რომ ოკუპაციას ფიზიკურად არ შეეგუება ქართველი ხალხი. ვხსნიდით და ვანადგურებდით ოკუპანტთა დროშებს და სიმბოლიკებს. შუა ენგურის ხიდზე ოკუპანტების თვალწინ, დიდი რისკის ქვეშ ვკიდებდით ანტისაოკუპაციო შინაარსის პლაკატებს. ვაკეთებდით ამავე შინაარსის წარწერებს, რისთვისაც კოლაბორაციონისტი ხელისუფლების ზონდერ ჯგუფების მხრიდან თავდასხმის ობიექტი ხშირად გავმხდარვართ. მე პირადად ამის გამო ათჯერ ვარ დაკავებული და ვაი ქართველების ხელით ბევრჯერ სასტიკად ნაცემი.

საოკუპაციო ხაზთან გამავალი ავტომაგისტრალის საგზაო ბანერზე, ჩემს მეგობრებთან ერთად რამდენჯერმე განვათავსეთ წარწერა „ოკუპირებული შიდა ქართლი 300 მეტრში". იგულისხმებოდა, რომ ავტომაგისტრალიდან 300 მეტრში ოკუპირებული ზონაა და ეს ყველა ქართველთან ძალიან ახლოსაა. ასევე განვათავსეთ წარწერა „რუსეთს რა?..!" რომ გზაზე გამვლელ ქართველებს, გულში მაინც დაესვათ ეს კითხვა და მიჩვეულიყვნენ თავიანთი პოზიციის დაფიქსირებას. ერთ-ერთი ასეთი აქციის დროს, როცა მე 12 მეტრიან ბანერზე ვიყავი ასული(იმ ბანერზე ასვლა თუ როგორი სირთულისაა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახოს), მალევე მობილიზდა პატრული, პოლიცია, სასაზღვრო, სახანძრო, სუსი, კუდი და ვინ აღარ! ასე ოცდაათამდე ეკიპაჟი იდგა გზის გასწვრივ და ჩემს ჩამოსვლას ითხოვდა. მე განვუცხადე, რომ გამოხატვის თავისუფლებით მაქვს ამ აქციის გამართვის უფლება და მათ უკანონო მოთხოვნას არ დავემორჩილებოდი. პოლიციის გამოჩენისთანავე ჩემს მეგობრებს შეეშინდათ და მიიმალნენ. „წესრიგის დამცველებმა" მარტო რომ დამიგულეს, იმ სიმაღლიდან პიდაპირ ჩემს გადმოგდებას ცდილობდნენ. ჯერ სახანძრო კიბით შემიტიეს, მერე ჩემს ნერვიულ პროვოცირებას შეეცადნენ და მეძახდნენ „გადმოხტი, შე გიჟოო". რადგან მათთვის პატრიოტიზმი სიგიჟესთან ასოცირდება, სხვა ვერაფრით აეხსნათ რომ ზრდასრულ ადამიანს რამ უნდა აიძულოს ამ სიმაღლეზე აძრომა და რაღაც, საქართველოს ერთიანობისთვის, დეოკუპაციისთვის ბრძოლა. საბოლოოდ წარწერები რომ გაანადგურეს, ჩამოვედი. სასწრაფოდ გადამიგრიხეს ხელები, დამადეს ბორკილები და გამაქანეს ციხეში. ჩემთვის ყველაზე დამთრგუნველი ბორკილები და ციხე კი არა, ის ფაქტი იყო, რომ ჩემი თანამემამულეები, კაცს რომელიც ქვეყნის ინტერესებისთვის ვიბრძვი, 400 - 500 ლარიანი და გინდაც 1000 ლარიანი ხელფასისთვის (ჩამოგდებით) სასიკვდილოდ მიმეტებდნენ. პირდაპირი მნიშვნელობით მკლავდნენ, რახან კამერები არ ეგულებოდათ. მერე ყველა ერთად შეკრავდა პირს და იტყოდნენ; შეურაცხადი იყო, გიჟი გადმოხტა და აბა რა ჩვენი ბრალიაო. აბა გიჟი თუ არ იყო მანდ რა უნდოდაო? ქართველი ერიც დაეთანხმებოდა. ამგვარი ერთგულებისთვის დღეს პრემიებს იღებენ, მერე ამ სისხლიანი ფულით

გაგრძელება გვ. 15

მწერალ გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები

(სიტყვა გურამ პეტრიაშვილის ზღაპართა წიგნების პრეზენტაციაზე)

დენიზა სუმბაძე

ჩემს აღქმაში, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა დღევანდელი თავშეყრის დღე საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიულ დარბაზში, ისტორიული დღეა; თავისი ლიტერატურული შემოქმედებით, ქართული საზოგადოების წინაშეა ბატონი გურამ პეტრიაშვილი, ქართველი ხალხისთვის საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება, როგორც საქართველოს და ქართველი ერის თავისუფლებისათვის მებრძოლი სული. გურამ პეტრიაშვილი, მათემატიკოსი, კინორეჟისორი, მსახიობი, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე, და რაც მთავარია, XX საუკუნის მეორე ნახევარში აფეთქებული ეროვნული მოძრაობის ცნობილი მონაწილე, ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერების, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მეგობარი და თანამებრძოლი, საკუთარ შემოქმედებითსა და ეროვნულ შემეცნებით პოზიციებს, დღეს, მწერლობის ენაზე გვაცნობს და გვესაუბრება სრულიად უნიკალური ზღაპარ-ლექსებითა და ზღაპრებით. მე პირადად არც წამიკითხავს და არც მეგულება მსოფლიო ლიტერატურაში ზღაპარ-ლექსები და ვფიქრობ, რომ ეს საოცარი ლაკონიურობით, ლექსად გადმოცემული ზღაპრის სიუჟეტები, მათი სიმბოლიკა, პოეტური აზროვნების მარტივად, საყოველთაოდ გასაგები სტილით, ჟანრობრივად სრულიად ინდივიდუალური, სრულიად ავტორისეული მიგნება და გამონაგონია. ასე რომ ამ ჟანრის გამომხატველი ცნებაც – `ზღაპარ-ლექსი~, ვფიქრობ, რომ გურამ პეტრიაშვილის საკუთრებაა, და უნიკალური მოვლენაა საერთოდ ლიტერატურის ისტორიაში.

ისტორიულობა დღევანდელი დღის – 2019 წლის 13 მარტისა კი – დღევანდელი საწარდგინებო სხდომისა, რომელიც გურამ პეტრიაშვილის ორი პატარა წიგნის შემოთავაზებას ეძღვნება, იმაშიც მდგომარეობს, რომ ავტორი, გურამ პეტრიაშვილი, როგორც მონაწილე XX საუკუნის მეორე ნახევრის იმ განუმეორებელი მღელვარებით გულანთებული ქართული ეროვნული მოძრაობისა, არამხოლოდ ერთ-ერთი გამორჩეული და დაუვიწყარი მონაწილე გახლავთ, არამედ – პიროვნებაც, ადამიანიც, რომელმაც მთელი ქართველი ხალხის წილხვედრილი ტრაგიზმით გააცნობიერა და განიცადა ის საბედისწერო წუთები ჩვენი ერის ტრაგიკული პერსპექტივისა, ჩვენი ერის შეყენებისა დაღუპვისა და განადგურების გზისაკენ, რომელსაც ვერ აცნობიერებდა იმ დროს, და აქედან გამომდინარე, ყრუდ ხვდებოდა საქართველოს და ქართველი ერის დიდი ნაწილი. და შედეგი ამ სიყრუისა, გახლდათ ის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და მოპოვებული დავკარგეთ. ეს ყველაფერი მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურთა მიერ გათვლილი იყო. ჰელსინკის დეკლარაციით ჩვენ მხარდაჭერილნი და წაქეზებულნი ვიყავით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვისაც და დაკარგვისათვისაც. ამის გაცნობიერება შეუძლებელი იყო ქართველი ხალხისათვის.

ნება მომეცით, საზოგადოებას გავუზიარო ანალიტიკური აღმოჩენა, რომელიც ცხვირწინ დადებულის ვერშემჩნევაა მხოლოდ, წლების მანძილზე, დასაბნევად და გასაოგნებლად არა მხოლოდ ქართველი ხალხის, არამედ მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის.

ეს გახლავთ მსოფლიო პოლიტიკის წამყვანი ძალების მიერ შემოწოდებული ჩვენი ეროვნული მოძრაობის აღმომაცენებელი იდეურ-თეორიული საფუძველი, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გარანტი და ხელწერილი. ჩვენი სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისა – ე. წ. 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაცია, რომელსაც დაეყრდნო საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების მთელი დისიდენტური მოძრაობები და რომლითაც დაიწყო ჩვენი ის განუმეორებელი მღელვარებისა და გულანთების ეროვნული მოძრაობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

ანალიტიკურ აღმოჩენაში ვგულისხმობ 1975 წლის `ჰელსინკის დეკლარაციის~ მიმართებას ე. წ. `სამოქალაქო საზოგადოების~ ებრაულ-სიონისტურ თეორიასთან. რაში მდგომარეობდა ეს მიმართება: თუ ეროვნული მოძრაობები, აღმოცენებულნი დისიდენტური მოძრაობების ნიადაგზე, ხელმძღვანელობდნენ `ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციით გარანტირებულ სახელმწიფო დამოუკიდებლობის ერების თვითმყოფადი განვითარების უზრუნველყოფისათვის, მაშინ `სამოქალაქო საზოგადოების~ ჯორჯ სოროსისეული თეორიის შემოთავაზება და კატეგორიული დანერგვა ჰელსინკის დეკლარაციის უარყოფა იყო.

`ჰელსინკის დეკლარაციიდან~ `სამოქალაქო საზოგადოების~ იდეოლოგიაზე გადაყვანა მსოფლიოს მთელი ახალი წესრიგისა, ეს გახლდათ წინასწარჩაფიქრებული და დაგეგმილი მსოფლიო მასშტაბის სიონისტური თეორიულ-იდეოლოგიური ავანტიურა: ჰელსინკის დეკლარაციით მონიჭებული უფლებამოსილება პიროვნებისა და ერის უფლებამოსილებათა და ღირსებათა ერთობლივი დაცვისა, რაც ერებისა და ხალხების თვითმყოფადი განვითარების პერსპექტივაში მდგომარეობდა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზით, სიონისტური `სამოქალაქო საზოგადოების~ მოდელით, კანონიერად იცვლებოდა ფაქტიურად ერების მკვლელობის თეორიით, რადგან ჯორჯ სოროსის `სამოქალაქო საზოგადოების~ თეორია ერების მკვლელობის თეორია იყო. ამასთან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმკვლელობის, ანუ კანონიერი თვითლიკვიდაციის გზით. `სამოქალაქო საზოგადოება~ ალტერნატივა იყო `ერის~ ფენომენის და მისი დანერგვა ნიშნავდა ერების გარდასახვას `სამოქალაქო საზოგადოებებად~, ნიშნავდა იმას, რომ ის იყო მიზნობრივი მოდელი, მსოფლიო ახალი წესრიგისა უეროვნებო კაცობრიობის შექმნისათვის. ამ იდეას ემსახურებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების გამეფება საქართველოდან, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ნებისმიერი ავანტურისტული მეთოდით. ეს გახლდათ ბრძოლა მსოფლიოს დაპყრობისათვის, ანუ მიზნისათვის, რომლითაც ყველა საშუალება გამართლებული იყო. საქართველოში ეს ხორციელდებოდა პიროვნულ ურთიერთობებში განხეთქილებების შეტანის გზით და ქართველი ხალხის შეცდომაში შეყვანით. ეს გახლდათ ისტორიის ფურცლები, რომელთა გაცნობიერებას დასჭირდა ორ ათეულ წელზე მეტი. ეს გახლდათ ქართველი ხალხის გულუბრყვილობაზე და მოწინააღმდეგის წარმოუდგენელ მზაკვრობაზე დამყარებული ვერაგობის პოლიტიკა. მოწინააღმდეგის მხრიდან, რომელსაც ქართველი ხალხი ვერ აცნობიერებდა, როგორც მოწინააღმდეგეს. ის ნაწილი ქართველი ხალხისა, ანუ ის ძალა, რომლის დაპირისპირებაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიმართ მსოფლიოს ახალი წესრიგის წარმომადგენლებმა შესძლეს, ქართველი ხალხის ლიდერების მიერ განუმარტებელი იყო. ქართველი ხალხის მიერ გაუცნობიერებელი იყო, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ მსოფლიო მხარდაჭერის მისაღებად გადადგმულ ნაბიჯსა და ქართველი ერის ეროვნული მოძრაობით მოპოვებულ დამოუკიდებლობას შორის იდგა მსოფლიოში ცნობილი ბილდერბერგის მასონური კლუბი თავისი ანალოგიით, მასონურ-სიონისტური ლოჟით საბჭოთა სივრცეში: `მაგისტერიუმით~. მხედველობაში მაქვს 1989 წელს დაფუძნებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების, `საქართველოს ჰელსინკის კავშირის~ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი `მატიანე~, მასში გამოქვეყნებული ბ-ნ ნუკრი ბაღდავაძის წერილი, სადაც პირველად არის ფარდაახდილი მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორისა და ებრაულ-სიონისტური ლოჟის `მაგისტერიუმის~ პატრიარქად წოდებული ედუარდ შევარდნაძის ვერაგობა ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების გაძევების მთელ ისტორიაში (იხ. `მატიანე~, 2017 წელი, #1-2 (19-20)).

ეს ვრცელი წიაღსვლა დამჭირდა იმისათვის, რომ მეთქვა:

სწორედ ამ უმწვავეს პროცესებში მოევლინა ქართველ ხალხს გურამ პეტრიაშვილის გული გონიერი! შემომძახებლად თავგანწირული მოწოდებისა, გაფრთხილებოდა ხალხი საკუთარი ეროვნული მოძრაობის მონაპოვარს. სამწუხაროდ ერის დიდი ნაწილი იყო ამ წინასწარმეტყველური შეშფოთებისა და თავზარდამცემი მომავლის წინათგრძნობის გაგებისათვის დაყრუებული იყო სრულიად მაცთური მეთოდებით და გადაყვანილი იყო ერისავე დამღუპველ ტალღაზე.

სწორედ ამ დიდი ტრაგიზმის მომენტში იყო გურამ პეტრიაშვილის გმირი, რომლის გულსა და გონებას მისხლეთაც არ მიჰკარებია ცთომილება ერის იმ დიდი ნაწილისა, მიუხედავად იმისა, რომ არც გურამ პეტრიაშვილმა და არც ჩვენ, ქართველმა ერმა, არ ვიცოდით, რა მახე მზადდებოდა და რა ხდებოდა ჩვენს წინააღმდეგ მსოფლიოს დიდ პოლიტიკურ სივრცეში, იმ დიდი მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეში, რომელიც ჰელსინკის დეკლარაციით, ვალდებული იყო დაეცვა ქართული ეროვნული მოძრაობის მონაპოვარი: ეროვნული მოძრაობის მიერ მოყვანილი ხელისუფლების უფლებამოსილება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვის, ხელისუფლებისა, რომლის წინააღმდეგ აგორებული პროცესებით, იგი უკვე იძულებული იყო თავის დასაცავად საქართველოს პარლამენტის ბუნკერში ყოფილიყო შესახლებული.

ჩვენს მიერ მითითებული, ჟურნალ `მატიანეში~ გამოქვეყნებული წერილით ფარდა ეხდება, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გაძევებას საქართველოდან მთლიანად მართავდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე ებრაულ-მასონური ლოჟის `მაგისტერიუმის~ მხარდაჭერით, რაც გამჭვირვალედ გამოიხატა `გაძევების~ პროცესუალურ დინამიკაში: ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, რომელმაც ბუნკერში იზეიმა საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, ბუნკერშივე მიიღო დარტყმა წევრობის შეჩერებისა და ვეტოს დადების. ინიციატორი ამ შეჩერებისა და ვეტოს დადების ბატონი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. ასე აღმოჩნდა მთელი მსოფლიო შეკრული და ჩარეული საქართველოს ეროვნული ხელისუფლების გაძევების საქმეში, რომელიც საქართველოს პარლამენტის ბუნკერიდან სწორედ ამ ვეტოს დადების მეორე დღეს იქნა გაძევებული. ხოლო როდესაც ედუარდ შევარდნაძე შემობრძანდა ქართული სახელმწიფოს მხსნელად, შემობრძანდა ჯორჯ სოროსთან, `მაგისტერიუმის~ ლიდერთან ერთად, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო მანქანას დაეუფლა მასონურ-სიონისტური დიდი კლუბის `ბილდერბერგის კლუბის~ ანალოგი ლოჟა საბჭოთა სივრცეში `მაგისტერიუმი~, ანუ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება საქართველოში შეცვალა შევარდნაძე-სოროსის ხელისუფოლებამ და მმართველობამ.

ამ ტრაგიკული დღეების გმირი, მწერალი, კინოხელოვანი და გულაბობოქრებული მამულიშვილი, გურამ პეტრიაშვილი ამ დღეებით დაიმახსოვრა ქართველმა ხალხმა, რომელიც მწარე შეცდომაში შეყვანილი, თავად ვერ ხვდებოდა, თუ რაოდენ უმძიმეს და საბედისწერო განსაცდელში იგდებდა თავს. და რა საბრალო იყო ქართველი ხალხი, როდესაც გურამ პეტრიაშვილის განწირული სულისკვეთებით წარმოთქმულ სიტყვებზე ცინიკურად მომღიმარი, თავად იყო საგანი საქართველოს მტრული ძალების ცინიკური ახარხარებისა საკუთარი ვერაგობით მიღწეულ საქართველოს მომავალზე.

მე მინდა ვისარგებლო დღევანდელი საწარდგინებო თავშეყრით და მადლობა ვუთხრა ბატონ გურამს, იმისათვის, რომ მან ეროვნული მოძრაობის დინამიკაში შეტანილი თავისი თავგანწირული სულისკვეთებით ჩატეხა მთელი იმ ქართული საზოგადოებრობის ცთომილებითი ველი და ისტორიას დაუტოვა თავისი პიროვნული სახელი, როგორც `შეუმცდარი ქართველი ერის~ (ამ სიტყვებს სჭირდება ტაში).

მთელი ეს ისტორია, ეროვნული მოძრაობისა, რომელიც კვლევა-შეხსენების მოვალეობით ვიხმეთ, როგორც განუყრელი თანმდევი სული მწერალ გურამ პეტრიაშვილისა, ანიჭებს დღევანდელ საწარდგინებო თავშეყრას იმ ისტორიულ მნიშვნელობას, რომელიც ჩვენი სიტყვის დასაწყისში შემოგთავაზეთ პატივცემულ საზოგადოებას.

და აწ პირველსავე სიტყვასა მოვი-

გაგრძელება გვ. 16

1922 წლის ხევსურეთის გამოსვლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ

ქართველი ხალხი მალე მიხვდა თავის შეცდომას, რომ მტერს თითქმის უბრძოლველად ჩააბარა რის ვაი ვაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა. „თუ ვინმე იმას ფიქრობდა, რომ რუსები თეთრ პურს მოგვიტანენო, მოტანის მაგიერ მათ ჩვენი თალხი პურიც დანთქეს.“ დამოუკიდებლობის წართმევას ქართველმა ხალხმა უკვე 1921 წლის ზაფხულში აჯანყებით უპასუხა. აჯანყებამ სვანეთში იფეთქა და რამდენიმე თვეს გაგრძელდა. სვანეთში რევკომის ხელისუფლება დაამხეს, დაამარცხეს წითელი არმიის ნაწილები და შეკრეს სვანეთში შესასვლელი გზები. ზამთრის დიდთოვლობამ სვანები რეპრესიისგან იხსნა. 1922 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც გზები ასე თუ ისე გაიწმინდა, სადამსჯელო რაზმებმა შეძლოეს დასახული მიზნის განხორციელება და შეიარაღებული გამოსვლა ჩაახშეს.

სვანთა გამოსვლა ევროპაშიც გახდა ცნობილი და გენუის კონფერენციის ყურადღება მიიპყრო. ამ კონფერენციას საქართველოდან გაეგზავნა კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მემორანდუმი, სადაც აღწერილი იყო საქართველოში შექმნილი რთული მდგომარეობა რუსეთის მიერ მისი ოკუპაციის შემდეგ. სულ მალე, ამ მემორანდუმის საფუძველზე, ამბროსი ხელაია საბჭოთა ხელისუფლებამ სამართალში მისცა.

რუსთა სიძულვილი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, განსაკუთრებით მთის ხალხი შფოთავდა და ხელი მუდამ იარაღზე ედო.

აჯანყებისთვის ხალხის დასარაზმად შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი - ე.წ. „დამკომი“. მასში შედიოდნენ - სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, სოციალ-რევოლუციონელები და „სხიველები“ - ყოფილი სოციალ-დემოკრატები. რა თქმა უნდა, უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ და არსებობის მანძილზე დამკომს სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ.

სვანთა აჯანყების შემდეგ ჯერი აღმოსავლეთ საქართველოზე მიდგა. აჯანყების ცენტრი დუშეთი იყო, სადაც ამბოხებულთა რაზმები იყრიდნენ თავს. ამ გამოსვლას ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასთან შექმნილი სამხედრო ცენტრი მართავდა, რომლის თავმჯდომარეც კოტე აფხაზი იყო. პარტიზანული რაზმების უფროსი კი ქაქუცა ჩოლოყაშვილი - 1918-21 წლებში ქართული არმიის პოლკოვნიკი.

ამბოხება 6 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო. შემუშავდა საბრძოლო გეგმაც, სადაც ყოველი დეტალი გათვლილი იყო. თავდაპირველად აჯანყება ქ. დუშეთში უნდა დაწყებულიყო. აქ გამოგზავნილ წითელ არმიას, რომელსაც „შეფიცულთა“ რაზმი არაგვის ხეობის სიღრმეში შეიტყუებდა, ზურგიდან დაარტყამდა დასავლეთიდან წამოსული სოციალ-დემოკრატი მიხეილ ლაშქარაშვილი. მტრის დამარცხების შემდეგ, გაერთიანებული მეამბოხეები ქაქუცას მეთაურობით თბილისზე წამოვიდოდნენ. პარალელურად აჯანყებები უნდა დაწყებულიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლისა და კახეთის ყველა მაზრაში. ამის ორგანიზებას თავის თავზე დამკომი, იგივე „პარიტეტული კომიტეტი“ იღებდა. წითელი არმიის განდევნის შემდეგ ხელისფულებას ხელში დამკომი აიღებდა. ამავე დროს საქართველოში დაბრუნდებოდა ემიგრაციაში მყოფი ქართველობა და დაინიშნებოდა არჩევნები.

აჯანყება 6 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო. თავის მოგონებებში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, ალექსანდრე სულხანიშვილი შენიშნავს: „იქ, სადაც ჩვენი ხელი წვდებოდა, ყველაფერი კარგად იყო მოგვარებული. ყველა რაიონში, ყოველ სოფელში იყვნენ დანიშნულები ათისთავები და ასისთავებიც. გარდა ამისა, იარაღი ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ხალხს. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქ დამკომზე იყო დამოკიდებული ორგანიზაციების მოწყობა და იმათი დარაზმვა, რადგან ჩვენ იქ სასხვათაშორისოდ თუ ვწვდებოდით“.

აჯანყებაში ჩრდილოკავკასიელი მთიელების მოწვევაც იყო დაგეგმილი, საამისოდ შეფიცულებიდან სპეციალური დესპანები გაიგზავნენ, რომელთაც უნდა დაეყოლიებინათ ჩრდილოკავკასიელები, პირველ რიგში კი ქისტები, რათა ქართველებთან ერთად ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ. თუმცა, მოლაპარაკებები მცირედით დაგვიანებული გამოდგა და შეთანხმება მას შემდეგ შედგა, რაც ხევსურეთის ამბოხება უკვე დამარცხებული იყო.

აჯანყება დაიწყო. მისი ჩახშობა დაევალა პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილს, კავკასიის განსაკუთრებული არმიის საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსს, რომელიც ფარულად პარიტეტული კომიტეტის წევრი იყო.

იმ პერიოდის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე დავით ვაჩნაძე წერს: „მივდივარ ფრონტზე, შემომივარდა როსტომი ბინაში. დუშეთის ახლოს ზურგის არმიის დაგროვება წესიერად მიმდინარეობს. ქართლიდან მიეხმარებიან. ახლა კი იმედი მაქვს ჩემი გეგმა სავსებით განვახორციელო. გამარჯვება ან სიკვდილი.“

როსტომის იმედები არ გამართლდა.

მედგრად იბრძოდნენ შეფიცულები და ხევსურები. ერთმა კოჭლმა ხევსურმა ხუთი წითელარმიელიც კი განაიარაღა და ტყვედ წამოასხა. კარგად გამაგრებული ქართველი პატრიოტები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ბოლშევიკებს და დიდადაც აზარალებდნენ მათ. ეს შეტაკებები ორი-სამი დღე გაგრძელდა, მიხეილ ლაშქარაშვილი კი თავისი რაზმით არ ჩანდა. დიდი დანაკლისის მქონე კომუნისტებმა უკან დახევა გადაწყვიტეს და დატოვეს არაგვის ხეობა, რათა ახალი ძალები მოშველებოდათ, გადაჯგუფებულიყვნენ და თავიდან, მეტი ძალით შეეტიათ ამბოხებულთათვის. აი, ამ დროს გადაწყდა „ელჩობის“ გაგზავნა კავკასიონის ჩრდილოეთით. ცნობილი ფაქტია, რომ ქისტებსა და ხევსურებს შორის უხსოვარი დროიდან დაპირისპირებებია. ამის გამო, ხევსურთა მეთაურებმა დესპანებს დააბარეს - „უთხროდი ქისტებს, მართალია, მტრობაა ჩვენ შორის, მაგრამ დროებით დავივიწყოთ; რუსები, რომლებიც კარზე გვყვანან მომდგარნი, მტრები არიან ჩვენიც და თქვენიც; ხევსურეთში რომ შემოვლენ, მერე თქვენთანაც მოვლენ“-ო. ამის შემდეგ მათთან ერთ-ერთი იქაური მებრძოლი, გოგოთური მივიდა, თავისი ორი შვილიშვილი - გოგო და ბიჭი - მიუყვანა და უთხრა -„ჩვენ ქისტების სისხლი გვმართებს, ესენი წაიყვანე და მიჰგვარე ქისტებსაო.“ ამას, რა თქმა უნდა, ქაქუცა და სხვა შეფიცულები წინააღმდეგობით შეხვდნენ და განზრახულზე, თავგანწირულ მებრძოლს ხელი ააღებინეს.

ახლა კი მივბრუნდეთ და გავარკვიოთ, თუ რა მოხდა ზურგის ჯარების შტაბში. გორთან ამბოხებულებმა 400-მდე მებრძოლი შეაგროვეს, რომელთაც წითელარმიელებისათვის ზურგიდან დარტყმა ევალებოდათ. ყველა პარტიას, თავისი შეიარაღებული ნაწილები როსტომ მუსხელიშვილის სარდლობის ქვეშ უნდა გადაეყვანა, რასაც წინ სოციალ-დემოკრატები აღუდგნენ, ვინაიდან მეთაურად მათ თავიანთი პარტიის წარმომადგენელი სურდათ. შტაბში დაიწყო დავა, თუ ვის უნდა ეხელმძღვანელა აღნიშნული რაზმისთვის. შეუთანხმებლობის გამო, უკვე დაწყებულ ამბოხში სოც-დეკებმა მონაწილეობაზე უარი თქვეს, აჯანყება ნაადრევად ჩათვალეს, შეიარაღებული გამოსვლები დაგმეს და გადაწყვეტილება ფრონტზე გასულ თავის წევრებსაც გაუგზავნეს. ჩოლოყაშვილის დასახმარებლად წასულმა სოცდეკებმა ქართლში შეყრილი რაზმები დაშალეს. მუსხელიშვილი რუსების ჯარით ქაქუცას ბანაკს მიადგა, სადაც სასტიკი მარცხი განიცადა, თუმცა მოგვიანებით, დამხმარე რაზმით შევსებულმა წითელმა არმიამ აჯანყებულები ალყაში მოაქცია. პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი ყველანაირად ცდილობდა, რათა დრო მოეგო, რამდენიმეჯერ შეაჩერა შეტევა, რასაც მძიმე გარემო პირობებით ხსნიდა. ამასობაში, სავარაუდოდ პოლკოვნიკ მუსხელიშვილის დახმარებით, ქაქუცამ ალყა გაარღვია და კახეთს გაიხიზნა. რუსებმა ხევსურეთი მოარბიეს და თბილისში სასტიკი რეპრესიები მოაწყვეს.

აჯანყებასთან თანამშრომლობის ბრალდებით დააპატიმრეს მაღაროს კარის მილიციის უფროსი ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი. კოტე მაყაშვილი და მწერალთა კავშირის წევრები ეახლნენ სერგო ორჯონიკიძეს და სთხოვეს, საქართველოს საამაყო პოეტის შვილი გადაარჩინეთო, ამის პასუხად სერგომ მიუგო - ცოცხალი რომ იყოს, ვაჟასაც დავხვრეტდიო. ამის შემდეგ კი საჯაროდ განაცხადა - „მე მინდა გავაფრთხილო ქართველი ინტელიგენცია, რომ არ გაიმეოროს სამწუხარო გამოცდილება რუსული ინტელიგენციისა. თუ ინტელიგენცია დაგვიპირისპირდება, ჩვენ ტყვიის გარდა სხვა ენაზე საუბარს არ დავუწყებთ.“ ხელისუფლება დიდხანს ეძებდა აჯანყების უშუალო ორგანიზატორებს, აჯანყებასთან კავშირისთვის დახვრიტეს სოლომონ ანდრონიკაშვილი და ალეკო სუმბათაშვილი. ძმები დავით, არჩილ და შაქრო ვაჩნაძეები. მოკლეს ალექსანდრე გელაშვილი, კონსტ. ჩოლოყაშვილი, იუნკერი ძმასპიშვილი, რომელსაც მოხუცი მამისთვის მიუწერია: „ინუგეშე თავი იმით, რომ შენი შვილი ღირსეულად ხვდება სამშობლოსთვის სიკვდილს.“

ამ ამბების მიუხედავად, იწყება ხშირი გამოსვლები და მიტინგები კომუნისტთა წინააღმდეგ, სადაც ხელისუფლებას ანტიქართულ ქმედებებში ადანაშაულებენ. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას საქართველოს ტერიტორიების მიმართ რუს და ქართველ კომუნისტთა დამოკიდებულება იწვევდა. ამ დროს თურქეთს გადაეცა რამდენიმე ოლქი, სადაც 164 000 ქართველი ცხოვრობდა, სომხეთს ბორჩალოს მაზრის ნაწილი, აზერბაიჯანს ჰერეთი, დღევანდელი საინგილო. საქართველოს რუკაზე გაჩნდა აჭარის, აფხაზეთისა და ს.ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკები.

თსუ-ის ისტორიის მიმართულების
სტუდენტები:
გვანცა ტვილდიანი,
ნიკოლოზ სარაჯიშვილი

(სტატიის ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)

ოკუპაციამდე დაწყებული „ანტისაოკუპაციო მოძრაობა“ (II ნაწილი)

დასაწყისი გვ. 13

მიუტანდნენ საჭმელს თავიანთ შვილებს და თავიანთ სამეგობროში საქართველოს და პატრიარქის სადღეგრძელოს დალევდნენ. ასეთი, სულით კიტოვანი, იოსელიანი და ყარყარაშვიილები რომ გავხდით, იმიტომ ვართ დამარცხებული.

სასამართლოზე რომ მიმიყვანეს, ადვოკატი არ მყავდა, მაგრამ პროცესი არ გადავადებინე, - ჩემს თავს მე თვითონ დავიცავ მეთქი. პოლიციელი, ჩემთვის ჭკუის სასწავლებლად, პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა; - პილიციელებს სიტყვიერი შეურაცყოფა მოგვაყენა და აგერ ვიდეო მტკიცებულება მაქვსო. მოსამართლე ვიდეო ჩანაწერებს რომ გაეცნო მკითხა. -"ამის დედაო“ რომ იგინები, „ამაში“ რას გულისხმობდიო? მე უპასუხე - ამ ცხოვრებას ვგულისხმობდი მეთქი. პოლიციელი ხახა მშრალი დარჩა, სხვა მტკიცებულება მას არ გააჩნდა და ეს იმედიც გადაეწურა, გინება ვერ დამიმტკიცდა. - თქვენ სახელმწიფო ბანერზე უკანონოდ აძვერით და დააზიანეთ სახელმწიფო ქონებაო, შემდეგი კითხვა დამისვა მოსამართლემ, რომელსაც მივუგე; - მე კი არა ეგ ბანერი არის უკანონო მეთქი. საგზაო ბანერის დანიშნულებაა, რომ ზუსტი მიმართულება უჩვენოს მგზავრს. ხოლო ამ ბანერზე რომაა მითითებული, „ხელმარჯვნივ 1000 მეტრში ნადარბახევი“, 300 მეტრიდან უკვე საოკუპაციო ხაზი იწყება და რომელიმე მგზავრმა ამ ბანერზე წარწერას რომ დაუჯეროს დაიღუპება, ამიტომაა უკანონო და არასწორი მეთქი. ქალბატონი მოსამართლე საგონებელში ჩავარდა. მე გავაგრძელე; - ხოლო რაც შეეხება ბანერის დაზიანებას, საგზაო ბანერზე მე დაუზიანებლად განვათავსე პლაკატი, აქციის დამთავრების შემდეგ, ამ პლაკატის ჩვეულებრივ მოხსნა შეიძლებოდა, მაგრამ ბატონი პოლიციელები მიადგნენ სახანძრო კიბით და მთელი ძალისხმევით ფხაჭნეს და გაანადგურეს სახელმწიფო ქონება მეთქი. მოსამართლე შეცბა; ეს სანამ ჩემს გამტყუნებაზეც გადმოსულა უნდა მოვიშოროო თავიდანო და პოლიციელს შეხედა, - რა უყოთო? პოლიციელი გაჯიუტდა, - პატიმრობა შეუფარდეო. მოსამართლემ; - კი მაგრამ როგორო? ეხლა მოსამართლე გახდა ჩემი ადვოკატი. პოლიციელმა; - აი ეგრე, ჭკუის სასწავლებლად ერთი 20 დღით მაინც ჩააყუდე, თუ გინდა რომ ჩემს უფროსობას არ აწყენინო და ჭკუა შენ არ გასწავლონო. მოსამართლემ განაჩენი გამომიტანა და მხოლოდ 300 ლარით დამაჯარიმა, მერე მომიბრუნდა და მთელი თანაგრძნობით მითხრა; - აი ხომ ხედავ მაქსიმალური გავაკეთე შენთვის მინიმალური რომ შემეფარდებინაო. მეც ადამიანურად შევედი მის მდგომარეობაში და მადლობა გადავუხადე. გასასვლელში პოლიციელი რაღაც ბოდიშის მოხდის მაგვარს წყმუტუნებდა და იღრიჭებოდა, სასამართლო პროცესზე კობა ხაბაზი რომ დაინახა, ჩემზე ფიქრობდა; ვაი და ეს გიჟი ერთ დროს მთავრობაში მოვიდეს, ცუდად არ დამიმახსოვროსო.

კობა ხაბაზი შთაბეჭდილების ქვეშ იყო; - ეს რა კარგად ილაპარაკეო. ალბათ იფიქრა, რომ ანტისაოკუპაციო მოძრაობა არ არის ცუდი „თემა“. მეორე დღეს ნაციონალური მოძრაობის ადვოკატმა დამირეკა, - ჯარიმა არ გადაიხადო, მე გაგისაჩივრებო. გასაჩივრებით კი გამისაჩივრა, მაგრამ ეტყობა შემდეგ რაღაცა შეიცვალა და სასამართლო პროცესის დღე ჩემთვის არ უცნობებია და უჩემოდ ჩატარებულ პროცესზე, ჯარიმა იგივე დამიტოვეს. მერე მთელი წელი ბანკში ყადაღა დამედო და 45 ლარიან დევნილთა დახმარებას მთლიანად მიქვითავდნენ.

ჩემი აზრით „ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ საკითხი ამ დროს დაისვა ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოში. ადრეც მე არაერთხელ შემითავაზებია, როგორც „თავისუფალი ზონისთვის“ ასევე „ნაციონალური მოძრაობისთვის“, „ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ მათი ეგიდით პოპულარიზება. ჩამოყალიბებული მქონდა ამ მოძრაობის მორალურ-იდეური მხარე და სამოქმედო გეგმა; საჭირო იყო, ქვეყნის სამოქალაქო-ეროვნული თვითშეგნება აგვემაღლებინა და განგვემტკიცებინა ჭეშმარიტ ეროვნულ ღირებულებებზე, ამ პლათფორმაზეც უნდა გაძლიერდეს სამოქალაქო ერთობა და ბრძოლისუნარიანობა. მოძრაობის ამოცანა იყო საზოგადოების ერთსულოვნება, თავგანწირვის მაგალითებით უნდა მოგვეპოვებინა. მერაბ კოსტავას სიტყვებია: „სად თანაგრძნობა ვერას გახდება, იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს.“ ღრმად ვარ დარწმუნებული, „ელჭიპიტი“ საქართველოსთვის თავს არავინ გაწირავს. ლიბერალებისთვის სწორედ „ელჭიპიტი“ ინტერესებია მთავარი და პატრიოტიზმი მიუღებელია, ისინი მთელი ძალით უტევენ ქრისტიანულ-ეროვნულ ფასეულობებს და მათ ნაცვლად ფსევდო ფასეულობების პროპაგანდით არიან დაკავებული. ხოლო რეალურად, მათ ფსევდო პატრიოტული მოძრაობები, პატრიოტული „სენტიმენტები“ სანელებლებივით „მუხტის“ ასაწევად და „რეიტინგის“ გასაზრდელად სჭირდებათ. ამის დიდოსტატია, წიწაკის ტელე აქციის „გენიოსი“ ავტორი ნი-წი-კა გვარამიაა. „ნაციონალური მოძრაობას“ „ანტისაოკუპაციო მოძრაობისთვის“ მწვანე შუქის ასანთებად ჩემი პიროვნება მიუღებელი აღმოჩნდა, თორემ იდეა სათავისოდ „სანელებლებად“ გამოსაყენებლად კი მოსწონებიათ. ისინი იცნობდნენ ჩემს კონსერვატიულ პატრიოტულ ხედვებს. ჩემი, მნიშვნელოვანი პროექტის ხელმძღვანელად დატოვება, მათ გრძელვადიან გეგმებში არ ჯდებოდა. ერთ ლიდერს უთქვამს; - ერთსქესიანთა ქორწინებებს ლეგალიზებას ონისე არასდროს შეეგუებაო და მართლაც ასეა. ამიტომ მათ ამ პროექტს, ჩემს გარეშე აუნთეს მწვანე შუქი, მე კი ჩამაჩოჩეს. ჩემი ცნობადობის გაზრდა და ტელევიზიით გაპიარება გვარამიას არ აწყობდა. მათ ჩემი გვერდის ავლით ქაცარავა-კილაძისა და სხვა ნასხლეტებისაგან შეაკოწინეს და დააფუძნეს ფსევდო ანტისაოკუპაციო მოძრაობა „ძალა ერთობაშია“. ერთ-ერთ ამის დამფუძნებელს ვკითხე; შე დალოცვილო ძალა ერთობაში თუ არის, თქვენ ცალკე რატომ გახვედით და ხელახლა რატომ გააკეთეთ უკვე ერთხელ გაკეთებული „ანტისაოკუპაციო მოძრაობა“ მეთქი? მან ნერვიულად მომიგო; - თუ რამე პრეტენზიები გაქვს სასამართლოს მიმართეო. იმავე ადგილზე დადგნენ სადაც მე ვიდექი, იგივე პლაკატები დაიჭირეს, ოღონდ მე თუ 300 მეტრში მეწერა ბანერზე, ამათ „დასაწყისისთვის ოდნავ შეამსუბუქეს ვითარება“ 400 მეტრი მიაწერეს. აბა პლაგიატს ხომ არ იკადრებდნენ. მე არავინ მეძახდა, ჩემი გარიყვა მიდიოდა ამ მოძრაობიდან.

ხოლო ამ ფსევდო მოძრაობაზე და მის მსახიობთა ჯგუფზე იმის თქმა შეიძლება მხოლოდ რომ ესენი პარალელურად „ელჭიპიტი“ სამკლაურებითა და შიშველი უკანალით მიწოლის აქციებით, პიანინოებით, რაცია-ჭოგრიტებით და შიშველი ფემინისტური „პროტესტებით“, ამ მოძრაობის პროფანაცია-დისკრედიტაციას ეწევიან. რასაც ესენი აკეთებენ მთლიანად აცდენილია „ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ შინაარსს. ამას მე რომ არ დავუშვებდი, ეს გაითვალისწინა „ჯენიოსმა“ და სადავეები გამომტაცა ხელიდან.

ონისე გერგელავა

მწერალ გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები

(სიტყვა გურამ პეტრიაშვილის ზღაპართა წიგნების პრეზენტაციაზე)

დასაწყისი გვ. 14



დეთ.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ამ ისტორიულ დარბაზში ბატონ გურამ პეტრიაშვილის ორი პატარა წიგნის დაბადების აღსანიშნავად: ერთს ჰქვია ბატონი გურამის ზღაპარ-ლექსები, მეორეს – `ირინეს ზღაპრები~. შეიძლება ითქვას ისიც, რომ თუ პირველი წიგნი ზღაპარ-ლექსებია, მეორეს შეიძლება ვუწოდოთ ზღაპარ-ნოველები.

რა შემიძლია გითხრათ ამ ორი წიგნის გაცნობის შემდეგ.

საქართველოში, მწერლები ყოველთვის ასრულებდნენ ერის ზნეობრივად განსწავლის მისიას. ზენიტი ამ მწერლური ზნეობრივ-მორალისტური მისიისა ქართველი ერისათვის შოთა რუსთაველის `ვეფხისტყაოსანი~ იყო და არის. ასე რომ, ქართველ ერს ორი ეკლესიური დანიშნულების მოძღვრება და, აქედან გამომდინარე, ორი ეკლესიური სწავლება აქვს: მართლმადიდებლურ-ქრისტიანული და რუსთველურ-ქრისტიანული.

ჩემს ხედვაში, თავისი მორალური პრინციპებით რუსთველურ-ქრისტიანული ჭეშმარიტად ეროვნული და ამავდროულად საკაცობრიოდ, რუსთველურ-ქრისტიანული მოძღვრებაა ნამდვილი ქრისტიანული და სამომავლო კაცობრიული.

ეკლესიურ-მართლმადიდებლური ქრისტიანობა ბიზანტიურ-დოგმატური მსოფლიო საეკლესიო კრებებით ჩამოყალიბებული, ჩემს ხედვაში, უფრო მეტად საჭიროებს დაახლოვებას ქრისტესთან, ვინემ ის თავისი დოგმატური სახითა და მოდელით არის წარმოდგენილი. ეს ცალკე საკითხია. ზღაპარი ის ჟანრია, რომლითაც საქართველოში ბავშვების გონება და გული, შემეცნება და ცხოვრების წესი იწყებს გაცნობიერებას და ჩამოყალიბებას. ქართული ხალხური ზღაპარი პირველი სკოლაა, რომლის მერხზეც ქართველი ბავშვები იწყებენ აზროვნებას. ქართული ზღაპარი ეს უმანკო სიბრძნეა. ბატონი გურამ პეტრიაშვილი ის ქართველი ბავშვია, რომელიც ქართულ ზღაპრებზე გაზრდილი, თავად გახდა შემდეგ ზღაპართშემოქმედი. მე არ წამიკითხავს მსოფლიოს ლიტერატურაში მსგავსი ჟანრის თხზულებები, ისეთი, როგორიც ბატონი გურამის ზღაპარ-ლექსებია. ეს სრულიად ახალი და ინდივიდუალური მოვლენაა. და არც არის გასაკვირი, რადგან ქართული ცნობიერება, ქართველი ერის ბუნება-ხასიათი, მისი იდეალები ქართულ უნიკალურ ზღაპრებშია გამოკვეთილი და ქართული ცნობიერებისათვის ღვთითბოძებული უნარია ზღაპრით აზროვნება. ზღაპარი ხომ ეს მარადბავშვური და მარადვარსკვლავეთს მიღმა გაჭრილი გონების ქმედება და ნაყოფია, ყოვლის შემძლეობისა და ყოვლის შესაძლებლად ქცევის ხელოვნება, წარმოსახვის გზით. ზღაპარი ეს ხომ სიზმარეული ცნობიერებით აზროვნებაა, იმით, რომლითაც მიუღწეველიცა და შეუძლებელიც მიღწევადია და შესაძლებელი...

ხშირად მიფიქრია, რომ ქართული ცნება `ზღაპრისა~ – `მზეჭაბუკი~ წინარე საფეხური უნდა იყოს ქალდეური განსაზღვრებისა, რომ ადამიანი შექმნილია ხატად და მსგავსად შემოქმედი ღმერთისა. დალ-ღმერთისა და მონადირის სიყვარულებში კაცობრიული მონაზვნური თავგანწირვის ჩანასახები დამინახავს: შემთხვევითი არ არის, რომ ამირანის ქართული მითოსი იქცა პრომეთეს მოტაცებულ ცეცხლად კაცობრიობის საკეთილდღეოდ გათვლილი ცივილიზაციისა... და ა. შ. ზღაპარში სიბრძნის მეტყველებაა მთელი ხალხისა, იმ ცნობიერებისა, რომელსაც ესა თუ ის ზღაპარი ეკუთვნის.

საკვირველად გამოიყურება მხოლოდ ფაქტი, რომ გურამ პეტრიაშვილისათვის ზღაპარი არქაული ფორმა კი არ არის აზროვნებისა, არამედ მოდერნისტული და ამასთან სრულიად ბუნებრივი ჩვენი თანამედროვეობისა. მას ვერ ეღობება რეალობა დღევანდელობა, რომლითაც ადამიანი რეალურად მიემგზავრება მარსზე და მთვარეზე – გურამ პეტრიაშვილის ზღაპარ-ლექსებში სწორედ ის ქართული მარად-ბავშვური და მარად-ჭარმაგული უმანკო ხედვაა, რომლითაც ყველაფერი შესაძლებელია. გაოცებას იწვევს ესოდენ პატარა ლექსებით, ესოდენ ლაკონიური სიუჟეტებით, როგორ ქმნის ავტორი ცხოვრების გრანდიოზულ შეკითხვებს ყველა ასაკის მკითხველისათვის.

ერთი ზღაპარ-ლექსი მინდა გაუწყოთ მისი წიგნიდან, სათაურით: `მოკრივე და იასამანი~.

მსოფლიოში სახელგანთქმული მოკრივე მეტოქეს ელის. იგი უკვე რინგზეა გასული და მაყურებელთა წინაშე მოლოდინში მყოფი ვის უნდა შეეჭიდოს, თავისზე ახალსა და უცნობ დამმარცხებელსა და დამარცხებულს, არ იცის. მღელვარე წუთია მოკრივისათვისაც და მაყურებელთა დიდი ტალღებისათვისაც. და მოულოდნელად რინგზე მეტოქე შემოდის – მაღალი ბუჩქი იასამნის. იასამანი გურამ პეტრიაშვილისათვის ამორჩეული ყვავილია. იასამნების კორიანტელია მის ზღაპარ-ლექსებში. და აი, მსოფლიო მნიშვნელობის მოკრივე უნდა შეეჭიდოს უცნობ იასამანს. ზედაპირული და სასხვათაშორისო სერიოზულობით შემოამტვრევს მოკრივე იასამანს ჯერ ტოტებს, მაგრამ როდესაც იასამანი ფრთებივით მოიქნევს აყრილ ტოტებს და თავის ტოტებში, როგორც კლანჭებში ისე მოამწყვდევს მოკრივეს, რომ გზა-კვალს აუბნევს, მოკრივეს საქმე ცუდად წავა. დაბრკოლება მწვერვალს აღწევს და იასამნის ტოტებში გაბლანდული დიდი მოკრივე მარცხდება. იასამანმა გაიმარჯვა ფიზიკურ ძალაზე. დოსტოევსკის გამოთქმა მახსენდება: მშვენიერებამ გაიმარჯვა. არაჩვეულებრივი სისხარტით და ლაკონიზმით დახატული ბრძოლა მოკრივესა და იასამანს შორის გვიტოვებს განცდას, ფიქრსა და იდეას სულიერი მშვენიერებისა და ადამიანური სილამაზის უპირატესობისას ცარიელ ძლიერებაზე. ეს მშვენიერება და სილამაზე ღვთით ბოძებული მშვენიერება და სურნელებაა.

სიტყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, იასამნიდან ზღაპარ-ნოველებზე გადავალ, რომლებიც დღევანდელი საწარდგინებო თავშეყრის მეორე წიგნად არის შემოთავაზებული ავტორის მიერ, სათაურით: `ირინეს ზღაპრები~.

პირველ ზღაპრად ავტორმა გვაჩუქა ზღაპარი სათაურით: `აკაკი და ბულბულები~. ზღაპარში ბულბულები მსჯელობენ ქართველი ერის სათაყვანო პოეტის – აკაკი წერეთლის – ბულბულობაზე, რადგან ქართველ ერს აკაკი წერეთელი უღიარებიათ `საქართველოს ბულბულად~.

რაღა დაგიმალოთ და გურამ პეტრიაშვილის ბულბულების ამ მსჯელობაზე, არის თუ არა აკაკი წერეთელი მათი ჯიშისა და მოდგმის ბულბული, პროფესორ ლერნერის მსჯელობა გამახსენდა აკაკი წერეთლის `ბულბულობაზე~, ანუ მის პოეტურ თვითმყოფადობაზე. ბატონ პროფესორს მიაჩნია, რომ აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი `ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო~ ჩვენთვის უცნობი ებრაული ლეგენდის გმირის, ცნობილი ბიბლიური მეფისა და პოეტის, დავით მეფსალმუნის გავლენა უნდა იყოს. პროფესორ ლერნერის ეს მსჯელობა თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ პატარა წიგნაკით არის გამოცემული, რომელსაც თსუ ყოფილი რედაქტორის, ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილის წინასიტყვაობა უძღვის.

ბატონი რედაქტორი მხარს უბამს ისრაელის პროფესორს ბატონ ლერნერს და ინტერპრეტაციას აზუსტებს: დავით წინასწარმეტყველის ქნარით, დავითისათვის ქნარის სიმები მსოფლიო ხალხებია, ხოლო აკაკი წერეთლისათვის მხოლოდ ქართველი ხალხია ჩონგური, მაგრამ მთავარი ის არის, რომ აკაკი წერეთელს `ჩონგური~ ბიბლიური დავით მეფის გავლენით ჰქონია დაწერილი. თავს ნებას მივცემ და აქ ერთ წიაღსვლას გავაკეთებ აკაკი წერეთლის აზროვნებასთან დაკავშირებით.

რამდენიმე წლის წინ, ერთ ჩემს მოხსენებაში, დამჭირდა აკაკი წერეთლის აზროვნებაზე მსჯელობა და თქმა იმისა, რომ ასეთი გაბედულებით უარყოფა ბიბლიის ისეთი ფუნდამენტური დებულებისა, როგორიც ევას ისტორიაა სამოთხეში, ბიბლეისტიკაში არ შემხვედრია. აკაკი წერეთელი მაწანწალა აზრს უწოდებს ბიბლიურ ისტორიას კაცობრიობისას, რომლითაც დედაკაცის, პირველი ქალის, ანუ ევას ცოდვით, აკრძალული ხიდან ნაყოფის მოწყვეტით იწყება კაცობრიობის უბედურება. ბიბლიის ამ საფუძველ დებულებას კაცობრიობის ისტორიისას, აკაკი წერეთელი უპირისპირებს ქართულ გაგებას დედური საწყისისას, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ აზრს მსოფლიოში. საინტერესოა, რას იტყოდნენ პროფესორ ლერნერის და თსუ რექტორის მსჯელობებზე ან თავად ბატონი აკაკი ან გურამ პეტრიაშვილის ბულბულები?!

საოცარია ბატონი გურამის ზღაპარი `ჭიამაია და პისტოლეტი~. ჭიამაია პისტოლეტის ლულაში ძვრება და ტყვიას ეჭიდავება, რომ მსხვერპლს ააცდინოს, ანუ ბოროტება ებრძვის კაცისკვლას.

ჩემი შთაბეჭდილებით გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები, ზღაპარ-ნოველები, არა მხოლოდ პოეტურია და მორალისტური, არამედ, ერთგვარად, კინემატოგრაფიულიც არის: მკვეთრად ხილვადი და ცხადი.

თუ შეიძლება, რომ კინო ჩავთვალოთ სიზმარეული ცნობიერების მიბაძვად შემოქმედი ადამიანის მიერ, ანუ რეალიზაცია მოვლენებისა მათი გამოსახულებების მეშვეობით, შეიძლება ისიც ითქვას, რომ ბატონი გურამის ზღაპრებში შეერთებულია სიტყვის ფსიქოლოგიური ძალა სიზმარეული ცნობიერების ძალასთან. სახარებაში, ფერისცვალების სასწაულშია აღწერილი ასეთი რამ: იესო ქრისტეს თავის პიროვნულ გამოცხადებაში შეჰყავს თავისი მოციქულები და აჩვენებს იმას, რასაც თვითონ ხედავს, იმას, რაც მას ეცხადება პირადად და მოსე წინასწარმეტყველი და ელია წინასწარმეტყველი და ეს ერთობლივი ხილვა იმდენად რეალურია, რომ მოციქული, იესო ქრისტეს გამოცხადებაში ჩართული, მაცხოვარს ელაპარაკება ხილულზე და ეუბნება: უფალო დავდგათ აქ სამი კარავი: ერთი თქვენ, ერთი მოსეს და ერთი ელიას.

სიტყვის ძალა, როგორც ფსიქოლოგიური სიუჟეტის საფუძველი ზღაპრისათვის, ბატონ გურამ პეტრიაშვილს ერთ თავის ზღაპარში ისეთი ძალითა აქვს განმარტებული, რომ ძალიან მოკლედ რომ გითხრათ, ეს ნოველა-ზღაპარი არის შედევრი და მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო მწერლების ნოველათა გვერდით დგას. ამ ზღაპარს ჰქვია `ოლიფანტე~. ამ ზღაპარში, კაცმა რომ მოინდომოს თავის ახლობლებს აჩვენოს ეკრანზე იგივე, რასაც ის თავის სიზმარში ხედავს, ისე აგვიწერს ბატონი გურამი ფსიქოლოგიურ ისტორიას ერთი უბრალო კაცისას, რომელსაც ოლიფანტე ჰქვია.

სიტყვამ საყვარელი ქალისამ, და ინტუიციამ, გმირის ქვეცნობიერმა გრძნობამ ისე გააქანა, ისეთი ქროლვის უნარი მიანიჭა ოლიფანტეს, რომ შემხვედრ მატარებლებშიც გაიარა მან, ანუ მისმა გამოსახულებამ. მწერალმა სასწაული მოახდინა ზღაპრით და აჩვენა, რომ სიტყვისა და განცდის ძალა, რომელსაც ჰქვია ყველაზე დიდი სახელი, ეს არის `სიყვარული~.

სიყვარული ახდენს სასწაულებს. აჩვენა, რომ სიყვარული ახდენს სასწაულებს.

ბატონი გურამის ზღაპრები ეროვნული და ქრისტიანული სულისკვეთებით არის გამსჭვალული და ერის ზნეობრივი განსწავლულობის სამსახურში დგას. ამგვარი ზღაპრები სკოლის სახელმძღვანელოებში უნდა იქნას შეტანილი, იმისათვის, რომ ბავშვები გაიწაფონ სიკეთისათვის ბრძოლის იდეალებში. წლების წინ საქართველოში არსებობდა წოდება სახალხო პოეტისა და მწერლის. ბატონ გურამს უსიტყვოდ ეკუთვნის საქართველოს სახალხო მწერლის ტიტული.

დიდხანს სიცოცხლე და ზღაპრული ჯანმრთელობა ვუსურვოთ ბატონ გურამს ახალი და ახალი ზღაპრების შესაქმნელად!

„ღირსების ორდენოსანი დესანტი“

90-ან წლებში როდესაც ეროვნული მოძრაობა გაძლიერდა და ლენინის სახელმა დაკარგა ადრინდელი პოპულარობა, იმ დროს ვახტანგ ყოლბაია გალის რაიონის, რაიკომის პირველი მდივანი იყო. ვითარებიდან გამომდინარე მთავრობამ ჩათვალა(მაშინ მთელს რესპუბლიკაში ლენინის ძეგლების დემონტაჟი მიდიოდა) ლენინის ძეგლთან ერთად, სოფ. ჭუბურხინჯის ლენინის სახელობის II საშუალო სკოლისთვისაც გადაერქვა სახელი. როგორც გაზეთიდან გახდა ცნობილი, ამ სკოლას მთავრობის ინიციატივით ეწოდა ილია ყოლბაიას სახელი, რამაც სოფელში მოულოდნელი სიხარული გამოიწვია, რადგანაც ილია(ილიკო) ნეტოს ძე ყოლბაია იყო ადგილობრივი ინტელიგენტი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება, აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგი 50 წლიანი სტაჟით, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში მრავალი თაობა ჰყავდა აღზრდილი ამავე სკოლაში. ამ დროისთვის ის 2-3 წლის გარდაცვლილი იყო და სკოლისთვის მისი სახელის მინიჭება, სავსებით ლოგიკური, მისი ამაგისა და ღვაწლის სამართლიანი დაფასება იქნებოდა. ოჯახის წევრებმა და სოფლის წარმომადგენლებმა შესაბამის უწყებას გაუგზავნეს სამადლობელი წერილი და იქვე მოკრძალებით მიუთითეს რომ, გაზეთში შეცდომა იყო გაპარული, ილია ნეტოს ძე ყოლბაიას ნაცვლად, რატომღაც ტიმოთეს ძე ეწერა.

მალევე მოვიდა ცნობა, რომ სკოლას ეწოდა არა ყველასთვის ცნობილი და პატივსაცემი (ქართველი) ილია ნეტოს ძე ყოლბაიას სახელი, არამედ, სოფლისთვის სავსებით უცნობი (აფსუა)ილია ტიმოთეს ძე ყოლბაიას სახელი, რასაც სოფლის მხრიდან კვლავ მოჰყვა საპროტესტო წერილის გაგზავნა, მაგრამ რაიკომის მდივანმა ვახტანგ ყოლბაიამ, მოახერხა ამ უკმაყოფილების „მოგვარება“. მის სახელზე გაგზავნილ რამდენიმე სამართლიან საპროტესტო წერილს, ოჯახის წევრების დაბარებით და შინაურულად „ასეა საჭიროთი“ გაეცა პასუხი.

ახლა კი იმაზე, თუ ვინ არის ეს უცნობი ილია ტიმოთეს ძე ყოლბაია.

ილია ტიმოთეს ძე ყოლბაია გახლავთ, ეგრეთწოდებული მკვლევარისა და მეცნიერის ლეონიდ ყოლბაიას მამა. ლეონიდ ილიას ძე ყოლბაიამ კი 1981 – 1982 წლებში გამოიკვლია რა თავისი გენეალოგია(მისი კვლევიდან ქვემოთ იხილეთ ამონარიდები რუსულად) დაადგინა რომ, ყოლბაიები, ჩრდილო კავკასიიდან, აფსუური წარმომავლობისანი არიან. ასევე მისი კვაზიმეცნიერული კვლევით, კოლხები არა დასავლელი ქართველები, არამედ აფსუები ყოფილან თურმე (შეუძლებელია ვახტანგ ყოლბაიას მისი გენეალოგიის კვლევა არ სცოდნოდა...). ლეონიდ ყოლბაია(ამ აფხაზთა მეფეების სახელის მატარებელი კაცი) თავის შრომებში საქართველოს იმპერიად მოიხსენიებს და ქართველებს ვერაგობასა და აფხაზების შევიწროებაში სდებს ბრალს. (სავარაუდოდ ეს პოზიცია დაუფასა მოგვარე ვახტანგ ყოლბაიამ).

როგორც ჩანს, ეს ფსევდომეცნიერი გახლავთ რა, ვახტანგ ყოლბაიას იდეოლოგი და სულიერი მოძღვარი, იმისათვის რომ „გაქართველებულ“ ყოლბაიებში „თვითგამორკვევის“ პროცესი დაწყებულიყო და მიებაძათ გააფსუებული „დიდი მეცნიერისთვის“, ვახტანგ ყოლბაიამ ჭუბურხინჯში, სადაც ყოლბაიები ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია, სოფლის სკოლას უწოდა ამ ვაი-მეცნიერის მამის სახელი (თვითონ ეს „მეცნიერი“ ჯერ ცოცხალი იყო და ცოცხალი კაცის სახელის სკოლისთვის მინიჭება ეუხერხულათ თორემ, ნამდვილი მიზანი ეს იყო). ამით მან, ლენინის სახელობის სკოლას და ლენინურ იდეოლოგიას, პირდაპირ ჩაუნაცვლა ლეონიდის მამის სახელი და აფსუობის დაბრუნების „ლეონიდური“ იდეოლოგია. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აფხაზებს სკოლისთვის ვახტანგ ყოლბაიას მიერ მინიჭებული სახელი არ შეუცვლიათ(როდესაც სხვა დანარჩენ სკოლებს მყისიერად შეუცვალეს

სახელები), სეპარატისტებისთვის მისაღები გამოდგა, ვახტანგის არჩეული იდეური კურსი.

ვახტანგ ყოლბაიას ზემოაღნიშნული ქმედებებიდან ჩანს მისი ეროვნული კუთვნილება და იდეოლოგიური მრწამსი, მაგრამ ის თავისი მასწავლებელივით არ აჩქარებულა ეროვნების შეცვლაში(ქართულ ნიღაბს ის დღემდე კარგადაა ამოფარებული.). მან პოლიტიკური „დესანტობით“ ქართველების ზურგში მავნებლური მოქმედება გააგრძელა, მაგრამ „არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს.

ახლა არის დრო, ყველა კითხვაზე პასუხის მოთხოვნის. საქართველოს წინააღმდეგ მისი მიზანმიმართული ქმედებებით, იმედია შესაბამისი სტრუქტურები დაინტერესდებიან და სერგეი ბაგაფშივით, ქართველების ზურგში, გარკვეული სპეცოპერაციის წარმატებით ჩატარების შემდეგ, გუდაუთაში გაქცევის საშუალებას არ მისცემენ, რომ მერე ბაგაფშივით მემუარების წერისას იტრაბახოს: „ქართველებს მოჯადოებულ წრეზე ვატარებდი“ და ათეულობით წლების განმავლობაში ვაბრიყვებდიო.

ვახტანგ ყოლბაია 1999 წ. წერს წიგნს „აფხაზეთის ლაბირინთები“. წიგნი აზრობრივად ემთხვევა სათაურს, მკითხველი ლაბირინთებში შეჰყავს, ავტორი თხრობას იწყებს 1992 – 1993 წლებიდან . იგი მიზანმიმართულად უვლის გვერდს აფხაზეთის კონფლიქტში უმნიშვნელოვანეს მომენტს, 1989 წელს ღალიძგასთან აფსუათა პირველ შეიარაღებულ თავდასხმას მშვიდობიან ქართულ მოსახლეობაზე. გალის რაიონის რაიკომის პირველმა მდივანმა ვახტანგ ყოლბაიამ, KGB-სგან იცოდა რა აფსუა ექსტრემისტთა მოსალოდნელი შეიარაღებული თავდასხმის შესახებ, გალელებს უღალატა და სანადირო თოფებიც კი სასწრაფოდ ჩააბარებინა კომისარიატში, იმისათვის რომ პირსისხლიანი ექსტრემისტების პირისპირ(რომლებმაც წინა დღით სოხუმში, რუსთაველის პარკში 11 მშვიდობიანი ქართველი ახალგაზრდა მოკლეს) ხელცარიელი დაეტოვებინა. აი ამ შავ-ბნელ საქმეებს ჩქმალავს ვახტანგ ყოლბაია, რომ ვერასოდეთ დავბრუნდეთ აფხაზეთში (ამისთვის იგი დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით).

მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის ავტორიც ის გახლავთ: „სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის გარანტიები: საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობის კონტექსტში“, 2009 წელი. ეს არის კაპიტულანტური პაქტი, სეპარატისტებისთვის უმაღლესი და მათთვის ყველაზე სასურველი გარანტიების, არაფრის სანაცვლოდ ჩუქება, მადლობის გარეშე. რომელ ქართულ-აფხაზურ „ურთიერთობაზე“ შეიძლება იყოს აქ საუბარი? (რეალურად, ბრიყვულ-გაიძვერული ურთიერთობის დამადასტურებელია ეს დოკუმენტი).

მესამე წიგნი: „საერთაშორისო მონაწილეობა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის მოგვარების პროცესში“, 2010 წელი. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, თითქოსდა, ეს იყო ქართულ – აფხაზური და არა რუსეთ – საქართველოს ომი. სათაურიდანვე რუსულ ნარატივს ტირაჟირებს, ტვინების გამორეცხვა განა სხვა რამეს ნიშნავს? განა ბევრია, ასეთი „ამაგდარისთვის“ ღირსების ორდენი და სამუდამო უმაღლესი თანამდებობა?

შემდეგ წიგნში ვახტანგ ყოლბაია ბევრად უფრო თამამია და თვითაღიარებული რესპუბლიკისთვის უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნებით გამოდის. ამ წიგნის სათაურია „აფხაზეთი: დეიზოლაციისა და არაღიარების კონტექსტში, „ 2011 წელი. აქ ვახტანგ ყოლბაია სეპარატისტების დეიზოლაციისთვის იბრძვის, რომ სეპარატისტებს ინვესტორებმა გვერდი არ აუარონ, მაკდონალდსი და სხვა ბრენდები გაუხსნან სოხუმში (ასევე ცნობილი ფაქტია რომ, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ევროპაში ამოგზაურებს ყოფილი აფსუა ბოევიკების და აფხაზეთის არაკანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა ოჯახის წევრებს). მე მგონი ვახტანგს თბილისში მიღებული ღირსების ორდენი არ აკმაყოფილებს და ოცნებობს სოხუმში ძეგლი დაიმსახუროს.

მოკლედ, აფსუებს, ვახტანგ ყოლბაიას სახით XXI საუკუნის უდიდესი აგენტი და დესანტი ჰყავთ საქართველოში გადმოსროლილი. ქართული უშიშროება და დაზვერვა, ოდნავ კომპეტენტური და იოტისოდენა ანალიტიკური უნარის რომ იყოს, მიხვდებოდნენ... („ცოლები რომ გაუთხოვდათ“).

ასევე, მხოლოდ ქართული საზოგადოების სიჩლუნგით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ვახტანგ ყოლბაიამ, ამ უმაღლესი თანამდებობის პირმა, რომელიც ტრაბახობს იმით, რომ 40 წელი უწყვეტად ხელისუფლებაშია. მან თავისი ბიოგრაფიიდან ამოშალა კომუნისტური წარსული. რაიკომის პირველი მდივანი კაცი, ისე იყო უმაღლეს თანამდებობებზე, რომ არა თუ კომუნისტი არ ყოფილა, ამ სიტყვისთვის მის ბიოგრაფიაში ადგილიც არ მოიძებნა. ხოლო რაც შეეხება ტერმინს KGB-ს, მისი მნიშვნელობა საერთოდ არ იცის(უცოდველმა კრავმა). აბა თუ ვინმე თხოვს ამ საჯარო მოხელეს თავისი ბიოგრაფიის აშკარა გაყალბებისთვის პასუხს? ეს ისეთივე დანაშაულია, პირადობის მოწმობაში შენი ხელით ჩაახატო სურათი. გასდის კაცს და რატომ არ ჩაახატავს?! ასევე, მისი როგორც მაღალი რანგის საბჭოთა ჩინოვნიკისთვის, საქართველოს კანონმდებლობით, აფხაზეთის მთავრობის მეთაურად დანიშვნა კონსტიტუციით აკრძალულია, მაგრამ აბა თუ არ შეიძლება საქართველოს კონსტიტუციის იგნორირება? აგერ, 6 წელი (კანონიერად თუ უკანონოდ), აფხაზეთის მთავრობის მეთაური არის თუ არა? ქართულ სახელმწიფოს, საქართველოს კონსტიტუციას და ქართველებს ამაზე მეტი რა უნდა უქნას? სულში ჩაფურთხების ყველა რეკორდი მოხსნა. აქეთ დევნილებს გვამუნათებს, 10-10 კილო ოქრო რომ დაგირიგოთ, 11 კილოგრამს მოითხოვთო. ვინმემ რამეზე მოსთხოვა პასუხი? ხომ გასდის?

ჩემზე შეიძლება ვინმემ თქვას; -ასეთი ამბავი თუ იცოდი, აქამდე სად იყავი შე ოჯახაშენებულოო?! ასეთ ადამიანს უპასუხებდი: -აი ახლა შენც ხომ იცი? დაგაკვირდები რას გააკეთებ.

8 აპრილს, ორშაბათს 16 საათზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეზიდენციის წინ ჩატარდება აქცია (ყაზბეგის გამზირი N 42), ვახტანგ ყოლბაიას გადადგომის მოთხოვნით. აფხაზეთის საზოგადოების ღირსებაშერჩენილ დევნილთა მოვალეობაა, დააფიქსიროს თავისი პოზიცია. მოგიწოდებთ შემოუერთდეთ ამ აქციას და თავი დავაღწიოთ ვახტანგ ყოლბაიას „ლაბირინთებს“, მოვიშოროთ ის ერთხელ და სამუდამოდ. დღეისათვის ამ ვითარებაში რომ ვართ, განა უკეთესი არჩევანი არ გვქონია და არ გვაქვს? როგორც სულკურთხეული ზვიადი იტყოდა: -„აირჩიე ქართველო ერო!...“ და დღესაც, წმინდა ილია მართლის გზასა და პოლიტიკურ დესანტობას შორის არის არჩევანი გასაკეთებელი. გულგრილობა ყველაზე დიდი დანაშაულია, ახლა გამოჩნდება, ვართ თუ არა აფხაზეთში დაბრუნების ღირსი და შეგვრჩა თუ არა ღირსება?!

ონისე გერგედავა
„ანტისაოკუპაციო მოძრაობის“
დამფუძნებელი და ხელმძღვანელი

ჯანმრთელობა

ეწევით? მაშინ ეს 4 რჩევა თქვენთვისაა. გაიწმინდეთ ფილტვები სწრაფად და მარტივად

გთავაზობთ 4 ეფექტურ საშუალებას, რომლებიც მოწევის შემდეგ ფილტვების გაწმენდაში დაგეხმარებათ.

1. შვრია

შვრია და რძე ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. ამისათვის 1 ჭიქა შვრიას 0.5 ლ.რძე დაასხით, შემდეგ კი აადუღეთ. ნაყენი მიირთვით ყოველ დღე ერთხელ ჭამამდე. 5-7 დღეში ფილთვები

წმენდას დაიწყებს.

2. თავშავა და ია

ნაყენის დასამზადებლად 1 ს/კ ია და 1 კოვზი თავშავა ჩაყარეთ 0.5 ლ. ანადუღარ წყალში და გააჩერეთ 1 საათი. თბილი ნაყენი დღეში რამდენჯერმე უშაქროდ მიიღეთ.

3. ინჰალაცია

წყლით სავსე ემალის ქვაბი ცეცხლზე დადგით, როცა ადუღდება ცეცხლს დაუწიეთ და 1 ჩ/კ ფიჭვი ან ევკალიპტის ზეთი დაამატეთ. შემდეგ კი პროცედურა 2 კვირის განმავლობაში ყოველ დღე 5-10 წუთით ჩაიტარეთ. მხოლოდ პირით ისუნთქეთ.

4.რძე

ძილის წინ დალიეთ თბილი რძე, ხოლო ეფექტის გასაზრდელად დაამატეთ 1 ჩ/კ თაფლი.

წყარო: http://aww.ge/ewevit-mashin-es-4-rcheva-tqventvisaa-gaiwmindet-filtvebi-swrafad-da-martivad/

ვაშლის კანი - ღვიძლის, ნაწლავების და სარძევე ჯირკვლის კიბოს მეტასტაზების წინააღმდეგ

თუ ვაშლს ჭამისას აცლით მას კანს, ამდაგვარად თქვენ ართმევთ საკუთარ თავს თავისებურ „აცრას“ ონკოლოგიური დაავადებებისგან. ვაშლის კანი - ვიტამინების და სასარგებლო ნივთიერებების ნამდვილი წყაროა. მასში ათეულობით ქიმიური ნაერთია, რომლებიც წარმატებით ეწინააღმდეგებიან კიბოს უჯრედებს.

იცავენ ღვიძლის, ნაწლავების და სარძევე ჯირკვლის კიბოს მეტასტაზებისგან. როგორც ხედავთ, ვაშლის კანი - უნივერსალური კიბოს საწინააღმდეგო საშუალებაა. ამის გარდა, ის აძლიერებს იმუნიტეტს და ზრდის დღეგრძელობის შანსს.

შვეიცარიელი ექიმი რუდოლფ ბროისი გვირჩევს:

1. უძილობის დროს საღამოს დალიეთ 1 ან მეტი ჭიქა ვაშლის კანის ნახარში. ნახარში შეგიძლიათ დალიოთ თბილი ან ცივი. ის ამაგრებს და ამშვიდებს ნერვებს. 2-3 ვაშლის კანი მოხარშეთ 3-6 წუთის განმავლობაში. შეგიძლიათ ოდნავ დაუმატოთ შაქარი ან, როცა ნახარში გაცივდება, დაუმატოთ თაფლი.

2. კუჭ-ნაწლავის ნორმალური მუშაობისთვის სასრგებლოა ვაშლის უჯრედისის მიღება, რომლის დამზადება შეგიძლიათ სახლის პირობებში.

რამდენიმე ვაშლის კანი გააშრეთ 40-50 გრადუსის ტემპერატურაზე. როცა კარგად გახმება, დაფქვით ყავის საფქვავში და აურიეთ ქატოს პროპორციით 1:1. დილით 1 ს.კ. მშრალ ნარევს დაასხით 150 მლ ცხელი წყალი, კარგად აურიეთ და დატოვეთ დასაყენებლად 15 წუთით. საუზმემდე 30 წუთით ადრე კიდევ ერთხელ მოურიეთ ხსნარს და დალიეთ. მკურნალობის კურსი - 2 კვირა, ერთკვირიანი შესვენების შემდეგ შეგიძლიათ ისევ გაიმეოროთ. ასეთი დანამატი სასარგებლოა არა მხოლოდ კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოსაგვარებლად, არამედ მათთვისაც ვისაც აწუხებს ზედმეტი წონა.

ვაშლის კანი ათი წლის შენახვის შემდეგაც ინარჩუნებს თავის სასარგებლო თვისებებს. ის არასდროს არ ხმება, ყოველთვის ნოტიოა ხელის შეხებით და არ კარგავს თავის შეფერილობას.

გაითვალისწინეთ, რომ აუცილებლად უნდა გამოიყენოთ სამამულო ვაშლი (არა იმპორტირებული) და გასანთლული კანის გარეშე!

წყარო: reitingi.ge

გაღივებული ნიგოზი - ახალგაზრდობის უნიკალური რეცეპტი 2 კვირაში სასწაულს მოახდენს



ალბათ ყველას გინახავთ ხორბლის ჩანასახი. წყალში აღმოცენება გაცილებით უფრო სწრაფად ხდება და ხორბლის სიცოცხლისუნარიანობაც 100-ჯერ იზრდება.

მაგრამ ცოტამ თუ იცის აღმოცენებული კაკლის უნიკალური რეცეპტი, რომლის სიცოცხლის უნარიანობა წყალში 1000-ჯერ მეტია.

1კგ კაკალს დაასხით ცივი წყალი ისე, რომ წყალმა დაფაროს. ერთი დღის შემდეგ გამოუცვალეთ წყალი და ასე გააგრძელეთ 2 კვირის მანძილზე.

დღეში ორჯერ კოვზით მოურიეთ. 2 კვირაში გამოსაყენებლად მზად არის. გააჩერეთ მაცივრის ქვედა თაროზე იგივე წყალში.

დღის ნორმა - გატეხეთ და მიირთვით 3 აღმოცენებული კაკალი დილით და 3 საღამოს. ეს რეცეპტი აღგიდგენთ ძალას, გაგიახალგაზრდავებთ ორგანიზმს უჯრედულ დონეზე, აღადგენს იმუნურ და ნერვულს სისტემებს, წმენდს სისხლს, კვებავს ძვლოვან ქსოვილებს.

მისი მიღება საფრთხილოა, თუ გაწუხებთ პანკრეასის პრობლემა.

ანა ვერძაძე

წყარო: http://www.reitingi.ge/thavis-movla/4859-gaghivebuli-nigozi-akhalgazrdobis-unikaluri-recepti-2-kvirashi-sastsauls-moakhdens.html?lang=ka-GE&add=1

მარილის გასაოცარი სამკურნალო თვისებები

მარილს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ დაჭრილი მეომრების სამკურნალოდ. მარილის ჰიპერტონიული ხსნარს აქტიურად გამოყავს ორგანიზმიდან ყველა მავნე ნივთიერებები, შველის დაბეჟილობას, დაჩირქებულ და დაზიანებულ კერებს აღადგენს საოცრად სწრაფად. ეს მეთოდი კარგად დავიწყებული იქნა დღევანდელ ყოფიერებაში და თითქმის აღარ გამოიყენება.

ჯადოსნური მარილიანი სახვევები

უბრალო მარილისგან მომზადებული ჰიპერტონიული ხსნარის სახვევები ინტენსიურად გამოიყენებოდა წარსულში მძიმე ავადმყოფების სამკურნალოდ. მძიმე ჭრილობებზე ავადმყოფებს პირდაპირ აფენდნენ ოთხად მოკეცილ მარლას, რომელსაც ასველებდნენ 8%-იან ჰიპერტონიულ ხსნარში (ჰიპერტონული ხსნარი გახლავთ 3-10% -იანი წყალში გახსნილი სუფრის მარილი). საფენს უცვლიდნენ ორჯერ დღეში, 3-4 დღის შემდეგ კი ჭრილობა სუფთავდებოდა დაჩირქებებისაგან, ვარდისფერდებოდა გრანულაციის ნიშნებით. პაციენტის ტემპერატურა ეცემოდა ნორმაზე და უმრავლეს შემთხვევაში აღარ ვითარდებოდა განგრენა და შესაბამისად აღარ იყო საჭირო პაციენტისთვის ქირურგიული ჩარევა.

ამ ხსნარს იყენებენ ისეთი ავადმყოფობების განსაკურნავად როგორიცაა ქოლეცისტიტი, ნეფრიტი, ქრონიკული აპენდიციტი, ფილტვების ანთებითი პროცესების დროს, სახსრების რევმატიზმის, ოსტეომელიტის, გულის რევმატული დაავადების, დიფუზური ჩიყვის, აბსცესების და ძლიერი დაბეჟილობის ჰემატომების დროს...

როგორ ხდება ამ მეთოდით მკურნალობა?

მკურნალობისთვის საჭიროა მომზადდეს ჰიპერტონული 8 ან 10% მარილიანი ხსნარი. ანუ ეს ხსნარი წარმოადგენს 8 ან 10გრ მარილის 100გრ წყალზე პროპორციებს. საფენებად უნდა გამოვიყენოთ ან მარლა ან ბამბა ნაერვი სელის თეთრი ნაჭრები (საკმაოდ რბილი უნდა იყოს) ყველაზე უკეთესი მაინც მარლაა. მარლას მოვკეცავთ ექვს ან რვა ფენად, დავასველოთ ცხელ ჰიპერტონულ ხსნარში, ცოტათი გავწუროთ და დავაფინოთ მტკივნეულ ადგილას, ან მტკივნეულ ორგანოს პროექციით დავფინოთ. ზემოდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავაფაროთ ჰაერგაუმტარი მასალის შემცველი საფენი, მაგალითად პოლიეთილენის პარკი და ა.შ.

საკმარისია რომ საფენი მჭიდროდ ედებოდეს მტკივნეულ ადგილას, ამიტომ კარგად უნდა დავაფიქსიროთ ბინტით ან ლეიკოპლასტირით. ასეთ მდგომარეობაში უნდა დავტოვოთ მთელი ღამით. დილით აპლიკაციის მოხსნის შემდეგ მატერია ან მარლა კარგად უნდა გაირეცხოს თბილ წყალში და გაუთოვდეს.

როგორ მკურნალობს მარილი?

მარილის ჰიპერტონული ხსნარი ეს აქტიური სორბენტია. მას ამოჰყავს ავადმყოფი ორგანოდან დაავადების გამომწვევი ყველა მავნე ნივთიერება. ჰიპერტონულ მარილიან ხსნარში დასველებული საფენები ასუფთავებს პათოგენურ ფლორას ავადმყოფ ორგანოდან და მოქმედებს როგორც ძლიერი ანტიმიკრობული საშუალება.

მაგრამ დაიხსომეთ: ასეთ საფენებს სამკურნალო ეფექტი ექნება იმ შემთხვევაში თუ ის ჰაერგამტარია! მარილიანი ხსნარის სამკურნალო მოქმედება ვრცელდება ლოკალურად იმ ადგილას, სადაც საფენია დადებული. კანქვეშ შენოვილი სითხის შემდეგ მარილიან საფენს ამოყავს სითხე კანის ქსოვილის გაცილებით ღრმა ფენებიდან, რასაც თან მოჰყვება ავადმყოფობის გამომწვევი ყველა საწყისი: მიკრობები, ვირუსები, სოკო.

ასე რომ მარილიანი საფენის მოქმედების დროს მიმდინარეობს ავადმყოფი ორგანოს ქსოვილების სითხის გაახლება პათოგენური ფლორის გასუფთავებით და პათოლოგიური პროცესის ლიკვიდაციით.

საფენების მოქმედება დამოკიდებულია დაავადების სერიოზულობასთან. საშუალოდ მარილის ჰიპერტონული ხსნარის მოქმედება 7 დან 20 დღემდე შეიძლება გაგრძელდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია საფენისთვის რა მასალას ავირჩევთ. მასალა უნდა იყოს რაც შეიძლება ჰიგროსკოპული. ამავე დროს ის უნდა ინარჩუნებდეს მნიშვნელოვანი რაოდენობით მარილიან ხსნარს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ უმჯობესია გამოიყენოთ ძველი სელის ან ბამბის ქსოვილი. ხსნარი უნდა იყოს დაახლოებით ორმოცდახუთი გრადუსი. საფენი კი არ უნდა იყოს ძალიან მშრალი ან ძალიან სველი. საფენზე ზემოდან კომპრესებისათვის განკუთვნილი ქაღალდი არ იდება, უბრალოდ მხოლოდ კარგად უნდა გაიბინტოს საფენი რომ მჭიდროდ ედებოდეს. თუ მუცელზე ვაკეთებთ საფენებს, მაშინ საკმაოდ მჭიდროდ ვახვევთ, იმიტომ რომ ღამის განმავლობაში მუცლის ზომა მცირდება და საფენი მოეშვება შესაბამისად ხსნარი ვეღარ იმოქმედებს.

გთავაზობთ რეცეპტს როგორ მოვამზადოთ ჰიპერტონული მარილიანი ხსნარი:

1. ავიღოთ 1 ლიტრი ანადუღარი ოდნავ ცხელი წყალი სუფთა სტერილურ შუშის ჭურჭელში;

2. წყალში ჩავყაროთ 90გრ (3ს/კ მარილი ოღონდ გადავსებული არ უნდა იყოს) მარილი. კარგად ავურიოთ, მივიღებთ 9%-იან მარილიან ხსნარს;

3. ავიღოთ 8 ფენა მარლა ან სელის მატერია, მოვათავსოთ ჰიპერტონულ ხსნარში 1 წუთის განმავლობაში, ოდნავ გავწუროთ, ისე რომ წყალი არ გასდიოდეს;

4. დავაფინოთ ეს 8 ფენიანი საფენი მტკივნეულ ადგილას. საფენს ზემოდან სუფთა მატყლის ნაჭერი დავიფინოთ, შევახვიოთ ეს ყველაფერი მჭიდროდ ბინტით;

უმჯობესია ღამე გავიკეთოთ;

5. დილით მოვიხსნათ; მარლა გავრეცხოთ კარგად და გავაუთოვოთ, ხოლო ღამით ყველაფერი ისევ გავიმეოროთ;

აუცილებელია დავიცვათ სიფრთხილე, ეს შეეხება მარილის კონცენტრაციას გამოხდილ წყალში, ის არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება კაპილარების სისტემის დაზიანება იმ კერაზე, სადაც საფენებს ვიდებთ. ყველაზე საუკეთესო ვარიანტი 8%-იანი ხსნარია, თუმცა არც 8% -ს უნდა ჩამოვცდეთ რომ მკურნალობა ეფექტური იყოს.

რა შემთხვევებში გამოიყენება ჰიპერტონური მარილიანი ხსნარი?

ვიმეორებთ, რომ ეს ჯადოსნური ხსნარი გამოიყენება ნებისმიერი გაციების დროს, ხველების დროს, ფილტვების დაავადებების დროს. ამ შემთხვევაში საფენები უნდა დავადოთ ავადმყოფს ზურგზე და მკერდზე, მჭიდროდ დავბინტოთ ოღონდ სუნთქვას რომ ხელი არ შეეშალოს. გავაჩეროთ ღამით, საფენებს ვიკეთებთ საბოლოო განკურნებამდე, ეს დამოკიდებულია ავადმყოფობის სიმძიმესთან (შეიძლება გაგრძელდეს 4 დღიდან 15 დღემდე). იმისათვის რომ საფენმა არ იმოძრაოს ზურგზე ხერხემალთან დავიფინოთ მატერია რომ შეივსოს ბეჭებს შორის სიცარიელე და საფენი მჭიდროდ იყოს გულმკერდზე დაფიქსირებული.

ავტორი:

ეკატერინე მგალობლიშვილი

წყარო: mary.ge

„გადაწვით ყვავილოვანი, რომ სიღარიბე იყოს ქართველთა საუკუნო სასჯელი... „

რამდენიმე წლის წინ ერთი ახლობელი ინტერესით დამეკითხა, - თუ იცი, რა ბედი ეწია იმ ქართულ საგანძურს, ქუთათელმა ეპისკოპოსმა ფარულად რომ გადამალაო.

არც მიეჭვია, ისე ვიფიქრე, - გასული საუკუნის დასაწყისში წმინდა ნაზარი ლეჟავასა და სხვა სასულიერო პირთა მიერ სიცოცხლის ფასად გადამალულ იმ საგანძურზე მეკითხება, რომლის ნაწილიც წმინდა ექვთიმემ (თაყაიშვილმა) გადაურჩინა ქვეყანასმეთქი.

თუმცა გაირკვა, რომ საქმე უფრო ძველ, ერთი საუკუნით ადრე მომხდარ, ჩემთვის და ბევრისთვის სრულიად უცნობ მოვლენას ეხებოდა, ცარისტულმა და შემდგომ კომუნისტურმა რუსეთმა ქართველებს კი არა, საკუთარ ხალხსაც საგულდაგულოდ რომ დაუმალა...

„Церковный бунт“ - ამ სახელით „დაიმახსოვრა“ რუსულმა ისტორიოგრაფიამ ეს უმძიმესი უცნობი ამბავი, რომელიც ნაცარში გახვეული, გადარჩენილი ნაღვერდალივით შეინახა მართლაც სასწაულით გადარჩენილმა დოკუმენტებმა და ჩვენამდე მაინც მოიტანა.

ქართულმა მატიანემ არ იცის სხვა ფაქტი, როდესაც მტრის წინააღმდეგ აჯანყება ეკლესიამ წამოიწყო. თუმცა ეს მხოლოდ საეკლესიო კი არა, საერთო-სახალხო ჯანყი იყო, როცა უმეფოდ და უპატრიარქოდ დარჩენილ ქვეყანას სწორედ ეკლესია დაუდგა ქომაგად.

მატიანე იუწყება, რომ ამ ჯანყისას იმაზე მეტი სამხედრო დაკარგა ცარიზმმა, ვიდრე რუსეთ-თურქეთის ცნობილი ომის დროს.

***

ამბოხის წინაპირობად რუსი ეგზარქოსის, თეოფილაქტე რუსანოვის ბარბაროსული გეგმა იქცა: მის ქვეშევრდომებს დაევალათ, სასწრაფოდ აღეწერათ ქართული ეკლესიის განძეულობა, საზღვრებს გარეთ გაეტანათ და ფულად ექციათ.

ქართველებმა, დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გაენათელის ხელმძღვანელობით, მოახერხეს 280 ჯორის საპალნე ოქრო-ვერცხლის სვანეთის სიღრმეში გადამალვა, რაც საქართველოს ძალიან ძვირად დაუჯდა.

მხოლოდ ბოლო ბრძოლას (ჯანყი რამდენიმე უმძიმეს ბრძოლას მოიცავდა) სოფელ ფუტიეთთან 2000-ზე მეტი რაჭველის, იმერელისა და სხვა დასავლელქართველის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მხოლოდ ურჯულოთა ურდოების მოწყობილ სისხლიან კალოებს თუ შევადარებთ ამ ტრაგედიას...

რუსებმა გათვალეს, რა ზიანს მოუტანდა მათ რეპუტაციას თავად რუს ხალხში ერთმორწმუნეთა ასეთი ხოცვა-ჟლეტა, ამიტომ საგულდაგულოდ გაასაიდუმლოეს ეს უმსგავსობა.

***

იმდროინდელი სინამდვილის მიმოხილვისას აღმოვაჩინე, რომ, სამწუხაროდ, როგორც ჩვენში ხშირად ხდება, ფუნდამენტური ნაშრომი ამ თემაზე ჯერ არ შექმნილა.

არსებობს პაპავების საზღვარგარეთ დაბეჭდილი ლიტერატურა, ე.წ. რაპორტები, რუს გენერალთა მიმოწერა, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის წერილი ბუენოს-აირესში მყოფი პაპავებისადმი (სადაც სთხოვს, როგორმე ხმა მიაწვდინონ საქართველოში სანდრო ახმეტელს, ამ თემაზე სპექტაკლი დადგას) და კიდევ რამდენიმე წყარო, რომლებიც არასრულად, მაგრამ ცხადად ასახავს ხსენებული აჯანყების მასშტაბსა და მნიშვნელობას.

***

როგორც ზემოთ ვთქვით, ეს აჯანყება ძირითადად 1817 წელს ვარლამ ერისთავის ნაცვლად წარმოგზავნილი ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის უმსგავსობამ მოამწიფა.

პირველი, რაც ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა ჩამოსვლისთანავე გააკეთა, თბილისის სიონის ტაძარში რუსული მღვდელმსახურების შემოღება იყო, რის გამოც ივანე ჯავახიშვილი გულისტკივილით წერდა: „ამგვარად, საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან 16 წლის შემდეგ ქართველებს მოესპოთ საშუალება, საქართველოს დედაქალაქის კათედრალურ ტაძარში ღვთისმსახურება თავიანთ მშობლიურ ენაზე მოესმინათ, იმ ენაზე, რომელზეც 1400 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მხურვალე ლოცვა აღევლინებოდა. არც სპარსელებს, ცეცხლთაყვანისმცემლებსა და მაჰმადიანებს, არც არაბებს, არც წარმართ მონღოლებს, არც თურქებს არ გაუკეთებიათ ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ის, რაც გაუკეთა რუსულმა მმართველობამ და მათმა ეგზარქოსმა!"

თეოფილაქტე რუსანოვი ამ ღონისძიებით არ დაკმაყოფილებულა და ენერგიულად შეუდგა ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას. მის მიერ შედგენილი და უწმინდესი სინოდის დამტკიცებული გეგმის მიხედვით, გადაწყვეტილი იყო საეპისკოპოსოთა გაერთიანება, ეკლესიების შემცირება, საეკლესიო მამულების გადაცემა ხაზინის გამგებლობაში, საეკლესიო გლეხების გადასახადების გაზრდა და სხვა.

1819 წლის მაისში ეგზარქოსი იმერეთში ჩავიდა და უშუალოდ მოჰკიდა ხელი საეკლესიო რეფორმის ხელმძღვანელობას, მაგრამ მისმა მოღვაწეობამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. რეფორმის გატარებას წინააღმდეგობას უწევდა არა მარტო სასულიერო წოდება, არამედ თავადაზნაურობაც და გლეხობაც. სულ მალე მოძრაობამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. იგზავნებოდა მოწოდებები იმერეთიდან რაჭაში, გურიაში, სამეგრელოში, ერთმანეთს უთანხმდებოდნენ, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ თეოფილაქტეს მიერ დაგზავნილი მოხელეებისთვის, არ მიეცათ არავითარი ცნობები, ხოლო უკვე შევსებული ნუსხები წაერთმიათ. აღელვებულმა ხალხმა მოითხოვა, თეოფილაქტეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა იმერეთი. იმერეთის მმართველი კურნატოვსკი ყვირილას საგუშაგოსთან შეკრებილ აჯანყებულებთან თვითონ გამოცხადდა და მოლაპარაკებით ცდილობდა მათ დამშვიდებას, მაგრამ ვერაფერს გახდა და თეოფილაქტე გაძლიერებული დაცვით თბილისში გამოაგზავნა.

ეგზარქოსის წამოსვლამ და საეკლესიო ყმა-მამულის აღწერის შეწყვეტამ საქმეს ვეღარ უშველა, რადგანაც, როგორც საქართველოში რუსეთის არმიის მეთაურ ველიამინოვის დაზვერვამ დაადგინა, აჯანყებას გაცილებით ფართო ხასიათი მიეღო: იმერეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის შენარჩებისთვის ბრძოლა იმერეთის სამეფოს აღდგენისთვის ბრძოლის სამზადისში გადაზრდილიყო და აჯანყების ხელმძღვანელობა სათანადო ზომებს იღებდა.

ასახელებდნენ მეფობის კანდიდატებსაც: ზურაბ წერეთელსა და ივანე აბაშიძეს. თუმცა მოსახლეობის უმეტესობას მაინც ბაგრატიონთა სახლის უშუალო წარმომადგენლის, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაუღალავი მებრძოლის, ალექსანდრე ბატონიშვილისთვის მიუნიჭებია უპირატესობა. მოციქულები გაუგზავნიათ და იმერეთის სამეფო ტახტი და აჯანყების მეთაურობა შეუთავაზებიათ.

მკაცრი და გადამწყვეტი ზომების მოყვარულმა ერმოლოვმა ასეთ პირობებში იმერეთის მმართველად „ლიბერალი“ კურნატოვსკის დატოვება მიზანშეუწონლად მიიჩნია, იგი ხანდაზმულობის საბაბით სამსახურიდან გადააყენა და მის მაგივრად ახალგაზრდა პოლკოვნიკი პუზირევსკი დანიშნა, რომელსაც ასე ახასიათებდა: „პოლკოვნიკი პუზირევსკი ყოველმხრივ ცვლის კურნატოვსკის, იმ განსხვავებით, რომ შეუდარებლად უფრო ენერგიულია და იმერეთში მისი, როგორც ცეცხლის, ისე ეშინიათ, რაც აუცილებელი თვისებაა იმერელი თავადაზნაურობის მეამბოხე და მოღალატური ხასიათის გამო... „

ერმოლოვის ასეთი დახასიათება პუზირევსკიმ იმით დაიმსახურა, რომ მისი ბრძანება მომავალი აჯანყების მათთვის ცნობილი მეთაურების დაპატიმრებისა, იმერეთიდან მათ გაყვანას რომ ითვალისწინებდა, დიდი გულმოდგინებით შეასრულა. „ყოჩაღმა და ჭკვიანმა“ პოლკოვნიკმა არაფრის წინაშე უკან არ დაიხია და მოტყუებით, ღალატითა თუ ძალადობით დააპატიმრა მათი უმეტესობა. მისი გულმოდგინება იქამდეც კი მიდიოდა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ტყვეები: საყოველთაოდ პატივცემული ეპისკოპოსები ექვთიმე გაენათელი და დოსითეოს ქუთათელი, ხანდაზმული მანდილოსანი ბატონიშვილი დარეჯანი და სხვები, - თუკი იმერლები დაესხმებოდნენ თავს, დაეხოცა და მდინარეში გადაეყარა, გზაში კი, წყნარად რომ ყოფილიყვნენ, ერთმანეთი არ დაენახათ და ვერც ადგილობრივ მოსახლეობას შეეცნო, თავზე ტომარაჩამოცმულები და კისერსა და წელთან თოკშემოკრულები წამოეყვანა. პუზირევსკის ამ გადაწყვეტილებას ველიამინოვიც კი შეუშფოთებია და თამამი პოლკოვნიკისთვის ურჩევია, გზაში ტყვეების დახოცვა თუ გახდა საჭირო, მდინარეში არ ჩაყაროთ, თორემ წყალმა რომ გამორიყოს და მოსახლეობამ იცნოს, შეიძლება დიდი არეულობა მოჰყვეს ამ ამბავს, ჯობია, მოზდოკამდე მაინც ატაროთ გვამები და იქ დაფლათო.

მართალია, ტყვეების გამყოლ ბადრაგს გზაზე არავინ დასხმია თავს, მაგრამ დატყვევების დროს წინააღმდეგობის გაწევის გამო საფუძვლიანად დაჩხვლეტილმა და ცხენზე ძალით დაკრულმა დოსითეოს ქუთათელმა სურამსა და გორს შუა დალია სული. ველიამინოვის მითითების თანახმად, მისი სიკვდილი ჯარისკაცებისთვისაც კი არ გაუგებინებიათ, ერთხანს ასე უტარებიათ და ანანურში დაუფლავთ მალულად.

ექვთიმე გაენათელმა კი, რომელიც თავიდან საქართველო-რუსეთის ურთიერთობის აქტიური მომხრე იყო და სოლომონ II-ის რუსულ ხელისუფლებასთან შერიგებას შუამდგომლობდა, ნოვგოროდამდე მიაღწია. როგორც 1921-1927 წლების კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში მოგვითხრობს, იმპერატორ ალექსანდრე I-ს მოუწადინებია ექვთიმე გაენათელის ნახვა და მასთან ჩაყვანილ ეპისკოპოსს დიდი ზეიმითა და პატივით შეხვედრია, მაგრამ ოდესღაც რუსული ორიენტაციით განთქმულ ეპისკოპოსს თავისი სამშობლოსა და ხალხის წამების გამო იმპერატორისთვის „ახალი ნერონი“ უწოდებია და განრისხებულ ალექსანდრეს იგი ოლონეცკის გუბერნიაში,

დასასრული გვ. 20

✠ სულთათანა ✠



ჰამლეტ ბოკუჩავას ხსოვნას

ჩემო საყვარელო ჰამლეტ, გაუსაძლისი გახდა ჩემთვის ეს ზამთარი. რაც დრო გადის, მით უფრო მენატრები. ო, რა მძიმეა ჩემთვის შენი განშორება. უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს ვერავინ შეავსებს, მაგრამ ნუგეშად შენი საფლავისკენ მიმავალი გზა მრჩება...

შენი მადონა.

„გადაწვით ყვავილოვანი, რომ სიღარიბე იყოს ქართველთა საუკუნო სასჯელი... „

დასაწყისი გვ. 19

სვირის მონასტერში გადაუსახლებია.

წარმატებით თავბრუდახვეულ პუზირევსკის მაინც გულს აკლდა, რომ შეთქმულების მეთაური, დარეჯან ბატონიშვილის ვაჟი ივანე აბაშიძე და მისი მოკავშირენი ვერ შეიპყრო, მაგრამ სულ მალე ქაიხოსრო გურიელის სასახლეში (სოფელ შემოქმედში) მიაკვლია „ავაზაკთა ბუდეს“. მათი განადგურების იდეით შეპყრობილი პუზირევსკი ჯარით შეიჭრა გურიაში, მაგრამ სწორედ იმ დღეს გამოასალმეს წუთისოფელს შემოქმედის ციხესთან, როცა ერმოლოვი ზემოთ მოყვანილ სიტყვებს წერდა: პუზირევსკი „ჭკვიანია, ყოჩაღია და შეუძლია ხალხს ჩვენი ხელისუფლების პატივისცემა ჩაუნერგოს“.

პუზირევსკის მკვლელობის შემდეგ აჯანყებამ უკვე აშკარად იფეთქა გურიაში. დავით ერისთავმა ჩოხატაურის საგუშაგოზე მიიტანა იერიში, აქ მდგომი რუსული რაზმი ამოჟლიტა და შენობას ცეცხლი წაუკიდა. გურულებმა სასტიკად დაამარცხეს პოდპოლკოვნიკ ზაგორელსკის რაზმიც. ამავე დროს რაჭაში აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს ვახტანგ ბაგრატიონი და ქუთაისისკენ დაიძრნენ. მთელ რაჭა-იმერეთ-გურიაში აჯანყების ცეცხლი გიზგიზებდა. მართალია, სამეგრელოსა და გურიის მთავრები რუსების აშკარა წინააღმდეგობას ვერ ბედავდნენ, მაგრამ ამ სამთავროების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქაიხოსრო გურიელისა და გიორგი დადიანის ხელმძღვანელობით ანტირეჟიმულ აჯანყებაში იყო ჩაბმული.

პუზირევსკის მკვლელობით გაბოროტებულმა ერმოლოვმა შემდეგი შინაარსის ბრძანებით მიმართა პოლკს: „მამაცო ამხანაგებო! თქვენ დაკარგეთ მეთაური, რომელიც გამოირჩეოდა დიდებული ხელმწიფისთვის გულმოდგინე სამსახურით და სამაგალითოდ ზრუნავდა თქვენზე. თქვენთან ერთად ვწუხვარ, რომ დაიღუპა იგი უნამუსო მოღალატეების ხელით. თქვენთან ერთად ვფიქრობ, როგორ მივუზღათ მათ ღირსეული მეთაურის საზარელი მკვლელობისთვის. მე გიჩვენებთ ადგილს, სადაც ცხოვრობდა ყაჩაღებს შორის გამორჩეული ქაიხოსრო გურიელი. ქვა ქვაზე არ დატოვოთ ბოროტმოქმედთა თავშესაფარში, მისი ბილწი თანამზრახველებიდან ერთიც არ გადარჩეს ცოცხალი... „

ასეთი ბრძანებით წაქეზებული ჯარისკაცები, რაღა თქმა უნდა, ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ გურიის სოფლების გასანადგურებლად. და მართლაც, გენერალ ველიამინოვის 3200-კაციანმა რაზმმა უწყალოდ აჩეხა ბაღ-ვენახები, გაანადგურა სოფლები, დაწვა სახლები და ნაცარტუტად აქცია იქაურობა. იმერეთის ახალი მმართველის გორჩაკოვის მეთაურობით ჯარები შეიჭრნენ რაჭაში, სადაც ქვა ქვაზე არ დატოვეს.

ყველაზე მძიმე კი ის იყო, რომ რუსებმა ვერაგული ხერხებით შეძლეს აჯანყებულთა ერთ-ერთი დაჭრილი თავკაცის, ლომკაც ლეჟავას საშუალებით ხელში ჩაეგდოთ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი - იმერეთის დამოუკიდებლობის აქტი, რომელზეც ხელი ჰქონდა მოწერილი აჯანყების ყველა სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელს. მათი უმრავლესობა რუსულ სამხედრო სამსახურში ირიცხებოდა, მაღალი სამხედრო ჩინი ჰქონდა მიღებული და ხელისუფლებას ლოიალურად აჩვენებდა თავს. რუსულ ხელისუფლებას, რაკიღა ასეთი საბუთი ჰქონდა ხელთ, მათი მუხანათურად ხელში ჩაგდება აღარ გასჭირვებია - გორჩაკოვთან საბრძოლველად მიწვეულ წარჩინებულ საზოგადოებას სრულიად მოულოდნელად ალყა შემოარტყეს და გამოუცხადეს, რომ დაპატიმრებულნი იყვნენ. შეთქმულებმა ხმლები იშიშვლეს, მაგრამ ორმაგი ალყის

გარღვევა ვეღარ შეძლეს. ზოგი მათგანი ადგილზევე დაეცა, უმეტესობა კი ციმბირში გადაასახლეს. მათი სასახლეები და ციხეები მიწასთან გაასწორეს, ყმა-მამული ხაზინას გადასცეს.

***

სამწუხაროდ, ძალზე მწირი მასალის შეკრება შევძელით ამ აჯანყების ერთ-ერთ მოთავეზე, აწ წმინდანად შერაცხილ მიტროპოლიტ ექვთიმეზე (შერვაშიძე), რომელსაც ხელისუფლებამ შორეულ რუსეთში, სვირის მონასტერში უკრა თავი, სადაც 1821 წელს აღესრულა.

ჯერ კიდევ 12 წლის ყმაწვილი გურიიდან იმერეთს გადმოხიზნეს.

1819 წლის 2 ნოემბერს დაწერილ წერილში იგონებს: „დიდმა მეფემ სოლომონ პირველმა და მისმა ძმამ კათალიკოზმა იოსებმა მომიყვანეს გურიიდან. 61 წელიწადი არის, იმერეთს ვარ, ორმოცდაერთი წელიწადი გაენათელი ვარ, ოცს წელიწადს მეფეს და მის ძმას, კათალიკოზს ვახლდი და მათი ბრძანება და დაწესება სრულიად ვიცი“.

ხსენებული დოკუმენტი ამოწმებს, რომ იგი გელათის კათედრას 1778 წლიდან განაგებს, იქიდან ჯუმათის მონასტრის წინამძღვრად გადაჰყავთ, შემდგომ კი მიტროპოლიტის ხარისხში კვლავაც გელათში აბრუნებენ.

როგორც მატიანე მოწმობს, 1787 წელს მიტროპოლიტ ექვთიმეს გელათში მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი განუახლებია.

ეს წმინდა კაცი, ზემოხსენებული აჯანყების მეორე სულისჩამდგმელთან, მიტროპოლიტ დოსითეოსთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო თუ საერო საქმეების გადაწყვეტაში.

მიტროპოლიტი ექვთიმე საქართველოს გაერთიანების აქტიური მომხრე იყო. ეცადა კიდეც, 1790 წელს დარეჯან დედოფალი როგორმე დაერწმუნებინა ამაში, მაგრამ ამაოდ.

ცარისტულმა რუსეთმა 1819 წლის იმერეთის საეკლესიო ამბოხში მთავარ „დამნაშავეებად“ სწორედ ქუთათელი ექვთიმე და გაენათელი დოსითეოსი ცნო.

1820 წლის 16 თებერვალს პოლკოვნიკი პუზირევსკი გენერალ ველიამინოვს წერდა: „მიტროპოლიტი გაენათელი ამჟამად იმყოფება გელათის მონასტერში, 10 კილომეტრის მოშორებით ქუთაისიდან. გზა იქამდე მთაგორიანი და რთულია...

ეს საქმე დაევალა მაიორ ანდრეევსკის. მის შესაპყრობად სპეციალური ჯგუფი საჭირო არ არის, ყოველი შემთხვევისთვის ვაგზავნი უნტერ-ოფიცერს...

მაიორი ანდრეევსკი გაენათელთან ხშირად იმყოფება და მისი იქ მისვლა გაენათელის გაოცებას არ გამოიწვევს“.

ორივე მიტროპოლიტი ერთსა და იმავე დღეს, საღამოს უნდა შეეპყროთ, მაგრამ ეს არ უნდა მომხდარიყო კვირას ან პარასკევს, რადგან ამ დღეებში ხალხმრავლობა იყო და ეს მოსახლეობის ამბოხსა და ტყვეთა განთავისუფლების მცდელობას გამოიწვევდა.

1820 წლის 4 მარტს, საღამოს, მიტროპოლიტი ექვთიმე შეიპყრეს, „თუმცა მან შეინარჩუნა სრული სიმშვიდე და გამოხატა დიდი გაოცება, თუ რატომ იჭერდნენ მას ძალით“.

ორივე მღვდელმთავარი მათრახის ცემით მიიყვანეს სურამს. მშიერ-მწყურვალებმა წყალი რომ ითხოვეს, ერთ ღვთისნიერ დედაკაცს უმალ მიუწოდებია. „ესე პატიოსანი დედაკაცი ატირდა, გულს შემოეყარა ამისთანა საწუხის და ძნელად მოულოდებელის და საშიშის შემთხვევისთვის და როცა მღვდელმთავარმა გაენათელმა წყლის დასალევად პირი გააღო, დიდისა სიცხისა და ცემისა და ტანჯვით და დევნილობით ბრძანდებოდა გზასა შინა, რა რომ წამოიღვარა პირიდამ შემდგარი სისხლი ლუკმა-ლუკმად და ამავე წამსვე კბილები ჩამოსცვივდა დიდის ტკივილითა, ხოლო ქუთათელმა გზაში დალია სული... „

სასტიკად გვემეს მეუფე ექვთიმე, რომელიც არქიმანდრიტ გრიგოლთან ერთად გადახიზნეს ქალაქ ნოვგოროდს.

როგორც ირკვევა, მასთან შეხვედრა მოუნდომებია იმპერატორ ალექსანდრე I-ს და დიდი პატივით დახვედრია ქალაქ პეტერბურგს. „იმპერატორმა დიდი ზეიმითა და პატივით მიიღო იგი, მაგრამ მიტროპოლიტი არ მოერიდა, ემხილებინა იმპერატორი საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისთვის, სამშობლოს დამცველების წამებისთვის და მას ახალი ნერონი უწოდა“, - იგონებდა წმინდა პატრიარქი ამბროსი ხელაია.

სხვა მიზეზი არც სჭირდებოდათ - იგი უმალ სვირის მონასტერში მიავლინეს, სადაც დიდი ტანჯვის შემდგომ რამდენიმე წელიწადში აღესრულა.

***

როგორც გადმოგვცემენ, მისი აღსასრულის შემდგომ ჭირისუფალნი დიდი სასწაულის მომსწრენი გამხდარან: „ჟამსა წესის აგებისა მის ზედა, შემდგომად შესრულებისა ანდერძის აგებისა, მღვდელმთავარი ექვთიმე წარმოდგა თავის კუბოში და აკურთხა მარჯვენითა ხელითა მუნ მყოფნი ხალხნი სრულიად და შემდგომ ისევ მიიძინა უფლისა მიმართ მშვიდობით...

ესე ნამდვილი მოთხრობა მოვიღევით მისთანა მყოფსა მონასტერსა შინა ჟამსა მისი სიცოცხლისაგან და ანდერძის აგებისა და შემსრულებლისაგან, რომელიც იყო იმერეთის პატივცემული და ერთგული აზნაურიშვილი იოანე აბულაძე და სხვანი მრავალნი...

დასწერა ჯვარი, ვითარცა ცოცხალმან და კუალად მიწვა კუბოსვე და მიიძინა. და დაეცათ შიში მუნ მყოფთა ყოველთავე და აქებდეს ღმერთსა ამის წმიდისასა და დაიდუმეს ესე შიშითა რუსთათა“.

***

მიტროპოლიტ ექვთიმეს წმინდა ნეშტი 2004 წელს გადმოასვენეს საქართველოში, მიტროპოლიტმა დოსითეოსმა კი ანანურის მონასტრის მიწაში პოვა სამუდამო ძვალთშესალაგი. ორივე მათგანი ქართულმა ეკლესიამ მცირე ხნის წინ წმინდანთა დასს შეუერთა...

მეოხ გვეყონ უფლის უწმინდესი საყდრის წინაშე ეს წმინდა მამანი!

მანანა ტუაევა

წყარო: http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
მთ. რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli. webs. com*
ელ. ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo. com*